ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 6 სექტემბერი · 1997 №105 (470) ფასი 50 თეთრი

## ATHENS 2004

2004 წელი ჯერ შორსაა, მაგრამ გუშინ სპორტულ სამყაროს მზერა მისკენ ჰქონდა მიბჯენილი.

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე გაირკვა იმ ქალაქის ვინაობა, რომელიც შვიდი წლის შემდეგ ოლიმპიადას უმასპინძლებს. კანდიდატი ხუთი იყო: რომი, ათენი, სტოკჰოლმი, ბუენოს აირესი და კეიპტაუნი. კონგრესის 107 დელეგატის მიერ ოთხ ეტაპად მოწყობილმა კენჭისყრამ გამარჯვებული გამოავლინა, მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ხელახლა არჩეულმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა კი საქართველოს დროით საღამოს ათის ნახევარზე კაცობრიობას მისი სახელი ამცნო: ათენი.

წერილს ლოზანის კენჭისყრის შესახებ მე-11 გვერდზე წაიკითხავთ.



ქართულ კალათბურთსაც ჰქონია ზეობის ჟამი — დიდი და ხშირი გამარჯვებებით განებივრებულ კალათბურთის ქომაგებს ვერ იტევდა სპორტის სასახლე. მაგრამ სულ სხვა მადლი და ლაზათი აქვს, როცა შენს გვერდით ოლიმპიური ჩემპიონები გეგულება. მიხეილ ქორქიამ და ზურაბ საკანდელიძემ 25 წლის წინ მიუნხენის ოლიმპიადიდან ოქროს მედლები ჩამოუტანეს თავიანთ ქომეგებს — 1972 წლის 9 სექტემბერს სხვა საბჭოელ კალათბურთელებთან ერთად იმხანად უძლეველი ამერიკელები დაამარცხეს. წერილი მიხეილ ქორქიაზე იხილეთ მეცხრე გვერდზე.



## 5 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 5 | 5 | 0 | 0 | 12:5 | 15 |
| ოდიში | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 17:3 | 12 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:5 | 10 |
| დილა | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | 9 |
| ბათუმი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| ტორპედო | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 8 |
| მერანი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| მორკინალი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| მარგვეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |
| სამგურალი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:13 | 4 |
| მეტალურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| მაღაროელი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:17 | 3 |
| გურია | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |
| სიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | -1 |

| | | |
|---|---|---|
| თსუ | 2:1 | ლოკომოტივი |
| მარგვეთი | 1:0 | მეტალურგი |
| მერანი | 1:0 | დილა |
| ოდიში | 4:0 | სამგურალი |
| ბათუმი | 1:1 | მორკინალი |
| ტორპედო | 1:4 | დინამო |
| კოლხეთი | 2:0 | გურია |
| სიონი | 4:0 | მაღაროელი |

გუშინწინ ქუთაისში: „ტორპედო“ — „დინამო“

ლევან ხომერიკმა ერთ წუთში ორი გოლი გაიტანა და თამაშის ბედიც გადაწყვიტა

მეხუთე ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე და მესამე გვერდებზე

# ბაჯო მოდის, დელ პიერო — ვერა

ზეგ იტალიის ნაკრები თბილისში ჩამოვა, თუმცა ჩეზარე მალდინის ოც რჩეულ ფეხბურთელს ერთი — ალესანდრო დელ პიერო გამოაკლდა. ტურინის „იუვენტუსის“ 22 წლის თავდამსხმელი „ბებერი ქალბატონის“ საწვრთნელ ბაზა „რეჯო ემილიაზე“ ვარჯიშისას დაშავდა. არა, არაფერი მოუტეხია და ულრძვია, უბრალოდ, ბურთი თვალში მოხვდა, ჩაულურჯდა და ხედვაც გაუუარესდა. თავდაპირველად, ნაკრებიდან მის ამოგდებას არავინ ფიქრობდა, მაგრამ კლუბის ექიმების დასკვნით, ალესანდროს მკურნალობა აუცილებელია, ჩვენთან ჩამოსვლამდე კი ეს არ მოხერხდება. აქედანვე ცნობილი გახდა, რომ დელ პიერო კიდევ ერთ შეხვედრას — სერია C-ს „ბრეშელოსთან“ თასის განმეორებით მატჩს გამოტოვებს.

ჩეზარე მალდინიმ ეს რომ შეიტყო, ძლიერ არ შეშფოთებულა. არც შემცვლელის ძებნა დაუწყია, მხოლოდ განაცხადა, ალესანდრო დიდი დანაკლისია, მაგრამ მისი დონის ფეხბურთელები ნაკრებში კიდევ მოგვეძიება, ამიტომ საქართველოში 19 კაცით ჩავალთო.

დელ პიეროს ტრავმამ ნაკრებში გზა გაუხსნა რობერტო ბაჯოს, რომელსაც „სკუადრა ატურას“ ძირითადში, აგერ უკვე სამი წელია, არ უთამაშია. ჩეზარემ, რომელსაც ბაჯოს წაყვანა საფრანგეთის ოთხთა ტურნირზეც სურდა და ფეხბურთელის ტრავმის გამო ვერ მოახერხა, განაცხადა, რობერტოსხაირი ხიჭიერი ფეხბურთელები ქვეყნის პირველი გუნდის გარეთ არ უნდა რჩებოდნენო. თან დასძინა, რაც ნაკრები ჩამაბარეს, მას მუდამ ვადევნებდი თვალს, ძლიერი მოთამაშე რომაა, ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ წლების მატებასთან ერთად თამაშში უფრო სარგებლიანი ხდება, სწორედ ამიტომაც დავუძახე პოლონელებთანო. თავად რობერტომ ნაკრებში გამოძახებით დიდად გაიხარა. „ძალიან მინდა მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება, მომბეზრდა მესამე და მეორე ადგილზე გასვლა“ — თქვა აწ უკვე უკიკინო ვარსკვლავმა და დაამატა, ჩემპიონატამდე კიდევ დიდი დროა, მაგრამ აქედანვე თუ არ ვიზრუნე გუნდში ფეხის მოკიდებაზე, მერე გვიან იქნებაო. მისი თქმით, საქართველოსთან მატჩში, თუ რა თქმა უნდა, ათამაშეს, დაამტკიცებს, რომ ნაკრების ღირსია.

გუშინ ჩეზარე მალდინიმ ბაზაზე მინი პრესკონფერენცია მოაწყო. ჟურნალისტები ძირითადად რავანელის არყოფნით დაინტერესდნენ, რაზეც უფროსმა მალდინიმ უპასუხა, ფაბრიციოს „მიდლსბროშიც“ არ ათამაშებენ, და ნაკრებში ადგილი როგორ ვანდო, მითუმეტეს, ახლა რთული პერიოდი აქვსო. როცა საქმე საქართველოს ნაკრებთან მატჩზე მიდგა, მან განაცხადა, თბილისში მოსაგებად მივდივართ, სხვა შედეგი არ დაგვაკმაყოფილებს, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო. ჩეზარემ ერთი საიდუმლოც გაამხილა: რაიმე გაუგებრობა თავიდან რომ ავიცილოთ, 4-4-2-ის ნაცვლად 4-3-3 ტაქტიკით ვითამაშებთო.

**ლაშა გოდუაძე**

## წუთელი

ფეხბურთი. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. ხლოვენია — საბერძნეთი 1:3, ხორვატია — ბოსნია 6:1, ავსტრია — შვედეთი 0:4, ლატვია — ესტონეთი 0:1, გერმანია — პორტუგალია 1:1, ჰოლანდია — ბელგია 5:2, ისლანდია — ირლანდია 1:0, შვეიცარია — ფინეთი 2:1.

საფრანგეთის ჩემპიონატი. სტრასბური — პარი სენ ჟერმენი 0:3 (რაი 203, ხიმონე 79, მორისი 85); რენი — მეცი 2:2 (გრეგუარი 17, 30; როდრიგესი 19, გალიო 90); კანი — მონაკო 1:2 (კაპუ 54; იკპება 46, ტრეზეგე 82); ბასტია — ბორდო 4:1 (იესტროვიჩი 25, 31, ეტამი 78, სვერჩევსკი 80; ლასლანდესი 39); ლანსი — ნანტი 0:0; ოსერი — შატორუ 5:0 (გიუვარში 43, 45, ჟანეშამი 52, ლამუში 62, დანჟუ 65); მონპელიე — გინგამი 2:3 (სანჩესი 2, ბაკაიოკო 31; ტასფო 3, 23, ბარე 66)

ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ლინდსი დავენპორტი (აშშ) 6:2, 6:4;

## ქეცბაიას სიცხე აქვს, დანარჩენები კი კონსპირაციულად ავარჯიშეს

გუშინ დილომში „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე ეროვნული გუნდი ოფიციალურ შეკრებაზე გადავიდა. გუშინვე პირველი ვარჯიში ჩატარდა, რომელიც ბოლო დროს დამკვიდრებული ცუდი ტრადიციის მიხედვით ჟურნალისტებისთვის დახურული გამოდგა. თამაშამდე ასეც არის მოსალოდნელი. ბაზაზე მისული ჟურნალისტები ვარჯიშს თვალს ლობეზე შემომსხდარნი ადევნებენ. ცოტა არასასიამოვნო კია, მაგრამ ფაქტია. გამოძახებული 22 ფეხბურთელიდან მხოლოდ 12-მა იბურთავა — ზოიძე, ტოგონიძე და ჩხეიძე დანარჩენ ცხრას უძალიანდებოდა. ლეგიონერთაგან ჯერჯერობით ალანიელები, ყაველაშვილი და დარასელია ჩანდნენ. ქეცბაია თბილისშია, მაგრამ გლანდები აწუხებს, სიცხე 39 გრადუსს უკაკუნებს და ამიტომ სავარჯიშოდ ვერ იცლის, ხოლო ჯამარაული ბაზაზე კი იყო, მაგრამ არ უვარჯიშია. გუშინ ღამე მწვრთნელები დანარჩენების ჩამოსვლას და გუნდის შევსებას ელოდნენ.

დილომშივე, ოლონდ კალათბურთელების ბაზაზე ჩვენი ახალგაზრდული გუნდი დაბინავდა. ეგენი სავარჯიშოდ მცხეთაში, „არმაზის“ სტადიონზე დადიან და ბაზაზე ოდენ დასასვენებლად თუ ძალების აღსადგენად იმყოფებიან.

მოკლედ, უმნიშვნელო ინფორმაციის მოპოვებაც ღობე-ყორე ძრომიალის და ტანჯვის ფასი გვიჯდება, მაგრამ ეგ პრობლემა იყო და ჩვენში მუდამ იქნება. ჯანდაბას, ასეც გაგრძელდეს, თუ მსგავსი ჩვენს ეროვნულ გუნდს იტალიასთან თამაშს მოაგებინებს, მაგრამ...

**მამუკა ქვანტალიანი**

ქუთაისი
„ჯეო კოლაძე"
4 სექტემბერი

**ტორპედო 1:4 დინამო**

**ტორპედო:** კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, ი. ხუჯაძე, მაღლაკელიძე, კვეტენაძე, ქებაძე, ნოზაძე (ვ. გიგიაძე 82), მეგრელაძე, ვაჩიბერაძე (ჩხეტიანი 85)
**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე (კალაძე 46), ჯელაძე, ჩიხრაძე, ცქიტიშვილი, გურია, კიკნაძე, ალექსიძე, ჩხაიძე, მუჯირი (ხომერიკი 46), იაშვილი (გოგობერიშვილი 83)
1:0 მეგრელაძე (44), 1:1, 1:2 ხომერიკი (62, 63), 1:3 იაშვილი (74), 1:4 ალექსიძე (80)
მუჯირმა ვერ გაიტანა პენალტი (30)
**გაფრთხილება:** ლობჟანიძე, ხვადაგიანი, ხომერიკი
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# ააფრინე ალალიო...

ეს „ბოავიშტასთან", „ბაიერთან" და მათნაირებთან ვერ ხეირობს და გვარცხვენს „დინამო", თორემ შინაურები დაბრიყვებული ჰყავს — ხშირად ნახევარი ძალითაც რომ თამაშობს, მაშინაც გააქვს თავისი. შარშანწინ იყო მხოლოდ „სამტრედიამ" გაუბედა: ჩაიჩოჩეო, მაგრამ ვაი იმ გაბედვას. ურჩ გუნდს რაც დამართეს, იცით. მერე იგი ჯგუფიდან გავარდა და ხელახლა მოსანათლიც კი შეიქნა.

მეცხრე ჩემპიონატის დაწყებამდე ძალიან ბევრი გაიძახოდა, ჩემპიონი დასუსტდა (რაც მეტად საეჭვოა), ტიტულის შენარჩუნება გაუჭირდებაო და „დინამოს" უპირველეს კონკურენტად „ტორპედოს" ასახელებდნენ. ამათი მესვეურები უფრო თავშეკავებულები იყვნენ: „დინამოს" ვაჯობებთო — ერთხელაც არ წამოცდენიათ, აი, სამეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთო — რამდენიც გნებავთ.

სამეულში მოხვედრაც საქმეა...

არადა, ჩემპიონატის სტარტზე ტორპედოელებმა მართლაც რომ გაუცრუეს იმედები თავიანთ ქომაგებს — ოთხ შეხვედრაში ოთხი ქულა დაიკლეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უფრო სამწუხარო ის იყო, რომ „ტორპედო" ვერა და ვერ აეწყო და რასაც მოედანზე აკეთებდა, ამბიციური გუნდის თამაში ნამდვილად არ ეთქმოდა. ამ ბოლო დროს ტორპედოელები ჟურნალისტებს ბევრს გვსაყვედურობენ, უსაფუძვლოდ გვაკრიტიკებთო. კაცს თუ უნდა, არ ირწმუნებს და ჰა, გუშინწინ ქუთაისელებს გამორკვევის და ჟურნალისტების უსაფუძვლო კრიტიკაში მხილების ისეთი შესაძლებლობა მიეცათ, უკეთესს რომ ვერ მოიფიქრებ. მათი მეტოქე ხომ ჩემპიონი იყო. თამაშის წინა დღეს ტორპედოელებს გასამხნევებლად ქალაქის მერი სწვევია. დავით მელქაძეს უთქვამს, მოგებას თუ დამპირდებით, პრემიებს წინასწარ დაგირიგებთო. კონკრეტული პასუხი რომ ვერ მიუღია, შეთანხმებულან, თამაშის მერე იყოსო.

„მოგენატრათ დაძაბული საფეხბურთო შეხვედრა? „ტორპედო" — „დინამოზე" იჩქარეთო." ჰოდა, ვერ გაუძლო ხალხმა ცდუნებას. სუსხისა და კოკისპირული წვიმის მიუხედავად, თამაშის საცქერად 5 ათასამდე კაცი მოვიდა. თამაში მართლაც საინტერესო და დაძაბული გამოდგა, თუმცა, ეს მხოლოდ პირველ ტაიმზე თუ ითქმის. ლაცაბიძეს წამზომი ახალი ჩართული ჰქონდა, როცა იაშვილი გაიჭრა მარცხენა ფლანგზე და მასპინძელთა კარის გასწვრივ ჩააწოდა დაბალი, მუჯირი გრძელ ნახტომში სწვდა ბურთს, მაგრამ დარტყმა ვერ მოახერხა. მე-10 წუთზე მუჯირს უკვე ჩხაიძემ გადასცა კარგად, მოიერიშემ ვერც ამჯერად იხეირა. მე-12 წუთზე კი... ლაცაბიძეს ცამდე მართალიც რომ იყოს, სალანძღავად არ შეექნას საქმე ისე როგორ გავა? ტორპედოელებმა სწრაფად შეუტიეს და ნოზაძე სტუმართა საჯარიმოში მეკარესთან პირისპირ დარჩა. მას შეეძლო უმალ დაერტყა კარში, მაგრამ ზოიძის მოტყუება მოინდომა. მეკარემ არ დააცალა, ფეხებში ჩაუვარდა და ბურთი აართვა. ნოზაძე ამ დროს წაიქცა, არბიტრმა ჩათვალა, რომ საკუთარი ინიციატივით. დიდი სურვილის მიუხედავად, პირველ 25 წუთში გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, ეს იმიტომ, რომ დაცვა თავდასხმას სჯობდა. მერე მაინც მასპინძლებმა იძალეს და მათ თამაშს სასიკეთო პირი რომ გამოუჩნდა, სწორედ მაშინ გადაურჩნენ აშკარა ხიფათს. 30-ე წუთზე იაშვილის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ლაცაბიძემ ტორპედოელები პენალტით დასაჯა. მათ იღბლად, მუჯირმა მარჯვენა ძელს გაარტყა. აქედან მოყოლებული შესვენებამდე მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ დინამოელებმა კინაღამ კიდევ არ გამოიჭირეს კონტრშეტევაზე. უმცროს ხუჯაძეს სამეკარეოს სიახლოვეს ფეხი აუცდა ბურთზე და მუჯირი უფრო ფხიზლად რომ ყოფილიყო, უეჭველად გაიტანდა. და მაინც, ტორპედოელთა შტურმმა გამოიღო ნაყოფი. მართალია, 43-ე წუთზე ქებაძის წაქცევისათვის ვაჩიბერაძის მიერ ზედ საჯარიმო ხაზიდან დარტყმული ჯარიმა ხარიხამ მოიგერია, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ კვეტენაძის მარჯვნიდან ჩაწოდებულ კუთხურს მეგრელაძემ თაური მიაყოლა და დინამოელებს ველარავინ უშველა.

თამაშის განახლების შემდეგ ბურთი უმთავრესად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, მეტოქეები სახეიროს ვერაფერს ქმნიდნენ, მაგრამ ხელთათმანი ნასროლი იყო და „დინამოსგან" ყოველ წუთს საპასუხო სვლა იყო მოსალოდნელი. და ეს დროც დადგა: ტორპედოელებმა ყურადღება რომ მოადუნეს, სტუმრებმა მოულოდნელად იფეთქეს, რასაც ხომერიკის ორი ერთმანეთზე ლამაზი გოლი მოჰყვა. ხომერიკს ჯერ იაშვილმა და ალექსიძემ წყვილად გაუწიეს ასისტენტობა, მერე ალექსიძემ გამოიჩინა სულგრძელობა და პარტნიორს დაუთმო დასარტყმელად. ყიფიანს შეცვლებმა გაუმართლა. ხომერიკმა წინა ხაზი გააძლიერა, კალაძემ უკანა გაამაგრა და ასე. „დინამომ" საკუთარი თამაში მოახვია მასპინძლებს. როგორი საქმეა, ერთ წუთში რომ ორ ბურთს მიიღებ? და გულგატეხილმა მასპინძლებმა კიდევ ორი მიაყოლეს. ორივე შემთხვევაში ალექსიძემ იყოჩაღა. მან ჯერ იაშვილს გაატანინა, შემდეგ კი თვითონვე ითამაშა დიდოსტატურად.

საქმეს რომ მორჩა, „დინამომ" ინიციატივა საკუთარი დაცვის სიმყარის შემოწმების მიზნით დათმო. ჩემპიონის დაცვამაც „შახტიორიდან" შემატებული ჩიხრაძიანად თავი არ შეირცხვინა. ერთხელ იყო მხოლოდ, რომ თბილისელები ისევ გადაარჩინა ხარიხამ, 83-ე წუთზე კვეტენაძის დარტყმის შემდეგ.



რატი ალექსიძემ ტორპედოელ შალვა ხუჯაძესა და ხვადაგიანს რეტი დაასხა

ბოლნისი
„თამაზ სტეფანია"
4 სექტემბერი

**სიონი 4:0 მაღაროელი**

**სიონი:** ჩლაიძე, ხოსროშვილი (უკლება 79), ყაველაშვილი, ყიფშიძე (ჯაფარიძე 46), ნიკლაური, ტრაპაიძე, ტარტარაშვილი, შაკიაშვილი, მ. გოგოლაძე (ქანკვეტაძე 72), ტყავაძე, ისიანი
**მაღაროელი:** გველესიანი, ტეფნაძე (ჯ. სამხარაძე 70), იობაშვილი, ასანიძე, მ. გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, შუყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე (ქაშაკაშვილი 46), კვითელაძე (ლოლაძე 71), მენაბდიშვილი
1:0 ნიკლაური (42), 2:0 ისიანი (47), 3:0 ტრაპაიძე (53), 4:0 ისიანი (80)
**გაფრთხილება:** ტეფნაძე, ყაველაშვილი
**მსაჯი:** გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

**ვახტანგ ბზიკაძე ბოლნისიდან**

# ისინი

ისინი იგებენ და მაინც წაგებულნი არიან. ისინი თემიდას სამართალს სთხოვენ და ამისთვის ისჯებიან.

ისინი გადარჩენისთვის იბრძვიან და საწადელსაც აღწევენ.

ისინი ცოცხლობენ, მაგრამ ვაი ასეთ სიცოცხლეს — ახალი ბრძოლების წინ ორი კვირით ადრეც ვერ იკრიბებიან.

ისინი იმედგადაწურულები, უიარაღონი, უქალამნონი, გასაქრობად განწირულები არიან.

ისინი ბოლო ძალებს იკრებენ და მეტოქეს ერკინებიან — ბრძოლის პირველ დღეს აგებენ, მეორე დღეს კი დიდი აურზაურის შემდეგ მოწინააღმდეგეს უზავდებიან.

ისინი წინ გაჭირვებით, კუს ნაბიჯებით მიიწევენ, მაგრამ უწყო ქრევისთვის ისვენებენ.

ისინი ხუთი ნაბიჯით უკან იხევენ და ფრონტის ხაზს ოთხით აღწევენ.

ისინი კიდევ ორ დღეს ამაო ბრძოლაში ალამებენ, დიადი ბელადის დევიზს ისიგრძეგანებენ — ნაბიჯი წინ, ორი უკან.

ისინი ბოლნისელები არიან.

ისინი მორიგი დღის გათენებას ელიან, მეზობელი ოლქებიდან წესრიგის დამცველებს იწვევენ.

ისინი თავგამოდებით იბრძვიან და თავგამოჩენილი ნიკლაურის, ტრაპაიძის და ყრმა ისიანის წყალობით ფრონტის ხაზს ნაბიჯზე უახლოვდებიან.

ისინი იგებენ, და შინ უალაფოდ ბრუნდებიან, თუმცა სახეზე მაინც სიხარული დასთამაშებთ.

ისინი თემიდის მსახურს მადლიერების ნიშნად საუკეთესო ტახტრევანზე სვამენ.

ისინი სანახევროდ დაქრავებული ლაშქრისგან შედგებიან, რომლებიც ჯერაც იმ გასამრჯელოს ელიან, მთავარსარდლობას გასტუმრებულად რომ მიაჩნია.

ისინი თავს დაჩაგრულად, მიწაწყალწართმეულად გრძნობენ, გადამთიელებით დასახელებულ სანახებს კი მეფის სოფელს უწოდებენ.

ისინი იგებენ და ჯერ მაინც წაგებულნი არიან, თუმცა იმედს მაინც არ კარგავენ.

ჰო, მართლა: გუშინწინ „სიონმა" „მაღაროელს" მოუგო და მინუს ოთხი ქულა მინუს ერთამდე შეამცირა.

ზესტაფონი
ცენტრალური
4 სექტემბერი

**მარგვეთი 1:0 მეტალურგი**

**მარგვეთი:** ნიქაბერიძე, ბინაძე, მორალიშვილი, მოსიკაშვილი, ფოფხაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (ფოცხვერაშვილი 87), მალალურაძე (კაკაბაძე 54), ზაქარეიშვილი (მელუა 63), ტოკლიკიშვილი, ხეჩუშვილი
**მეტალურგი:** ქორიძე, ფაცურია, ბექაური, კუდელაშვილი, გაბელაია, ზარაქაძე, მელაძე, არსოშვილი, მინდიაშვილი (შევილაძე 70), გოგოლაძე (მიშველიძე 70), ალადაშვილი
1:0 კაციაშვილი (45 პ)
**გაფრთხილება:** მორალიშვილი, მელუა
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ბესიკ ჯანგავაძე ზესტაფონიდან**

# გადააგდე, გადმოაგდე

ამ ორი გუნდის პაექრობას მუდამჟამ განსაკუთრებული, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მატჩის შედეგით თუ ყოველივე არა, ნაწილობრივ მაინც ბევრი რამ ხდებოდა ნათელი. უახლოეს წარსულში ორივე გუნდი საპრიზო ადგილისთვის იბრძოდა, ამჟამად კი, ეჭვგარეშეა, ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ ყაირათიანად გარჯა. სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ზესტაფონელებს ასეთი წარუმატებელი სტარტი ჯერაც არ ჰქონიათ, არც სტუმრებს დაუწყიათ ეს ჩემპიონატი სანაქებოდ. აქედან გამომდინარე, მატჩი მძაფრ ორთაბრძოლაში, მეტად საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ სანახაობრივად ნაკლებმიმზიდველი გამოდგა. ორივე გუნდის მცველები სიტუაციის განმუხტვის მიზნით ბურთის შორეული, ძლიერი დარტყმით მოგერიებას ამჯობინებდნენ და ისიც მეტწილად საჯარიმო მოედნებს შორის დაქროდა. მასპინძლებმა თავიდანვე თამაშის დაცვით სისტემაზე აიღეს გეზი და სტუმრებს იშვიათი, მაგრამ საკმაოდ მწვავე კონტრიერიშებით პასუხობდნენ. რუსთაველები, ეტყობა, არ მოელოდნენ საქმის ასეთ შემობრუნებას და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, პირველი აშკარა საფრთხე მათ კართან შეიქმნა. მე-14 წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა სულაკაძემ შორეულ კუთხეში დარტყმული ბურთი ძელს მოახვედრა. ამან რუსთაველთა ცეცხლზე ნავთი დაასხა და ორიოდ წუთში ჯერ მელაძემ, მერე არსოშვილმა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები. ზესტაფონელთა კარის წინ ეულად დარჩენილმა გოგოლაძემ კი ბურთი მეკარეს თავზე გადაატარა, მაგრამ მასპინძლები ხარიხამ იხსნა. „მარგვეთი" სტატისტის როლს თამაშობდაო, ნამდვილად ვერ იტყოდით, მაგრამ ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ. ის იყო გუნდები მშვიდობიანად უნდა წასულიყვნენ დასასვენებლად, რომ სულაკაძის კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ზაქარეიშვილმა რუსთაველთა კარში თავით გაგზავნა, არსოშვილს კი ისღა დარჩენოდა, ხელით ეხსნა საკუთარი კარი. დოგრაშვილმა პენალტი დანიშნა და ტაიმის დამთავრების ნიშანიც მისცა. ზესტაფონელთა გუნდისთავმა კაციაშვილმა კი თანაგუნდელები არ გააწბილა და შესვენება კარგ ხასიათზე გაატარებინა.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. სტუმრებს უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ და შეტევაში ჩართულებმა ზურგი მოიშიშვლეს, მაგრამ დარჩენილ დროში მაინც ვერ იხეირეს და გამარჯვებულმა „მარგვეთმა" ამ სეზონში მოგება პირველად დააჭაშნიკა.

ბათუმი
„დინამო"
4 სექტემბერი

**ბათუმი 1:1 მორკინალი**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, საქინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ჩუხუა, მაქაცაქია (აფხაზავა 72)
**მორკინალი:** გვარამაძე, ცომაია, კველიშვილი (პეტრიაშვილი 46), ი. ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, აბაზაძე, ამბიძე, ნადირაძე, კაპანაძე (დვალიშვილი 84), ქოიავა, ლაპიაშვილი
1:0 მაჭუტაძე (45), 1:1 ქოიავა (64)
**გაფრთხილება:** კაპანაძე, ამბიძე, გვარამაძე, კველიშვილი, ვაშაკიძე, ცომაია
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**კობა ინასარიძე ბათუმიდან**

# დებიუტი და იუბილე

ბათუმი წვიმის ქალაქი კია, მაგრამ ამ ბოლო დროს ბუნებას ნამეტანი მოუვიდა. საფეხბურთო მატჩისას ავდარი ლამისაა, წესად იქცეს. „მორკინალთან" თამაშამდე ბათუმში ორი დღე წვიმდა, სათამაშო მოედანიც გვარიანად სველი გახლდათ და გრუნტიც მეტად დამძიმებული. ამიტომაც, გასაკვირი სულაც არ იქნებოდა, ისედაც მცირერიცხოვანი მაყურებელი მთლიად უინტერესო, უნიათო ბურთაობის მოწმე ყოფილიყო. საბედნიეროდ, ვარაუდი არ გამართლდა. ახლა ის იყო გასაკვირი, ასეთ ამინდში როგორ შეძლეს ფეხბურთელებმა 90 წუთის განმავლობაში არ გაჩერებულიყვნენ, ებრძოლათ, ჭკვიანურად ეთამაშათ და გულშემატკივრებისთვისაც მოწყენის საბაბი არ მიეცათ.

თუმცა, პირველი თხუთმეტი წუთი ისე წარიმართა, მეტოქეებს ერთმანეთის კარისკენ არც გაუხედავთ. ბურთს ცენტრში აგორებდნენ და მცველთა შეცდომაზე დაჭერას ლამობდნენ. არაფერი გამოუვიდათ. ორივე გუნდი ფრთხილობდა. მართალია, შოთა ჭეიშვილმა ამ მატჩშიც სამი მცველით ითამაშა, მაგრამ შეყილაძე, მახო მახარაძე და ჭიჭვეიშვილი ისე შეთანხმებულად მოქმედებდნენ, გეგონებოდათ, ასეთი სისტემა უკვე კარგა ხანია, შეისისხლხორცესო. სხვათა შორის, ცუდი ნამდვილად არ იქნება, ჭეიშვილს სხვა მწვრთნელებმაც მიბაძონ და ესოდენ ყბადაღებული დაცვითი ტაქტიკა შემტევზე გაცვალონ. თუმცა, თავიანთი საქმისა თავადვე იციან, რაც ელგუჯა გუგუშვილმაც დაამტკიცა. „მორკინალმა" ისე ითამაშა, მათზე ნამდვილად ალალი გახლდათ ბათუმიდან წამოღებული ქულა.

დუნე დებიუტის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ, დაურტყეს კიდეც რამდენჯერმე გვარამაძეს, მაგრამ, ერთი რეალური საგოლე მომენტის მეტი ვერაფერი მოახერხეს. ის ერთი კი ჩუხუას გარღვევას მოჰყვა — მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კოშკასთვის თავზე გადაგდება სცადა, ბურთიც ის იყო კარში უნდა ჩაშვებულიყო, გვარამაძემ ხელი რომ წაჰკრა და კუთხურზე მოიგერია. ნელ-ნელა „ბათუმის" უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა, ტაიმის ბოლოს კი გოლით დაგვირგვინდა. ცენტრიდან საჯარიმოსკენ ჩაწოდებული გვარამაძემ საჯარიმოს ხაზს გარეთ ხელით უკუაგდო, კვარაცხელიამ ყვითელიც ამოუღო და თავისუფალიც დანიშნა. კედელში მაჭუტაძე მცველებთან ერთად ჩადგა, მახო მახარაძემ კი ამათ ზურგს უკან გადააგდო ბურთი, მაჭუტაძეც მოტრიალდა და თავისი ხელახალი დებიუტი გოლით აღნიშნა. ამბობდნენ, თამაშგარე იყოო, თბილისელებიც ედავებოდნენ მსაჯებს, მაგრამ კვარაცხელიას გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია. ტაიმიც აქვე მორჩა.

მეორეში გუგუშვილმა პეტრიაშვილი გამოიყვანა, თავდასხმა გააძლიერა და იხეირა კიდეც. ხოლო მანამდე სტუმრებმა საამისო საფუძველი შექმნეს — თავს გონივრულად იცავდნენ, ბურთსაც კარგად იჭერდნენ და კონტრშეტევებითაც მწარედ ჩხვლეტდნენ მასპინძლებს. საბოლოოდ ლაპიაშვილის კუთხურს პეტრიაშვილმა თავი დაუხვედრა, იმ დღის იუბილარმა ქოიავამ კი ბურთს ჭვინტი წაჰკრა და თავადვე გაიკეთა საჩუქარი.

გოლის შემდეგ „მორკინალი" დამშვიდდა, რამდენიმე წუთს უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ მაინც „ბათუმმა" იძალა. რამდენჯერმე ჩუხუამ, მაჭუტაძემ, ორჯერ აფხაზავამ ნაღდი საგოლე მომენტები გააცუდეს. არადა, თითქმის ყველა გოლით უნდა დამთავრებულიყო, გვარამაძეს რომ ოდნავ უზუსტოდ ეთამაშა, ან კიდევ თავდამსხმელებს გამართლებოდათ. მატჩიც ასე დამთავრდა — „ბათუმი" უტევდა, „მორკინალი" კი ჭკვიანურად თამაშობდა და მეტოქეს საშველს არ აძლევდა.

„ნაარარატალი" „ბათუმი" ისე დაითარსა, ველარც ამჯერად იხეირა, „მორკინალმა" კი შინაური წარუმატებლობა მეორედ აღნიშნა გასვლაზე ქულის მოპოვებით.

ზუგდიდი
ცენტრალური
4 სექტემბერი

**ოდიში 4:0 სამგურალი**

**ოდიში:** სოლოლაშვილი (გაბელია 76), ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ლაცაბიძე, ტყემალაძე, რევაზიშვილი (თოლორდავა 61), ენდელაძე, კაიდარაშვილი, ნიტაიშვილი (ივეჩიანი 80), კალანდაძე
**სამგურალი:** თევზაძე, მახვილაძე, გვაშაკიძე, კოლუაშვილი, ქელიძე, ძაგნიძე (დ. ჯანელიძე 46), ფრანგიშვილი (ფხაკაძე 80), სუხიაშვილი, ი. ხაჭაპურიძე (თევდორაძე 29), დარსაძე, ჯანაშია
1:0 კაიდარაშვილი (10), 2:0 კალანდაძე (21), 3:0 ნიტაიშვილი (45), 4:0 ივეჩიანი (81)
**გაფრთხილება:** ფრანგიშვილი
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

ფოთი
„ფაზისი"
4 სექტემბერი

**კოლხეთი 2:0 გურია**

**კოლხეთი:** მ. გვასალია, ქუტიძე, კაკაჩია, გიორგაძე, ქუნთელია (პაპავა 85), ლაღანიძე, ფანჩულიძე, ტორჩინავა (ბაჩილავა 78), ჯ. გვასალია, წივწივაძე (კრასოვსკი 87), მ. ქობულაძე
**გურია:** გოგუა, ლურწკაია, კვეკვესკირი, კუპულაძე, გვარჯალაძე (პატარაია 46), თიბილაშვილი, გ. ჭელიძე, განევი, ჩხეტია, ბერიძე, ბულუხია
1:0 ტორჩინავა (51), 2:0 ლაღანიძე (80)
გაფრთხილება: პატარაია, თიბილაშვილი, ბაჩილავა
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

# პრეზიდენტი უპორტოდაა

**მერაბ მამულაშვილი** ფოთიდან

ფოთის პორტის უფროსად „კოლხეთის" პრეზიდენტის ვალერი გეგიძის ნაცვლად ჯემალ იმნაიშვილის დანიშვნამ გუნდის თავკაცები გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდო. დარჩება გეგიძე გუნდში თუ არა, ამას მალე გაარკვევენ. მთავარი მწვრთნელის სოსო ფილიას თქმით, ამ დღეებში მინსკის „დინამოსთან" პირველი შეხვედრის შემდეგ წასული ზამთარაძე დაუბრუნდებათ. ამაშუკელის დაბრუნების იმედიც აქვთ. კოლხთა მწვრთნელმა ისიც გვითხრა, რომ დადებითად გადაწყდა „ფაზისის" ფარმ-კლუბად გარდაქმნის საკითხი, რაც მეორე წრიდან იურიდიულადაც გაფორმდება, ამას გარდა კი ორი მოთამაშის გადაბირებაც გსურსო.

ყოფილი კოლხით ამჟამად კი „გურიას" მეკარე -გია გოგუათი უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგის ტერნოპოლის „ნივას" თავკაცები დაინტერესებულან. გოგუას სანახავად 18 აგვისტოს ლანჩხუთში „გურია" — „ტორპედოს" შეხვედრას ტერნოპოლელთა პრეზიდენტი, წარმოშობით ოზურგეთელი ავთანდილ მდინარაძე დასწრებია და გოგუაც მის ზარს ელის.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, იგი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა, ლანჩხუთელები წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ. რამდენიმე მწვავე კონტრშეტევაც განახორციელეს, მაგრამ მაინც ვერ იხეირეს. ყველაფერი მეორე ტაიმში გადაწყდა, როდესაც გურულებს დაღლა დაეტყოთ და დაცვაში რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, ფოთელებმა კი მოსაგებად ძალ-ღონე არ დაიშურეს და შეტევები უფრო გაამწვავეს. ეს ყოველივე ლოგიკურად აისახა შედეგზე. ჯერ იყო და, წივწივაძის დარტყმული მცველმა მოიგერია, რომელსაც ტორჩინავამ ზუსტად დაამატა. შეხვედრის მიწურულს კი და მოედანზე ახალშესულმა ბაჩილავამ მშვენიერი სწრაფი კომბინაცია წამოიწყო, გვასალიამ მარჯვენა ფლანგზე გიორგაძე მოძებნა, ამან კი საჯარიმოში შეჭრილი ლაღანიძეს მიაწოდა, რომელმაც პენალტის ნიშნულიდან გოგუასა და სამ მცველს შორის ღრიჭოში გააძვრინა ბურთი და მასპინძელთა ამბიციაც დააკმაყოფილა.

# დავით კლდიაშვილი: ჩვენ არავის გავუფრთხილებივართ

# ფეხბურთის ფედერაცია: ბათუმი გაფრთხილებული იყო

## სინამდვილეში რა მოხდა?

ბოლო დროს სკანდალური ისტორიები მოგვიმრავლდა. აქეთ „დინამოსა" და „მრეტებს" შორის გაუყოფელი თანხა, იქეთ ნაკრების ფეხბურთელთა თვითმფრინავში ღრეობაო, ბოლოს კი ყველაფერს „ბათუმის" ამბავიც დაემატა. აქამდე თითქმის ყველა ნომერში ვწერდით რაიმე ახალს, თუკი შევიტყობდით. ინფორმაციის მოსაპოვებლად ვინ არ შევაწუხეთ, კლუბის ხელმძღვანელებიდან დაწყებული უეფათი დამთავრებული, ორიოდ სიტყვას არავინ გვაძლიოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდა.

„ბათუმთან" დაკავშირებული სკანდალური ისტორია თითქოსდა მიწყნარდა, მაგრამ ერთი რამ კიდევ იყო გასარკვევი. ბათუმელებმა უეფაში აპელაცია რომ შეიტანეს, სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული სხდომის სრული ოქმი გვაინტერესებდა. როცა ფედერაციას მივაკითხეთ და ეს ვუთხარით, ასეთი პასუხით გამოგვისტუმრეს — ამ მასალას ვამზადებთ და ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ყველაფერს იხილავთო. რაღა გაეწყობოდა. უარი კი გვითხრეს, მაგრამ იმდენი მაინც მოვახერხეთ, 25 აგვისტოს ჟენევაში გამართული უეფას სააპელაციო მმართველობითი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ სრულად შევვეტყო. ეს ოქმიც ხელთ ვიგდეთ და „ბათუმის" ხელმძღვანელებსაც ვხოვეთ, კომენტარი გაეკეთებინათ უეფას საბოლოო ვერდიქტისთვის.

მოკლედ, არა მგონია, ხუთთაბახიანი აპელაციის ოქმის თარგმანი მთლიანად საინტერესო იყოს, მით უმეტეს, იმ პუნქტებისა, სადაც წერია: „ბათუმმა" უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ მოთამაშე სოლოლაშვილი იყო გუნდის შემადგენლობაში „არარატთან" მატჩისას. ის ფაქტი, რომ მოთამაშის დისკვალიფიკაცია არ იყო ხელახლა დამტკიცებული უეფას ოფიციალური დელეგატის მიერ, არ არის მნიშვნელოვანი". ამგვარებზე ადრე ვწერდით. ახლა კი საპელაციო კომიტეტის ოქმის იმ პუნქტების გადმოქართულებულ ტექსტს გთავაზობთ, უეჭველად საინტერესო რომ იქნება მკითხველისთვის:

**პუნქტი 1**

1. ...არბიტრის ანგარიშის, მოთამაშის დისციპლინარული ჩანაწერების, აგრეთვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წერილის განხილვისას კონტროლისა და დისციპლინარულმა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი ფაქტები:

ბუქარესტის „დინამოსა" და „კოლხეთის" მატჩიდან გამომდინარე, რომელიც შედგა 20.07.96 ინტერტოტოს თასზე, ფეხბურთელი დავით სოლოლაშვილი დისკვალიფიცირებული იყო ევროტურნირების ერთი მატჩით. კონტროლისა და დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილება 23.07.96 ფოსტითა და ფაქსით გაეგზავნა „კოლხეთის" საფეხბურთო კლუბს. იმავე დღეს ასლი ფაქსით გაეგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

ცირკულარული წერილით, რომელიც დათარიღებულია 30.05.97, უეფამ მიაწოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შემდეგ სეზონში დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელთა სია, რომელშიც დავით სოლოლაშვილიც ფიგურირებდა.

2. ...მიუხედავად უეფას გადაწყვეტილებისა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით კლუბმა „ბათუმმა" 21.08.97 დროულად და ყველა წესების დაცვით შეიტანა აპელაცია. კლუბის არგუმენტი ის იყო, რომ ეს უხეში შეცდომა სფფ-სა და „ბათუმის" გამოუცდელობამ გამოიწვია.

ეს უკანასკნელი („ბათუმი") თვლიდა, რომ დისკვალიფიკაცია მხოლოდ ინტერტოტოს თასის გათამაშებიდან გამოთიშვას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომ ცუდი ამინდების გამო ორგანიზატორები მთლიანად დაკავებულნი იყვნენ მეორე დღისთვის მატჩის გადადების საქმიანობით. თანაც აპელანტი აცხადებს, რომ უეფას ოფიციალურ დელეგატს კლუბისთვის წინასწარ, მატჩის დაწყებამდე უნდა ეცნობებინა დისციპლინალურ მდგომარეობაზე...

**პუნქტი 2**

საკონტროლო და დისციპლინარული კომიტეტის მიერ დადგენილი ფაქტები დადასტურებულ იქნა აპელაციის სამმართველოს ორგანოს თანდასწრებით. კერძოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა (დავით პეტრიაშვილი - რედ.) დაადასტურა, რომ კლუბი „ბათუმი" გაფრთხილებული იყო მოთამაშე დავით სოლოლაშვილის დისკვალიფიკაციის შესახებ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სოლოლაშვილის ყოფილმა გუნდმა „კოლხეთმა" არ აცნობა ახალ კლუბს დისკვალიფიკაციის შესახებ, ახალ კლუბს უნდა შეემოწმებინა მოთამაშის კვალიფიკაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, რომელმაც მიიღო ასლი დისკვალიფიკაციის შესახებ, ანაც უეფაში.

**პუნქტი 3**

–ერთი მხრივ, კლუბი, რომელმაც მიიღო უეფას მიერ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების სიის ასლი, გაფრთხილებული იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, რომ ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია. მეორე მხრივ, „ბათუმს", ისევე როგორც სხვა გუნდებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროტურნირებში, უნდა გადაემოწმებინა ყველა ახალი მოთამაშის დისციპლინალური მდგომარეობა და კონსულტაცია მიელო ადგილობრივი ასოციაციიდან ან პირდაპირ უეფადან.

...ასეთ შემთხვევაში ყველა კლუბი აგებს პასუხს. ეს პასუხისმგებლობა არავითარ შემთხვევაში არ ეკისრება უეფას. იმის განცხადება, რომ უეფას ერთ-ერთმა დელეგატმა უნდა აცნობოს კლუბს მატჩის დაწყებამდე, არის მხოლოდ კლუბის დაჟდევრობა...

ყველაზე საინტერესო და საყურადღებო სწორედ ზემოთმოყვანილი ციტატებია.

როგორც ჩანს, ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო განყოფილების უფროსმა დავით პეტრიაშვილმა საპელაციო კომიტეტის სხდომაზე უეფას ჩინოსნებს ყველაფერთან ერთად ისიც დაუდასტურა, რომ ფედერაციას თურმე გაფრთხილებული ჰყოლია „ბათუმი" დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების თაობაზე, უფრო კონკრეტულად კი — დავით სოლოლაშვილის შესახებ. დამეთანხმებით, ცოტა უცნაურია. დასკვნა თავად გააკეთეთ. ახლა კი „ბათუმის" პრეზიდენტთან დავით კლდიაშვილთან მოკლე ინტერვიუს შემოგთავაზებთ:

**— ბატონო დავით, უეფას საპელაციო კომიტეტის სხდომის ოქმში შავით თეთრზე წერია, რომ „ბათუმი" გააფრთხილეს, სოლოლაშვილი დისკვალიფიცირებულიაო.**

— სოლოლაშვილის დისკვალიფიკაციის თაობაზე არც ოფიციალური, არც არაოფიციალური გაფრთხილება არ მიგვიღია. ვიმეორებ, არავის გავუფრთხილებივართ. ამის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ არსებობს.

**— კი მაგრამ, მალხაზ მახარაძისა და მუჯირის დისკვალიფიკაციაზეც არაფერი უთქვამთ?**

— ჩვენ ვიცოდით, რომ მახარაძეს და მუჯირს თამაშის უფლება არ ჰქონდათ. ამიტომ მათ არც უთამაშიათ.

**— ეს ამბავი ფეხბურთის ფედერაციამ გაცნობათ?**

— ეს ჩვენ შეგვატყობინეს, რის საფუძველზეც ჭეიშვილსაც და ტექნიკურ დირექტორ ცინარიძესაც არაერთხელ ვუთხარით, ამა და ამ ფეხბურთელთა გამოყვანის უფლება არ გვაქვსო.

**— თქვენი თქმით, სფფ-ს თქვენთვის არაფერი უცნობებია. ფოთის „კოლხეთს"?**

— არც „კოლხეთს". ფოთელებმა მხოლოდ მას შემდეგ გაიხსნეს, რომ სოლოლაშვილი დისკვალიფიცირებული ყოფილა, რაც დაგვსაჯეს. მანამდე არ ახსოვდათ. უეფადან ფაქსი თურმე 1996 წელს მიუღიათ პირველად, მეორედ კი — 1997 წლის მაისში. ჩვენ კი არაფერი ვიცოდით.

**— ხმები დადის, „ბათუმი" ჩივილს აპირებსო.**

— ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიგვიღია.

**— ისე, მოსალოდნელია?**

— ჩვენ პოზიციებს არ დავთმობთ.

ასეთ შემთხვევებზე იტყვიან, კომენტარი ზედმეტიაო. თუმცა, ერთს მაინც დავსძენთ: „ბათუმს" უეფაში აპელაცია ჯერ კიდევ არ შეეტანა, რომ ფედერაციის ჩინოსნები ამტკიცებდნენ — რა გაფრთხილება, რის ფაქსი, ჩვენთან არაფერი მოსულა, ახლა აპელაციას შევიტანთ და მტყუან-მართალიც გაირჩევაო.

ცოტათი ადრე კი სოლოლაშვილის დისკვალიფიკაციის თაობაზე „ბათუმი" მატჩის ბერძენ კომისარს უნდა გაეფრთხილებინა, მან ეს არ გააკეთა, ამიტომ უეფაში აპელაციის შეტანას ვაპირებთო — გვითხრა სფფ-ს პრეს-სამსახურის უფროსმა ნოდარ კობერიძემ. თურმე, „ბათუმი" კომისარს უნდა გაეფრთხილებინა, რაც ფედერაციის მოხელეების სიტყვებიდანაც ჩანს: უეფას წესდება ყველა კომისარს გააჩნია, სადაც ერთ-ერთ პუნქტში მითითებულია — მოთამაშეთა დისკვალიფიკაციის შესახებ უეფა ატყობინებს კომისარს, კომისარი კი, თავის მხრივ, ვალდებულია, გააფრთხილოს კლუბი და მსაჯიო.

მიდი ახლა და ასეთი განცხადების შემდეგ ირწმუნე, ფედერაციას „ბათუმი" გაფრთხილებული რომ ჰყავდა. დამეთანხმებით, საეჭვოა.

ეს კი არა, როცა მეორე პუნქტში ამოვიკითხეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავით სოლოლაშვილის ყოფილმა გუნდმა „კოლხეთმა" არ აცნობა ახალ კლუბს დისკვალიფიკაციის შესახებ, მაშინაც უნდა შეემოწმებინა „ბათუმს" ფეხბურთელის კვალიფიკაცია ფედერაციაში ანაც უეფაშიო, მაშინვე მევლუდ ცინარიძეს მივმართეთ, რომელსაც უეფაში ადრეც დაუზუსტებია რაღაც ფაქტები:

— როცა „ბათუმი" პირველად მონაწილეობდა ევროტურნირზე, „სელტიკთან" თამაშამდე რაღაც გაუგებრობა მოხდა. ყველაფრის გასარკვევად უეფაში დავრეკე, ჟენევიდან ყველა საჭირო ინფორმაცია მივიღე და, როგორც წესი ითხოვდა, ისე მოვიქეცით. რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დამიბარეს და დელიკატურად მითხრეს, რომ მე არ მაქვს უეფაში დარეკვის უფლება. სანამ იქ დარეკავ ყველაფერი ჩვენთან უნდა შეათანხმოო — მიმითითეს. თურმე ჯერ სფფ-დან უნდა ამეღო ნებართვა და შემდეგ დავკავშირებოდი უეფას. საპელაციო კომიტეტის სხდომის ოქმში კი წერია, რომ ინფორმაცია უეფაში უნდა მიგვეღო. ეთქვათ მაინც, უეფას თქვენ უნდა დაუკავშირდეთ და არა ჩვენო.

ამ დროისთვის სულ ეს არის. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. არც ახალ-ახალ ინფორმაციებს მოგაკლებთ, თუ რა თქმა უნდა, გასასაიდუმლოებელი არაფერი მოხდა. თუმცა კი ფაქტია — „ბათუმს" სასჯელს აღარ შეუცვლიან. იმედიც იმისა, რომ დამნაშავე საკადრისად დაისჯება, მეტად მცირეა.

**კობა ინასარიძე**

# უშენგელიოდ

ხვალ რუსთავში ჩვენი თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევ ჯგუფში რუმინელებს შეეტრქებიან. რუმინელები გუშინ 18 საათზე [illegible] ჩამოვიდნენ. სტუმრები კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დააბინავეს. მეტოქემ გუშინვე „შევარდენის" სტადიონზე ივარჯიშა. რუმინელთა წვრთნას ჩვენი გუნდის მწვრთნელი თენგიზ კაცია დაესწრო და მისი თქმით, სტუმრები ურიგოდ არ გამოიყურებიან. მეტოქემ ერთი ოფიციალური მატჩის. გამართვა უკვე მოასწრო და მაკედონიას 4:1 მოუგო. რუმინელები თამაშამდე კიდევ ერთხელ ივარჯიშებენ, ოღონდ ამჯერად რუსთავის „ფოლადზე".

ჩვენები უკვე ერთი კვირაა შეკრებაზე არიან. კოპალეიშვილის ბიჭები სასტუმრო „მესაზღვრეში" ისვენებენ, ხოლო წვრთნას ვაკის სტადიონზე გადიან. გუშინ საღამოს კოპალეიშვილმა ვაკეში გუნდი ბოლოჯერ ავარჯიშა, დღეს კი რუსთავში გაემართება.

რუსთავში მატჩი 18 საათზე დაიწყება და სლოვაკები იმსაჯებენ, დელეგატი კი ანდრეი ბუტენკოა.

ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს ვახტანგ კოპალეიშვილს, ბუნებრივია, ცოტა საზრუნავი არ ექნება. მიუხედავად ბიჭების მონდომების და საბრძოლო განწყობილებისა, სიფრთხილე არავის აწყენს, მით უმეტეს, რომ ჩვენებურებს უმნიშვნელო, მაგრამ მიკრო-ტრავმები აწუხებთ, ხოლო ტორპედოელი გიორგი შენგელიას თამაში თითქმის გამორიცხულია. გიორგი ბოლო ჟამს შეუძლოდ შეიქნა და სასწრაფო გამოჯანმრთელების ძალზე მიზერული შანსი დარჩა.

ღმერთმა ქნას, ყველა ჯანზე გვყავდეს, რათა რუმინელებს საკადრისი პასუხი გავცეთ, მაგრამ ამჟამად კოპალეიშვილის განკარგულებაში 17 ფეხბურთელი დარჩა...

მეკარეები — ზურაბ ბათიაშვილი (თსუ), ზვიად ხაჩირაშვილი (კოდაკო); მცველები — ვალერი აბრამიძე, გიორგი შაშიაშვილი (დინამო 2), მამუკა წერეთელი (ვენდსპილსი, ლატვია), დავით ბაქრაძე (ლოკომოტივი), გურამ ხარებავა (თსუ), კახა ებრალიძე (ოდიში); ნახევარმცველები — მალხაზ აფციაური, მამუკა ახალაძე (ლოკომოტივი), დავით დილმელაშვილი, გივი კვარაცხელია, ლევან კორღალიძე, ოლეგ გველესიანი (დინამო 2); თავდამსხმელები — აჩიკო რომანაძე (ბათუმი), გიორგი ფარჯოსაძე (არმინია, გერმანია), ლაშა ჯაკობია (სტანდარდი, ბელგია).

**მამუკა კვანტალიანი**

# გაუფერულდა მერანი

თბილისი
„სინათლე"
4 სექტემბერი

**მერანი 1:0 დილა**

**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი, გოგიტაძე, ჯიშკარიანი (ცქიფურიშვილი 84), კაკუბავა, ქორიძე (ბაბულაიძე 90), კვარაცხელია, სიდამონიძე, ინიაშვილი, გოდერძიშვილი (გაბისონია 83), დავითაშვილი
**დილა:** ილურიძე, აკოფიანი, ხ. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი (ჩალაძე 75), მარეხაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, მარლიშვილი, ციცქიშვილი, ხორგუაშვილი, მინდიაშვილი
1:0 დავითაშვილი (65)
**გაფრთხილება:** ხორგუაშვილი, კვარაცხელია, ჯიშკარიანი, ხაჭაპურიძე
**მსაჯი:** ვ. სილაგავა (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი**

ავჭალელებს გუშინ მეტოქედ საშინაო თამაშების ოსტატი, გორელები ჰყავდათ. „დილა" გასვლით მატჩშიც კაი კერკეტი კაკალი გამოდგა. გამოცდილი და შეთამაშებული გუნდის ნახევარდაცვის და მით უმეტეს დაცვის გარღვევა იოლი სულაც არ გახლავთ. გორელებს მეკარის და თავდასხმის პრობლემაც რომ გადააჭრევინათ, ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებდნენ. ახალგაზრდა ილურიძეს ჯერ გამოცდილება აკლია, რომელიც წლებს მოაქვს, ამიტომ გაშინდელ სტუმრებს ცოტა მოცდა მოუწევთ.

მართალია, გუშინ „დილამ" წააგო, მაგრამ იყო მომენტები, როცა სტუმრები უპირატესობასაც ფლობდნენ და დაწინაურებაც შეეძლოთ. პირველ ნახევარში მასპინძლები აქტიურობდნენ და სამი სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ კომბინაციური, ან მახვილგონივრული გადაწყვეტილების შედეგი არც ერთი გახლდათ. სამივე ხიფათი მერანელთა შორეულ დარტყმებს მოჰყვა. ისე, მასპინძლებს პირველ ტაიმში გვარიანი ზურგქარიც ეხმარებოდათ. პირველმა გოდერძიშვილმა მოსინჯა ილურიძის საიმედოობა. მეკარე უხერხულად გადახტა და მისი ხელიდან ასხლეტილი ბურთი ხარიხამ კუთხურზე მოიგერია. მერე ქორიძემ დაჰკრა ძლიერად. ბურთი ისევ ხარიხამ უკუაგდო. მესამე ჯერზე მეკარემ ივაჟკაცა, როცა კაკუბავას საჯარიმო დარტყმას, მოქნილი ნახტომი დაახვედრა. ტაიმი იწურებოდა, გორელებმა ხელსაყრელი მომენტი რომ ვერ გამოიყენეს. ხაჭაპურიძემ მარლიშვილს გაუჭრა კარგი პასი, რომინმა გზად მცველი ჩამოიცილა და ხორგუაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა. ნაჭყებია ისევ გორელმა იხსნა. მომხდურმა დარტყმული აცილა.

მეორე ნახევრის დასაწყისი მასპინძლების იყო. აბრეზას მეკარემ აულო, მერე გოდერძიშვილმა თავით კი გაიტანა, მაგრამ თამაშგარე დაფიქსირდა. „მერანმა" მაინც იხეირა: კვარაცხელიას კუთხურს საჯარიმოში შევარდნილმა გოგიტაძემ ლონიერი თავური უსწორა. მეკარემ მოიგერია, მაგრამ შორს ვერა და დავითაშვილმა ილურიძეს შეცდომა არ აპატია — ბურთი მარჯვენა კუთხეში შეაგორა. ამის მერე გორელებმა ძლიერ მოინდომეს და მომენტიც შექმნეს, მაგრამ მასპინძლები ნაჭყებიამ გადაარჩინა. მეკარემ ჩალაძის ძლიერი დარტყმა მოიგერია, ხოლო მცველების სუსტად მოგერიებული ხაჭაპურიძემ ოდნავ არაზუსტად დაუმიზნა კარს.



დავით გოდერძიშვილის მკრატელა

მურაზ [illegible] ფოტო

**მეორე ჯგუფი**

VI ტური

სამეგრელო — თორი 2:3, ფაზისი — საპოვნელა 3:1, იბერია — კოლხეთი 1:3, იმერეთი — აკადემია 1:1, კოდაკო — სქური 2:7, ჯუბა — ასკ 0:2, ივერია — მერცხალი 4:0, მეშახტე — ცხინვალი 3:2

პირველი ტურის გადადებული მატჩი: იმერეთი — მეშახტე 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 6 | 5 | 1 | 0 | 20:2 | 16 |
| აკადემია | 6 | 5 | 1 | 0 | 22:9 | 16 |
| ივერია | 6 | 5 | 0 | 1 | 21:5 | 15 |
| მერცხალი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:10 | 13 |
| ჯუბა | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 13 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:10 | 13 |
| სქური | 6 | 4 | 0 | 2 | 16:10 | 12 |
| თორი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 |
| მეშახტე | 6 | 3 | 0 | 3 | 14:10 | 9 |
| ცხინვალი | 6 | 3 | 0 | 3 | 14:11 | 9 |
| სამეგრელო | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 |
| ფაზისი | 6 | 1 | 0 | 5 | 10:18 | 3 |
| იბერია | 6 | 1 | 0 | 5 | 6:18 | 3 |
| კოდაკო | 6 | 1 | 0 | 5 | 4:20 | 3 |
| იმერეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:22 | 1 |
| საპოვნელა | 6 | 0 | 0 | 6 | 2:18 | 0 |

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

გოგი ახვლედიანის



„სვეტი“

# ფეხბურთელებო, ქომაგებო, ქურდებო და პოლიციელებო — შევიკრათ!

ჩვენი სტადიონი ჭეშმარიტად ისტორიული არენაა. ვის აღარ უთამაშია აქ? დაპყრობილ-კოლონიური ქვეყნის პირობაზე პაიჭაძის (ძველად, იდიოტურ წესისამებრ ბერიას და ლენინის) სახელობის საფეხბურთო სახლში მართლაც დიდი და დიადი გუნდები გაგვიცნია.

ამათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და ნაკრებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კლუბებიც არ გვივიწყებდნენ. ხშირად ჩვენს „დინამოს“ ეს ხელს უშლიდა ევროპულ წინსვლაში, მაგრამ სანახაობა მართლაც დაუვიწყარი იყო ხოლმე.

თვრამეტი წელი გასულა მას შემდეგ, რაც წვიმიან საღამოს „ლივერპული“ დავამარცხეთ ამ საყვარელ მინდორზე და ისევე როგორც თქვენ, მეც მახსოვს წვიმიანი ქალაქის მოზეიმე ქუჩა, ხალხით გაჭედილი ტრიბუნები და ამაყი ხვლა ათიათასობით გაწუწული ადამიანისა. ეს იყო ჩვენი სტადიონის უდიადესი საღამო. ასეთი საერთაშორისო გამარჯვება არ ახსოვს ჩვენს მინდორს.

ჩვენ განებივრებულნი ვიყავით საუცხოო საერთაშორისო ფეხბურთით.

და კვლავ განებივრებულნი ვართ — ოთხიოდ დღეში იტალიელებს ვნახავთ ჩვენს მინდორზე.

ყველანი ვხვდებით, რომ ამ ჩვენს სტუმრებს სამი ქულის ჯიბეში ჩადება უნდათ. ყველანი ვხვდებით, რომ მათ ეს ხელეწიფებათ. დაცვა მათი მოგონილია და ათას მინდორზე გაწვრთნილი „ფანტაზისტებიც“ მათ ჰყავთ. იტალიის ნაკრებში იმდენი ვარსკვლავია, რამდენი ორდენიც ბრეჟნევს არა ჰქონდია.

მაგრამ მოდით, ამ ერთხელ, ჩვენ, ყველანი ერთად, შევიკრათ — ფეხბურთელები, მწვრთნელები, ადმინისტრატორები, მინისტრები, მოსწავლეები, ქურდები, დიასახლისები და რა თქმა უნდა ქომაგები. შევიკრათ, ახ წელიწადში ერთხელ მაინც!

შევიკრათ! შევიკრათ! დავივიწყოთ ყველაფერი — რაც ერთმანეთში უსიამოვნო მოგვსვლია. შევიკრათ ერთ საღამოს — საათნახევრით! ვითამაშოთ და ვიყვიროთ. შევიკრათ და არ გავაკეთებინოთ იტალიელებს ის, როსთვისაც აქ მოდიან, არ გავაკეთებინოთ! ერთხელ მაინც არ გავაკეთებინოთ ხხვას ჩვენი საზიანო საქმე.

ჩვენ — ვიყვიროთ, იოგები დავიწყვიტოთ, ჯიგრიანად ვაფრიალოთ დროშები. ბიჭებმა ითამაშონ. ყურები არ ჩამოვყაროთ, როცა გოლს გავუშვებთ — ჩვენ ათმაგად შემოვცხოთ დოლებს, ბიჭებმა — თავი დადონ. პირველიდან ბოლო წუთამდე — ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ერთიანი ჯიგრით, ერთი სულით, ერთი ფიქრით.

და გამოვა. გამოსულა სხვა ქვეყნებში. გამოსულა ხოლმე და ეს ძალიან ლამაზია.

გამოვა. ერთხელ უნდა გამოვიდეს. ერთხელ უნდა ვიყვიროთ და თუ მთელი ამ ამბის შემდეგ მაინც არ გამოვიდა, არ ვთქვათ „წააგეს“, ვთქვათ — „წავაგეთ“ და ეს ჩვენთვის კარგი იქნება.

ჩვენ ნელნელა მივეჩვევით მინდვრისა და ტრიბუნის ერთობას. აუცილებლად დაკრძალვაზე უნდა მოვხვდეთ, ერთსულოვნები რომ ვიყოთ?

მოდით — შევიკრათ და ხელი არ ჩავიქნიოთ.

„სკუადრა აძურა“ — უკეთესი გამოცდა ჩვენი თუნდაც საათნახევრიანი ერთობისა, ძნელი საპოვნია.



შესარჩევი ტურნირი
FRANCE 98

ევროპა

# პატივი მიაგეთ პრინცესა დაიანას

## ჰოლანდია — ბელგია

ჰოლანდიელთა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა მეშვიდე ჯგუფის ორი ლიდერის შერკინება წლის უმნიშვნელოვანეს მატჩად შერაცხა. ჰიდინკი ბელგიელთა ძალებს რეალურად აფასებს — შარშან ბრიუსელში 3:0 რომ მოვიგეთ, ის ბელგია გუნდი კი არა, უფრო ჯგრო იყო, ახლა მეტოქე გაცილებით ძლიერიაო. შინ განადგურების შემდეგ ბელგიელებმა მწვრთნელი შეცვალეს და ჟორჟ ლიკენსმა მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეუნარჩუნა. „წითელი ეშმაკუნების“ ყველაზე გამოცდილმა მოთამაშემ ენცო შიფომ განაცხადა, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ჰოლანდიელები გვჯობიან, მაგრამ ხშირად მომხდარა, სუსტს ძლიერი რომ დაუმარცხებიაო. მოკლედ, ბელგიელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, თუმცა ვარჯიშებზე ძალიან ბევრი ფეხბურთელი დაემტვრათ. ადრე გაცნობეთ, რომ თითქმის ათი კაცია დაშავებული, გუშინდელ ვარჯიშზე კი მეკარე დე ვილდემ ნეკა თითი იღრძო.

სანამ ბელგიელები გამალებით ემზადებიან რევანშისთვის, მათი კარის მეზობლები იმის ფიქრში არიან, ვაითუ როტერდამელმა გულშემატკივრებმა კლუივერტს აწყენინონო. ამან განაცხადა, მაყურებლებისგან გინება რომ გავიგო, ნაკრებში ჩემს ფეხს ველარ ნახავთო.

სავარაუდო შემადგენლობები:

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ფ. დე ბური, სტამი, ნუმანი ან ბოგარდი, ზეედორფი, იონკი, რ. დე ბური, კოკუ, ბერხკამპი, კლუივერტი.

ბელგია: დე ვილდე, ვან მეიერი, ვიდოვიჩი, ალბერი, კრასონი, ვან დერ ელსტი, სტალენსი, შიფო, ვან კერკჰოვენი, მპენზა, ოლივეირა.

## შოტლანდია — ბელარუსი

თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, შოტლანდიისა და ბელარუსის ნაკრებების თამაშს მივუბრუნდეთ და თანმიმდევრულად გადავხედოთ მის გამო ატეხილ აჟიოტაჟს. რომ არა უელსის პრინცესა დაიანას ტრაგიკული სიკვდილი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მეოთხე ევროპული ჯგუფის შეხვედრა, განრიგის თანახმად აბერდინში დღეს გაიმართებოდა, მაგრამ ლედი დაიანას პარიზულმა ავტოკატასტროფამ შოტლანდიელებს გეგმათა შეცვლა აიძულა. საქმე ის გახლავთ, რომ პრინცესას გასვენება დღეისთვისაა დანიშნული. ამ მოვლენამ ბრიტანეთში, უპირატესად კი მის დომინიონ ინგლისში, ყველაფერი დაჩრდილა. ტელევიზიასა და გაზეთებს სხვა თემა ფაქტობრივად აღარ აქვთ; ახლაც, თქვენ ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქ ლონდონში სულ ცოტა ექვსი მილიონი ადამიანი დგას ქუჩაში, რათა მომავალი ხელმწიფის დედა უკანასკნელ გზაზე გააცილოს. სხვა პირობებში საზოგადოების ასეთ მდგომარეობას მასობრივ ფსიქოზს დაარქმევდნენ, მაგრამ ამჯერად მას სახალხო სიყვარულს უწოდებენ.

გასაკვირი არ გახლავთ, რომ დღეს ბრიტანეთში სპორტული შეჯიბრება არ ტარდება. ყველაფერი გადადეს, აბერდინში ჩასატარებელი შოტლანდია — ბელარუსის მატჩის ჩათვლით, რომელიც ხვალ, გრინვიჩის დროით 13, ანუ თბილისის დროით 17 საათზე გაიმართება. გადადეს, მაგრამ ამ გადადებას ერთობ საინტერესო წინა ისტორია ჰქონდა. გადადეს კი არა, გადაადებინეს.

შოტლანდიელებმა, რომლებიც სულაც არ არიან ინგლისელები და ასე თუ ისე დღესაც ინგლისის მიერ დაპყრობილ ქვეყნად მიიჩნევენ თავს, როგორც ჩანს, ეშმაკობას მიმართეს: მათმა ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე დღის წინ ასეთი რამ განაცხადა — ჩვენ კი ვთხოვეთ ბელარუსებს მატჩის შაბათიდან გადანაცვლება, მაგრამ მათ ოთხშაბათს შინ ავსტრიელებთანაც აქვთ სათამაშო და ამიტომ შეხვედრის კვირას გამართვა არაფრით აწყობთ, საოთხშაბათოდ ძალებს ვერ აღიდგენენ, რის გამოც უარით გვიპასუხესო. ასეთმა განცხადებამ ბრიტანელები გაალიზიანა, მათ ბელარუსთა პასუხი უპატივცემულობად მიიჩნიეს, მაგრამ თურმე საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. ბრიტანეთში ბელარუსის ელჩი იძულებული გახდა საჯაროდ განეცხადებინა, ჩვენი პოზიცია ჯერ არ გამოგვიხატავს და ნებისმიერი მოლაპარაკებისთვის მზად გახლავართო. ანკი როგორ გამოხატავდნენ ყოფილი საბჭოელები თავიანთ პოზიციას, როდესაც მინსკში შოტლანდიიდან რაიმე თხოვნა მატჩის გადადების თაობაზე არ მისულა. იყო ერთადერთი ფაქსი, სადაც ეწერა, შეხვედრა დანიშნულ დროს დაიწყება, ოღონდ, თუ შეიძლება, თან შავი სამკლაურები იქონიეთო. მოკლედ, ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ევგენი შუტოვს შოტლანდიელი კოლეგის განზრახვის მხილება მოუხდა.

ბელარუსთა მდგომარეობა „სარბიელის“ თანამშრომელთათვის მოვლენათა მიმდინარეობისთანავე იყო ცნობილი, რადგან „მოზირისა“ და „დინამოს“ შეხვედრების წინ მინსკელ კოლეგებთან ჩვეულებრივზე ხშირი ურთიერთობა გვიწევს. მათგან ვიცოდით, რომ ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციისთვის შოტლანდიელებს არაფერი უთხოვიათ და როცა, ბოლოსდაბოლოს, იძულებულნი შეიქნენ ეთხოვათ, მათგანვე ხელად შევიტყვეთ.

ახლა იმაზე, თუ როგორ აიძულეს შოტლანდიელები, თამაში მაინცდამაინც პრინცესას დაკრძალვის დროს არ გაემართათ. საქმეში, არც მეტი, არც ნაკლები, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ჩაერია. გაჩაღდა კამპანია — წარსული დროების დიდმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა დენის ლოუმ განაცხადა, გასვენების დროს თამაში ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს მთელს მსოფლიოში ჩირქს მოსცხებსო. დონალდ დიუარიმ, შოტლანდიის პოლიტიკურმა მდივანმა, ფეხბურთის ფედერაციის საქციელი დაიწუნა და შეშფოთება გამოთქვა. გამოჩნდა ხალხი, ფედერაციის შენობის შესასვლელთან დალუპული პრინცესას სურათებს რომ აკრავდა და ბოლოს, ხმა ამოიღო სქოთთა ნაკრების სამმა წამყვანმა მოთამაშემაც. თავიდან ალი მაკკოისტის ნათქვამი გავრცელდა: „ასეთ პირობებში, ვერც საკუთარ თავს და ვერც ქომაგებს დავაყენებდი მორალური არჩევნის წინაშე. ამიტომაც ვითხოვე, ამ ჯერზე ნაკრებში არ გამოვეძახე. მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა ჩემი მდგომარეობა გაიგო, თუმცა მაინც ეწყინა. კრეიგი ის კაცია, რომლის წყენაც-მე გულს მტკენს“.

მაკკოისტის მსგავსად მოიქცნენ მეკარე ენდი გორამი და თავდამსხმელი გორდონ დიური. კომენტარი სთხოვეს კრეიგ ბრაუნსაც. „უჩვეულო მდგომარეობაში აღმოვჩნდით და ამიტომ ალი მაკკოისტისა და სხვა მოთამაშეების პოზიციას გაგებით შევხვდი — განაცხადა ბრაუნმა — ფეხბურთელები პრინცესას დაღუპვამ ერთობ დაამწუხრა, მაგრამ მაინც მგონია, რომ მათზე ოჯახებმა მოახდინეს ზეწოლა. იმედი მაქვს, ყველაფერი მალე მოგვარდება და ისინი მობილიზებულნი შეხვდებიან მატჩს, რომელიც თუ ერთი დღით გადაიდება, მაწყობს კიდეც — შეკრებაზე მეტ სამუშაოს შევასრულებთ“.

შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაცია რთულ დღეში ჩავარდა და იძულებული გახდა, მატჩის გადადების ნებართვა ფიფასაგან აეღო. ფიფამ ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში მოწყობილ გამსვლელ სხდომაზე განიხილა სქოთთა თხოვნა და, ცხადია, დააკმაყოფილა. ამის შემდეგ, BBC-ს რადიოს სქოთური ფედერაციის აღმასრულებელმა შეფმა ჯიმ ფერომ სენსაციური რამ განუცხადა. მან თქვა, რომ ფიფა თამაშის სხვა უქმეებზე ჩატარებას უარობდა, ბელარუსები კვირაზე თანახმანი არ იყვნენ, რის გამოც დაბნეული და განტევების ვაცად ქცეული შოტლანდიელები სიმწრისგან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საერთოდ თავის დანებებას აპირებდნენ.

ბელარუსებს კი თამაშის კვირისათვის გადატანის საწინააღმდეგო არაფერი აღმოაჩნდათ. ერთადერთი, რაც მასპინძლებს სთხოვეს, ის იყო, რომ ჩამოსვლით, დაგეგმილის თანახმად, ოთხში ჩამოვალთო. მათ შოტლანდიაში გადასაფრენად თვითმფრინავი დაუქირავებიათ, ავიაკომპანიასთან ყველაფერი შეუთანხმებიათ და მოგვარებულ საკითხებს ვეღარ არევდნენ. ახლა სტუმარი გუნდის აბერდინში ზედმეტად ყოფნის და თვითმფრინავის მოცდენის ხარჯებს შოტლანდიელები გადაიხდიან.

სპორტული თვალსაზრისით, ბელარუსები არაფერს ჰკარგავენ. მათ საფრანგეთში, ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მოხვედრის შანსი მაინც აღარ აქვთ და ეტყობა, აბერდინიდან დაბრუნებულები ავსტრიელებთან თამაშისთვის დასვენებას მოასწრებენ თუ ვერა, დიდად არ ადარდებთ. შოტლანდიელებს კი ეს უნდა აწუხებდეთ, რადგან ბელარუსებმა ავსტრიას ქულები თუ დააკარგვინეს, მათ ერთობ წაადგებათ. ამ საკითხით მეოთხე ჯგუფის კიდევ ერთი ფავორიტი, შვედეთის ეროვნული გუნდიც დაინტერესებულია. შვედებმა ფიფას გაუგზავნეს ფაქსი, რომელშიც მსოფლიო ფეხბურთის ხელმძღვანელებს მოსთხოვეს გარანტია, რომ ბელარუსის ნაკრები აბერდინიდან დროულად დაბრუნდება. შვედთა მწვრთნელმა ტომი სვენსონმა განაცხადა, საკუთრივ თამაშის გადადებას შეგუებულნი ვიყავით, რადგან ვხვდებოდით, რომ შოტლანდიელებს ამას აიძულებდნენო.

და ბოლოს, ამ წერილის წერისას რედაქციაში დაგვირეკა ბელარუსმა კოლეგამ, რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, გვაცნობა, რომ იგი, თავისი ქვეყნის ნაკრებთან ერთად უკვე აბერდინშია, სადაც საბოლოოდ დაზუსტდა შოტლანდია — ბელარუსის შეხვედრის თარიღი — კვირა, 7 სექტემბერი.

## გერმანია — პორტუგალია

პორტუგალიასთან მატჩში გამარჯვება მასპინძლებს ერთობ სჭირდებათ. შეხვედრა ბერლინში, ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება. ბერტი ფოგტსმა ეს მატჩი უმნიშვნელოვანესად მიიჩნია თავისი ნაკრებისთვის, თანაც განაცხადა, აქ თუ მოვიგეთ, მერე ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყეფსო. პორტუგალიელებთან მატჩის მერე, ოთხ დღეში, გერმანელები დორტმუნდში სომხებს მასპინძლობენ. ჰოდა, ამ ორი მატჩის მოგება დაუსახა მიზნად მწვრთნელმა გუნდს.

გერმანელებს მიოლერი გამოაკლდათ, რამაც ფოგტსი ძლიერ დააღონა, თუმცა განაცხადა, მართალია, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელს მოვისაკლისებთ, მაგრამ მისი შემცვლელიც გვყავს ჰესლერის სახითო. სავარაუდოდ, ძირითადში ითამაშებს გუნდის კაპიტანი იურგენ კლინსმანიც, ვისაც ნაკრებში, ზედიზედ შვიდი თამაშია, გოლი ვერ გაუტანია. ასეთი რამ ნაკრების უცვლელ ფორვარდთა შორის კარლ-ჰაინც რუმენიგეს დაემართა 1980-81 წლებში. ბოლოს კლინსმანმა ნაკრებში შარშან ოქტომბერში იხეირა, როცა ერევანში სომხებთან 5:1 მოგებულ შეხვედრაში ერთი გოლი შეაგდო. პორტუგალიელებთან მატჩი კლინსმანისთვის ეროვნულ გუნდში 99-ეა, ხოლო ოთხშაბათს სომხებთან საიუბილეო, მე-100 შეხვედრა ექნება, ამის აღნიშნას კი იურგენი გოლით აპირებს. განაცხადა კიდეც დათარსული მატჩები ადრეც მქონია, ვიცი, ყველაფერი გაივლის და გოლებიც მოვაო. „იურგენი შესანიშნავი მოთამაშეა, ამიტომ ის, რამდენიმე თამაშში გოლი რომ ვერ გაიტანა, არაფერს ნიშნავს. თავისი გოლები იურგენმა უკვე შეაგდო და გარწმუნებთ, კიდევ გაიტანს, ამიტომ მისი ნაკრებიდან ამოგდება არ შეიძლება“ — თქვა ბერტი ფოგტსმა. იურგენის პარტნიორი კი სავარაუდოდ ბირჰოფი იქნება, რომელიც, ბოლო ორი წელია, გერმანიის ნაკრების მშველელად იქცა. ჯერ იყო და ისჩვენსგან არაფრით გამორჩეულმა ევრო 96-ის ფინალში, შეცვლაზე შესულმა ორი გოლი შეაგდო და ნაკრებს ევროპის ს[illegible] ჩემპიონის გუნდის სახელი მოუპოვა, გასულ თვეს კი ჩრდილოეთ ირლანდიაში, გერმანელები 0:1 რომ აგებდნენ, მოედანზე კვლავ შემცვლელად შევიდა და 6 წუთში ჰეთ-თრიქი შეასრულა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ოლივერის ჰეთ-თრიქი გერმანიის ნაკრების ისტორიაში უსწრაფესია. თავად მან განაცხადა, ადრე ერთ მატჩში სამი გოლი არასდროს გამეტანა, ამის გაკეთებას კიდევ ვეცდები, მაგრამ არა მგონია, პორტუგალიასთან ჰეთ-თრიქის შესრულება ადვილი იყოსო.

ბირჰოფს ახლა უამრავი გუნდი ნატრობს. არადა, ათი წლის წინ მას სათადარიგოებშიც არ აყენებდნენ. 1985-1990 წლებში იგი „ჰამბურგში“, „ურდინგენში“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ სათადარიგოთა სკამს ხეხავდა. ბედს რომ ვერ ეწია, ავსტრიის „ზალცბურგში“ გადაბარგდა, იქ კი მას მილანის „ინტერმა“ ჰკიდა თვალი და თავისთან წაიყვანა. ამ ტრანსფერმა გერმანიაში ხალხი ძლიერ გააკვირვა — ისეთი დონის კლუბი, როგორიც „ინტერია“, ოლივერით როგორ დაინტერესდაო. მალე ბირჰოფმა მილანელებს იმედები გაუცრუა და იგი „ასკოლიში“ განათხოვრეს, მათთან ერთად კი ფორვარდმა სერია B-ში ჩაინაცვლა, სადაც გოლების გატანა დაიწყო და „უდინეზეშიც“ გადაბარგდა, იქ კი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგები მოიმკო და ნაკრების ფორვარდადაც იქცა. „მეეჭვება, სამშობლოში დავბრუნდე სათამაშოდ. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. გარემოც შესაბამისია, სხვაგან წასვლის სურვილიც არ გამჩენია“ — თქვა ბირჰოფმა.

ახლა გერმანელთა მეტოქეზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა: ნაკრების მწვრთნელი არტურ ჟორჟე კარგა ხნის წინ შეუდგა ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ მომზადებას — ჩვენ უკვე კარგი ნაკრები ვართ, გერმანელების დარი მეტოქეების დამარცხება ძალგვიძსო. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელებს ფერნანდო კოუტუ და ვიტორ ბაია არ ეყოლებათ, ისინი მაინც გამარჯვებაზე ფიქრობენ — მათ ხომ სხვა, არანაკლებ ძლიერი მოთამაშეებიც ჰყავთ. აქ სწორედ ერთ ერთ მათგან პაულო სოუზაზე მოგითხრობთ.

27 წლის სოუზა, შარშან „იუვენტუსიდან“ „დორტმუნდში“ რომ გადავიდა, მუხლის ტრავმამ გატანჯა. წელს იგი ნევიო სკალას ჯერ არ უთამაშებია, თუმცა ამაზე არ წუხს: „სკალა მართალია. მოცდა ჯობს. ხვალ უკეთეს ფორმაში ვიქნები და ვითამაშებ, ასე რომ, აქ საწყენი არაფერია.“ რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, მასზე პაულომ განაცხადა — ვიცი, გერმანელები თავიდანვე შეგვიტევენ, მათ მოგება სჭირდებათ. ჩვენ მათ კონტრშეტევებზე გამოჭერას ვეცდებითო.

სავარაუდო შემადგენლობები:

გერმანია: კეპკე, როიტერი, ჰელმერი, კოლერი, ნოვოტნი, ციგე, ჰაინრიხი, ბასლერი, ჰესლერი, კლინსმანი, ბირჰოფი.

პორტუგალია: კორეა, სერჟიუ კონსეისაუ, სევერო, ჰელდერი, სანტუში, ოსეანუ, პაულო სოუზა, ბარბოსა, რუი კოშტა, ფიგუ, ჟოაო პინტუ.

## ავსტრია — შვედეთი

ეს მატჩი ორივე მხარისთვის მეტად პრინციპულია. ფრე არც ისე სასურველია, დამარცხება კი საფრანგეთის საგზურის დაკარგვის ნიშანია. შვედების ბოლო წლების უცვლელმა მეკარემ თომას რაველიმ განაცხადა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა გვინდაო. თან დაამატა, ფრე ავსტრიელებს აწყობთო, მაგრამ მასპინძელთა მწვრთნელ ჰერბერტ პროხაზკას თქმით, ყაიმი ორივე მხარისთვის წამგებიანია. გასულ წელს სტოკჰოლმში ავსტრიელებმა იძალეს 1:0. ეს 1932 წლის შემდეგ მათი შვედეთში მოგებული პირველი მატჩი იყო. მაშინ კენეტ ანდერსონმა პენალტი ვერ შეაგდო, მერე კი ანდრეას ჰერცოგისგან გოლი გაუშვეს. სხვათა შორის, ჰერცოგს ვარჯიშზე ტერფის ტრავმა მიუღია, თუმცა, არც ისე მძიმე, ნაკრებში რომ ვერ ითამაშოს. სამაგიეროდ, შვედებთან მატჩს ახლაც გამოტოვებს დიტმარ კუჰბაუერი.

სავარაუდო შემადგენლობები:

ავსტრია: კონსელი, ფაიერზინგერი, შიოტელი, პფაიფერი, ჩერნი, მაინლიხი, ჰერცოგი, პფაიფენბერგერი, პრილესინგი, ვასტიჩი, პოლსტერი

შვედეთი: რაველი, ნილსონი, პატრიკ ანდერსონი, ბიორკლუნდი, კამარკი, ალექსანდერსონი, ტერნი, ზეტერბერგი, მილდი, კენეტ ანდერსონი, დალინი.

**ლაშა გოდუაძე**

### დღეს

| | | | |
|---|---|---|---|
| I ჯგუფი | ზაგრები | ხორვატია — ბოსნია | 23.15 |
| | ლიუბლიანა | სლოვენია — საბერძნეთი | 23.15 |
| III ჯგუფი | ბაქო | აზერბაიჯანი — ნორვეგია | 21.00 |
| | ლოზანა | შვეიცარია — ფინეთი | 23.15 |
| IV ჯგუფი | ვენა | ავსტრია — შვედეთი | 23.30 |
| | რიგა | ლატვია — ესტონეთი | 20.30 |
| VI ჯგუფი | ტოფტირი | ფარერები — ჩეხეთი | 20.00 |
| VII ჯგუფი | როტერდამი | ჰოლანდია — ბელგია | 23.00 |
| VIII ჯგუფი | რეიკიავიკი | ისლანდია — ირლანდია | 19.00 |
| | ეშენი | ლიხტენშტაინი — რუმინეთი | 18.30 |
| | ვილნიუსი | ლიტვა — მაკედონია | 20.30 |
| IX ჯგუფი | ერევანი | სომხეთი — ალბანეთი | 18.00 |
| | ბერლინი | გერმანია — პორტუგალია | 23.00 |

### ხვალ

| | | | |
|---|---|---|---|
| IV ჯგუფი | აბერდინი | შოტლანდია — ბელარუსი | 18.00 |
| V ჯგუფი | ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი — კვიპროსი | 20.00 |

*ბოლო სვეტში ნაჩვენებია თამაშების დაწყების თბილისური დრო*

# ლომბარდო: მინდა ძოლა ვიყო

## ქაჩალი არწივი თბილისში მოფრინავს

სამშაბათს ჩეზარე მალდინიმ თბილისში ჩამომსვლელ იტალიელთა სრული შემადგენლობა გამოაქვეყნა. იმ სიაში ატილიო ლომბარდოც ერია. დროგამოშვებით ხდებოდა და ისიც ირგებდა იტალიის ნაკრების მაისურს, მაგრამ რაც წლები ემატება, ქვეყნის პირველ გუნდში მოხვედრა სულ უფრო და უფრო უჭირს. საქართველოსთან ითამაშებს თუ არა, ეს უკვე უფროსი მალდინის გადასაწყვეტია, ჩვენ კი მანამდე ინგლისელი იან სტემფორდის ლომბარდოზე ჩანახატს გაგაცნობთ, ახლახანს ინგლისურ გაზეთ „ინდეპენდენტში“ რომ გამოქვეყნდა.

### მეტსახელები

ზის ატილიო სასტუმროს ჰოლში და იღიმება. გვერდით მისი მეგობარი დარიოა. ორი იტალიელი ახალ სიმღერას ასრულებს, რომელიც „კრისტალ პალასის“ ფეხბურთელებმა ლომბარდოს პატივსაცემად შეთხზეს. ისე, რაც ინგლისში გადაბარგდა, ატილიო მეგობრების ნაკლებობას სრულიადაც არ განიცდის, პირიქით — თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ახალ-ახალ ამხანაგებს იძენს. მოკლედ, სანამ სასტუმროში ცხოვრობს, დროს მხიარულად და გართობაში ატარებს. არც დარიოა უარზე. მალე ეს დუეტი სირინოზის ხმით ამღერდება. თავიდან დარიო იწყებს და პირველი ხმის ეფექტი თვალებს გიბნელებს. მალე ატილიოც უერთდება და ატყდა ერთი ვაიუშველებელი — ხმათა ჟღერადობა გამაყრუებელია. მალე, დაახლოებით წუთნახევარში, კონცერტს ამთავრებდნენ და სიცილით იხოცებიან. რომ დამინახეს, თვალებგადმოკარკლულნი უფრო ჩაბჟირდნენ. ატილიომ სული მოითქვა და სიმღერის დედააზრი ამიხსნა — ბიჭებმა პირველსავე ვარჯიშზე ორთქმავალი შემარქვეს და სწორედ ამაზეა ეს „ჰიტიო“. საქმე კი შემდეგში ყოფილა — ატილიო ფიზიკურად ერთობ ძლიერია: არც ალმაღალმა შეუჩერებელი სირბილი უჭირს, თანაც თამბაქოს ჩიბუხით გაბოლების დიდი ტრფიალი ყოფილა. მეტსახელიც სწორედ ამ ორი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით შეურქმევიათ. იქვე თავად ამიხსნა, „ორთქმავალს“ მხოლოდ მოთამაშეები მეძახიან, ისიც გასახდელში და როცა მარტონი ვართ, თორემ სტადიონზე და პუბლიკის წინაშე „ქაჩალი არწივი“ შემარქვესო. ამ მეტსახელის ახსნა საჭირო აღარაა. თითქოს მოთამაშეებისგან არ აკლდა ახალ-ახალი სახელები და ფანებსაც არ დაუხანებიათ. „კრისტალ პალასის“ ვარჯიშებს მუდამ ესწრება ხალხი და სწორედ იქ გავიგე, ატილიოსთვის „კვატისთავა“ დაურქმევიათ. თავად მას ეს სრულიადაც არ სწყინს. პირიქით — მრავალფეროვნება ძლიერ მიყვარსო.

### ფეხბურთი ინგლისში

— ვიცი, ბევრმა ჩემი ნაბიჯი, „იუვენტუსიდან“ „კრისტალ პალასში“ გადასვლას ვგულისხმობ, არასწორად მიიჩნია. თითქოს მართლებიც არიან. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდიდან კაცი არც ისე ძლიერ კლუბში რატომ უნდა გადახვიდე, მაგრამ მე მინდოდა ჩემი საფეხბურთო კარიერის ბოლო წლები ისე გამეტარებინა, როგორც მსურდა. ტურინში დიდი კონკურენცია იყო, ახალ-ახალი, მეტად ნიჭიერი ფეხბურთელები მოდიოდნენ, ჩემი ასაკის კაცმა კი, მათი გზა კარგა ხანია გავლილი რომ გაქვს, მომავალს ხელი არ უნდა შეუშალო. ეგეც არ იყოს, ძლიერ მინდოდა, ძირითადში მეთამაშა. იტალიაში ამის შესაძლებლობა არ მქონდა. აქ კი, აქ სულ სხვა სიტუაციაა. ფეხბურთი ინგლისში მარტო სპორტი არაა, იგი კიდევ უფრო დიდია. ინგლისური ფეხბურთი ბოლო ხუთი წლის მანძილზე უკეთესობისკენ დიდად შეიცვალა. გუნდები გამდიდრდნენ, სწორად მოხმარებულ ფულს კი რაც შეუძლია, კარგად მოგეხსენებათ. ადრე პრემიერლიგის თამაშებს ტელევიზორში ვუყურებდი და უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ თუ სადმე წავიდოდი, მხოლოდ და მხოლოდ ინგლისში. აქ გულშემატკივრები და ფეხბურთელები თითქოს უფრო ახლო არიან ერთმანეთთან. ძალიან მიხარია, როცა ტრიბუნებზე უამრავ ბავშვს და ქალს ვხედავ, იტალიაში კი ძირითადად კაცები დადიან სტადიონზე. მოკლედ, ინგლისი საფეხბურთო მექაა. ამასწინათ ინგლისის ნაკრების თამაში ჩემი თვალით ვნახე. საფრანგეთში ოთხთა ტურნირზე (ატილიომ იქ საფრანგეთის და ბრაზილიის წინააღმდეგ ითამაშა, ინგლისელებთან კი არა) და პირდაპირ გეტყვით, გაოცებული დავრჩი. არ მეგონა, თუ მათი თამაშის სტილი ასე შეიცვლებოდა. ეს, რაღა თქმა უნდა, იმის მაჩვენებელია, რომ ინგლისური ფეხბურთი სულ მაღლა და მაღლა მიიწევს. თანაც ჯერ მწვერვალისთვის არ მიუღწევია.

... ატილიო საუბარს დროებით წყვეტს და ჩიბუხში თამბაქოს ტენის. თუთუნის გაბოლებისას მუდამ მომღიმარ და მეგობრულ სახეზე კმაყოფილება აღებეჭდება. არა, ატილიო ნაღდად კარგი და გულღია კაცია...

— ბევრი რომ არ გავაგრძელო, ინგლისის ლიგა იტალიისგან ძლიერ განსხვავდება. ინგლისი სულ სხვა ყოფილა. ახლაც ვრწმუნდები, რომ „კრისტალ პალასში“ გადასვლით უაზრო ნაბიჯი სრულიადაც არ გადამიდგამს. პირიქით, ამით ბევრი რამ მოვიგე.

### პაოლა და ჯანლუკა

ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ატილიოს ინგლისში გადასვლა შეიძლება არც შემდგარიყო, რომ არა ჯანლუკა ვიალი. ლომბარდომ მეუღლეს, პაოლას, ინგლისზე რომ ჩამოუგდო სიტყვა, ქალმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — აქედან არსად წამსვლელი ვარო. მიზეზი კი მათი ორი წლის ვაჟის აღზრდა-განათლება ყოფილა.

— სანამ ბიჭი გაიზრდება, მანამ ბუცები ლურსმნებზე იქნება ჩამოკიდებული. ცხადია, ინგლისში სამუდამოდ არ დავრჩები, სამშობლოში აუცილებლად დავბრუნდები, მაგრამ მინდოდა, ცხოვრებაში რამე ცვლილება შემეტანა. რომ არა ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი ჯანლუკა ვიალი, ეს შეიძლება არც მომხდარიყო. პაოლასთან რომ ვერაფერი გავაწყვე, ჯანლუკა მოვიდა და რამდენიმე დღიანი საუბრის შემდეგ, როგორც იქნა, დაიყოლია. საბოლოო ჯამში პაოლას არ უნანია.

ვიალი, როგორც ნაღდ მეგობარს შეშვენის, ატილიოს მუდამ გვერდში უდგას. იგი ლონდონში ჩასული არ იყო, ჯანლუკამ თავისთან რომ დაპატიჟა. ატილიო ჯერჯერობით ჩელსიში ცხოვრობს და ვიალიც, დღე არ გავა, არ ესტუმროს. ჩელსელმა თავად იხუმრა, ლამისაა ამის გიდი გავხდეო. მართლაც, თავისუფალ დროს ლომბარდოს გარეშე იშვიათად ატარებს. თითქმის ერთი თვეა, რაც იგი ინგლისშია და ვიალიმ უკვე მთელი ლონდონი დააზეპირებინა. პაოლა კი ჯერაც იტალიაშია. მალე მისი მეუღლე სახლს აირჩევს და ოჯახსაც თავისთან ჩაიყვანს.

### „კრისტალ პალასი“

ატილიო ჯერ კიდევ „სამპდორიაში“ რომ თამაშობდა, მაშინ, 1990 წელს, ითამაშა პირველად „კრისტალ პალასის“ წინააღმდეგ. ის თამაში ბუნდოვნად ახსოვს, თუმცა ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. გუნდში ადაპტაცია არ გასჭირვებია...

— პირველ ვარჯიშზე ბიჭებმა ისეთი ატმოსფერო შექმნეს, თითქოს თავიდანვე აქ ვთამაშობდი. არ მეგონა, მათთან ურთიერთობა ასე თუ გამიადვილდებოდა. მართალია ჩვენი საუბარი ინგლისურად მიმდინარეობდა და ეს ენა არცთუ კარგად ვიცი, მაინც არაფერი გამჭირვებია. ვხვდები, რომ სწორედ იმ გუნდში მოვხვდი, რომელშიც მინდოდა. მსურდა ძირითადში მეთამაშა, და ვთამაშობ კიდეც. გოლების გატანა მეწადა — შევაგდე. რაც ფეხბურთთან დაკავშირებული ოცნებები მქონდა, თითქმის ყველა ავისრულე.

პრემიერლიგაში მისი დებიუტი ბრწყინვალე იყო: „კრისტალ პალასმა“ „ევერტონთან“ გასვლაზე მოიგო, ატილიომ ერთი თავად გაიტანა, მეორედ კი ლივერპულელებს პენალტი დასტყუა. ბევრი ირბინა აღმა-დაღმა, მართლაც ძლიერად ითამაშა.

— გარდა თანაგუნდელებისა, გულშემატკივრებიც ძალიან მეხმარებიან. „სამპდორიაში“ და „იუვენტუსში“ ასეთი მხარდაჭერა არ განმიცდია. მეორე თამაში



„ბარნსლისთან“ ნაღდად ჩავაგდეთ, მაგრამ გინება რაა, ისიც არ გამიგონია, იტალიაში კი ამ მხრივ საძაგელი სიტუაციაა. ინგლისში მაშინ უფრო გგულშემატკივრობენ, როცა გიჭირს. განა მართლები არ არიან? კაცს მაშინ გჭირდება მხარდაჭერა, როცა საქმეები ცუდად მიგდის, თორემ ლხინში ყველა შენი მეგობარია.

### ბოროტები

შარშანაც აპირებდა იგი ინგლისში გადაბარგებას, კერძოდ კი „შეფილდ უენსდეიში“, მაგრამ რიგი მიზეზების გამო გარიგება არ შედგა. მაშინ ინგლისში ერთი ამბავი ატეხეს, ამ ამპარტავანმა იტალიელმა „შეფილდ უენსდეის“ იმხელა თანხა მოსთხოვა, კლუბი იმ ხელფასით ორ მისნაირს შეინახავსო. ამან ატილიოს ძლიერ ატკინა გული. საქმე კი სულ სხვაგვარად ყოფილა:

— მაშინ, ინგლისელთა წინადადება რომ მივიღე, ალბიონს ჩემმა აგენტმა მიაშურა და ორიოდ დღეში უკან აღშფოთებული დაბრუნდა — ისეთი ხელფასი და პირობები შემოგთავაზეს, „იუვენტუსის“ მეორე კლუბის ფეხბურთელებს რომ არ ეკადრებათო. მოკლედ, ჩემი ინგლისში გადასვლა არ შედგა. აი, სწორედ მაშინ დაწერეს, ლომბარდო ფულს დახარბდაო. ასე ნაღდად არ ყოფილა. ჩემი მხრიდან ფულზე საუბარს ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, ვიცი ჩემი ფასი და დაცინვას ნამდვილად არ ვიმსახურებდი. ხალხმაც აიტაცა ჩემზე შეთხზული ჭორები და სულ ტყუილად მაძაგეს. „კრისტალ პალასში“ გადმოსვლაც გაჭინაურდა. გაზეთებშიც ჩემი ერთი სიტყვიდან სტატიები დაწერეს, თანაც ტყუილებით გაჟღენთილი. გულუბრყვილო ხალხი მოტყუვდა და ათასგვარი ჭორების მოსმენა მიხდებოდა. ვკითხულობდი ლომბარდოს ინტერვიუებს და ვგრძნობდი, რომ ეს მე არ ვიყავი. მათმა მოგონილმა ტყუილებმა გული ძლიერ დამწყვიტა, მაგრამ ყველაფერი გაირკვა და ხალხმაც სიმართლე გაიგო. ისე, ჟურნალისტებზე წყენა გულში არ ჩამიდვია.

### ძოლა თუ ფაბრიციო?

უკვე კარგა ხანია, მასთან ვსაუბრობ და ერთი კითხვა, რომელიც ძლიერ მაინტერესებს, ჯერაც არ დამისვია: საინტერესოა, ვინ უნდა ატილიოს იყოს „კრისტალ პალასისთვის“ — როგორც ძოლა „ჩელსისთვის“ თუ რავანელი „მიდლსბროსთვის“? თავად ატილიომ, ჩემდა გასაკვირად, ამ კითხვაზე დაუფიქრებლად მიპასუხა — ძოლას ავირჩევდიო. მიზეზად ის დაასახელა, რომ, მიუხედავად ფაბრიციოს უამრავი გოლისა, „მიდლსბრო“ მაინც გავარდა, „ჩელსი“ კი, სადაც ძოლა სრულიადაც არაა უპირველესი ბომბარდირი, აღორძინების გზას ადგას და აგერ თასიც მოიგო. მთლიანობაში მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი პოზიციიდან „კრისტალ პალასისთვის“ სჯობს, ძოლა იყოს, ვიდრე რავანელი. ასე რომ, ლომბარდოს ძოლაობა უნდა.

დრო ყველაფერს გვიჩვენებს.

**თარგმნა გიგა კობახიძემ**

# იტალიასთან უბილეთოდ ჩიტიც ვერ შეფრინდება

სამშაბათს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი თანმხლებ პირებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი სოსო ალავიძე და სხვა ოფიციალური პირები, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს ესტუმრნენ.

თავდაპირველად ლეკიშვილი დასავლეთ ტრიბუნას ეწვია, სადაც 2000 სკამის დამონტაჟება მიმდინარეობს, თუმცა მასპინძელთა გასაკვირად სახელმწიფო მინისტრი გაწბილებული დარჩა. უკმაყოფილება სხვა სტუმრებსაც ეტყობოდათ და ამის მიზეზი ყველა იქ მყოფისთვის ნათელი იყო — ტრიბუნაზე გუშინწინდელი წვიმა გუბეებად დარჩენილიყო. ეს კი, ცხადია, სარემონტო სამუშაოების უვარგისობაზე მეტყველებს. ესაც არ იყოს, იტალიურ პლასტმასის სკამებზე, რომელიც საკმაოდ მკვრივი აღმოჩნდა, წყალი დაგუბებულიყო. მოკლედ, ნანახით სტუმრები აშკარად გაწბილებულნი დარჩნენ. ტრიბუნის დათვალიერებისა და შენიშვნების გამოთქმის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი, მისი თანმხლებნი და იქ მყოფნი ჟურნალისტები სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მიგვიწვიეს, სადაც გაიმართა სჯა-ბაასი სტადიონის ბედსა და იტალიასთან მომავალი თამაშის თაობაზე. ჟურნალისტებთან შეხვედრას ზემოთ ნახსენები სკამების მწარმოებელი იტალიური ფირმის „ფინეურო კონსალტინგის“ პრეზიდენტი ჯორჯო მიზარენდინო და მისი მეუღლეც ესწრებოდნენ.

შეხვედრა სტადიონის გამგეობამ, უფრო სწორად კი ნაგებობის სამეთვალყურეო საბჭომ გახსნა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ძირითადად სტადიონის დღევანდელ გაჭირვებაზე ისაუბრეს. მათ კიდევ ერთხელ გაიმეორეს ისედაც კარგად ცნობილი ამბავი, რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, რაზედაც ცნობილი ზარიევის ინსტიტუტის დასკვნაც მოწმობს. კვლავ განმეორდა ათასჯერ თქმული: თუ დროზე არ მიეხედება სტადიონს და მალე არ გამოინახება სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხა, სტადიონი შეიძლება ერთ დღეს თავზე დაგვექცეს. აღინიშნა, რომ საქქალაქპროექტის მიერ კარგა ხნის წინ შემუშავდა ორნაწილიანი გეგმა, რომელიც სტადიონზე ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებს ითვალისწინებდა. პირველ ეტაპისთვის, რომელიც შენობის საძირკვლის საფუძვლიან გამაგრებას და მიწაში დაგროვილი წყლის ამოქაჩვას ისახავდა მიზნად, გამოყოფილ იქნა 2 მილიონი ლარი, თუმცა, ამ თანხის სრულად მოხმარების შემდეგ „თბილგვირაბმშენმა“ სამუშაოები შეწყვიტა. ასევე მთლიანად აითვისეს დრენაჟის შესაკეთებლად გამოყოფილი მილიონ 800 ათასი ლარი, მაგრამ მინდვრის სრულყოფა მაინც ვერ მოხერხდა. ისიც არ დარჩა უთქმელი, რომ სტადიონის სახურავი ზოგიერთ ადგილას შესარემონტებელია. არც განათების მხრივაა კარგად საქმე. იმ ძალის პროჟექტორები, რაც აქაა დამონტაჟებული, უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. საუბარში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე ჩაერია და დამსწრეთ მოახსენა, რომ უეფამ გამოყო 275 ათასი დოლარი, რომელიც სწორედ შესაბამისი დონის განათების დამონტაჟებას მოხმარდება. მან დასძინა, რომ ფედერაცია მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ ფირმებთან — „ფილიპსთან“ და „სიმენსთან“ საჭირო აპარატურის თაობაზე. რაც შეეხება იტალიასთან მატჩს, ანდრიაძემ განაცხადა, რომ 10 სექტემბრისთვის თბილისში დამონტაჟებული იქნება იტალიელთა მიერ ჩამოტანილი ერთჯერადი პროჟექტორები, რომელთა საშუალებითაც მოხერხდება ამ თამაშის მთელს ევროპაში ტრანსლაცია.

ანდრიაძის მოკლე სიტყვის შემდეგ სტადიონის სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლებმა კვლავ გააგრძელეს სიდუხჭირეზე საუბარი. გაირკვა, რომ 1994 წლის მეორე კვარტლის შემდეგ სტადიონი წამგებიანია, თანაც, რაც დრო გადის, ზარალი სულ უფრო და უფრო იზრდება. საერთო ჯამში, ბოლო სამი წლის მანძილზე, სტადიონმა დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარამდე იზარალა. დაკონკრეტებაზე რომ მიდგა საქმე, სამეთვალყურეო საბჭომ განაცხადა, რომ ერთი თამაშისთვის მომზადება სტადიონს 15 ათასი ლარი უჯდება, შემოსული კი მხოლოდ სამი ათასია, რომლის 70-80 პროცენტი თამაშის მომწყობს მიაქვს. ისიც დასძინეს, რომ დღესდღეობით შენობას თბილწყალკანალის 179 ათასი ლარი მართებს, თელასის — 150 000, კიდევ სხვა ვალებმა კი საერთო ჯამში დაახლოებით მილიონი ლარი შეადგინა. ვალების დაფარვის მიზნით მეთვალყურეო საბჭომ წამოაყენა წინადადება პირველ და მეორე იარუსზე დროებითი ბაზრობის მოწყობის თაობაზე, თუმცა ამ აზრმა სახელმწიფო მინისტრის მოწონება ვერ დაიმსახურა, პირიქით — ლეკიშვილმა ამ ნაბიჯს დამღუპველი უწოდა.

სტადიონის სამეთვალყურეო საბჭომ თხოვნით მიმართა სახელმწიფო მინისტრს — სტადიონი არქიტექტურულ ძეგლთა სიაში შეიყვანეთ, რის წყალობითაც შენობა მიწის გადასახადისგან განთავისუფლდებაო. ეს პრობლემას არ წარმოადგენს, საქმე ერთ კვირაში მოგვარდებაო — იყო პასუხი. თბილწყალკანალის წარმომადგენლებს სტადიონის სამეთვალყურეო საბჭომ დაგროვილი ვალის დროებით გაყინვა სთხოვა, თბილისის მერ ბადრი შოშიტაიშვილს კი დახმარების სახით 250 ათასი ლარის გამოყოფა.

სამეთვალყურეო საბჭომ სპორტის დეპარტამენტსაც, კონკრეტულად, ჯანო ბაგრატიონს მიმართა თხოვნით, სპორტული ინვენტარი სტადიონზე განადგურებულია, იქნებ მოგვამარაგოთო, რაზეც თანხმობა მიიღო. იმავე საბჭომ დიდუბის რაიონის გამგეობას მოსთხოვა, სტადიონზე მდებარე სასადილო ან ჩვენ გადმოგვეცით, ანაც სულ აიღეთ, ხელს გვიშლისო. იმავე ორგანიზაციას სტადიონის გარეთ ვაჭრობის აკრძალვა და საავტომობილო გაჩერების გაუქმება მოეთხოვა.

ამის შემდეგ კვლავ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ ითხოვა სიტყვა. უეფას უკვე გაუფრთხილებია ფედერაცია, რომ თუ უეფას მიერ ჩატარებულ თამაშებზე მაყურებლებისა და გაყიდული ბილეთების რაოდენობას შორის დიდი განსხვავება იქნება, ჩვენს გუნდებს შინ თამაში აეკრძალებათ. ანდრიაძის თქმით, ინგლისთან მატჩისას ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობა და ფედერაცია შეთანხმებულან, სტადიონზე უბილეთოები არ შევუშვათო, მაგრამ ეს არ შესრულდა. ამ საკითხზე სახელმწიფო მინისტრმაც გაამახვილა ყურადღება — იტალიასთან იგივე რომ არ განმეორდეს, ფედერაციამ და პოლიციამ ხელშეკრულება დადეთ, რომელშიც ნათლად იქნება ასახული ორივე მხარის მოვალეობა, ამას სანაცვლოდ კი ფედერაციამ პოლიციას თანხა გადაუხადოსო. ამაზე ანდრიაძემ თანხმობა განაცხადა.

— რაც შეეხება პოლიციას, მის მიმართ დიდი თხოვნა მაქვს. ხალხი უნდა მივაჩვიოთ იმას, რომ უბილეთოები თამაშს ვერ დაესწრებიან. კაცი, რომელიც კონტროლიორამდე მიდის, მხოლოდ ბილეთიანი უნდა იყოს, სხვაგვარად არ შეიძლება — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. მერე მან დიდხანს ისაუბრა სტადიონის ავ-კარგზე, თქვა, რომ ამ გაჭირვების ჟამს შენობის ბედით მარტო ქალაქის მერი კი არა, სტადიონის აქციების მფლობელი სხვა ორგანიზაციებიც უნდა დაინტერესდნენ. მინისტრმა მოუწოდა სამეთვალყურეო საბჭოს, ბანკების კრედიტები მოიზიდეთო, ხოლო როცა იკითხა, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (სკამების დაყენება, განათების დამონტაჟება, დრენაჟის შეკეთება) როდის დასრულებაო, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა უპასუხა, მომავალი სეზონისთვის ყველაფერი რიგზე იქნებაო.

ბოლოს სახელმწიფოს მინისტრმა სტადიონის თავკაცებს, დიდუბის რაიონის ხელმძღვანელობას და ქალაქის მერს საერთაშორისო თუ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებისთვის რეკლამის გაწევა დაავალა.

— როცა აქ მნიშვნელოვანი მატჩები იმართება, ამას გულშემატკივრები, მათ შორის მეც, „სარბიელიდან“ და ერთი-ორი სხვა გაზეთიდან ვიგებთ. ასე არ უნდა ხდებოდეს. იმას არ ვამბობ, გაზეთები არ უნდა წერდნენ-მეთქი, უბრალოდ, ქალაქში ფეხბურთის გულშემატკივარი სარეკლამო აფიშებს ხშირად უნდა ხედავდეს — განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა.

ამის შემდეგ შეხვედრა დასრულდა, თუმცა სახელმწიფო მინისტრმა, ქალაქის მერმა, ჯორჯო მიზარენდინომ და რამდენიმე ოფიციალურმა პირმა საუბარი დახურულ კარს მიღმა გააგრძელეს.

**ლაშა გოდუაძე**

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### ევროპა

#### ხორვატია — ბოსნია

ზაგრებში მეტად პრინციპული მატჩია. ხორვატები და ბოსნიელები კვლავ აგრძელებენ ბრძოლას, ოღონდ უკვე წესების დაცვით, მინდორზე. გასვლითი მატჩი ხორვატებმა ნეიტრალურ ქვეყანაში, იტალიის ქალაქ ბოლონიაში ითამაშეს. მაშინ მათ 4:1 მოიგეს, ახლა კი მათი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი აცხადებს, შინ წინააღმდეგობა უფრო მეტი გვექნება, ვიდრე გარეთ, თუ არადა, აგერ, ნახავთო. „ბოსნიასთან თამაში უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვიდრე დანიელებთან მატჩი. მთავარია, ამათ ვძლიოთ, თორემ დანიელებს როგორ უნდა მოვუგოთ, ეს კიდევ ევროპის ჩემპიონატზე დავასკვენი" — განაცხადა ბლაჟევიჩმა. მისი თქმით, რობერტ პროსინეჩკი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. მისი შემცვლელი ზაგრების „კროაციის" ნახევარმცველი სილვიო მარიჩი იქნებოდა.

სავარაუდო შემადგენლობები:

ხორვატია: ლადიჩი, სიმიჩი, იასინი, იურიჩი, შტიმაცი, ბილიჩი, მარიჩი, ასანოვიჩი, ბობანი, შუკერი, ბოკშიჩი.

ბოსნია: დედიჩი, იასარევიჩი, ბესერევიჩი, კონიჩი, რეპუხი, მიუჩინი, ბოლიჩი, ბალკიჩი, კოდრო, სალიხამიჯიჩი, ალილოვიჩი.

#### აზერბაიჯანი — ნორვეგია

ჩვენი მეზობლები დღევანდელი ბაქოს მატჩისთვის ასეთი შემადგენლობით ემზადებოდნენ:

მეკარეები — ალექსანდრ ჟიდკოვი (ჰაპოელი, ზაფრირიმი), ნაზიმ სადიკოვი (ქიაფაზი); მცველები — დენი გაისუმოვი (ნეფთჩი), ფაიკ ჯაბაროვი (ქიაფაზი), რაზიმ აბგუშევი (დინამო, სტავროპოლი), ასლან კარიმოვი, ტარლან ახმედოვი (ყარაბაღი); ნახევარმცველები — ემინ აგაევი, ნარვიკ სირკახაევი (ანჟი), რუფატ ყულიევი (ხაზრი), ვაჩესლავ ლიჩინი (ტპს, ფინეთი), რუსლან მასაევი (ფლორა, ესტონეთი), მახმუდ გურბანოვი (ქიაფაზი), ვიტალი რზაევი (ნეფთჩი); თავდამსხმელები — იუნის ჰუსეინოვი, ყურბან ყურბანოვი, სამირ ალიევი (ნეფთჩი), ველი კასუმოვი (სევილია, ესპანეთი), ჩანგი მამედოვი (სუმგაითი), ნაზიმ სულეიმანოვი (ჟემჩუჟინა, რუსეთი).

#### ისლანდია — ირლანდია

უელსის პრინცესა დაიანას ხსოვნას მთელი ბრიტანეთი მიაგებს პატივს. ამ საქმეში არც ბრიტანეთიდან დამოუკიდებელი ირლანდია დარჩა გაზზე.

ირლანდიელები რეიკიავიში ისლანდიას ეთამაშებიან და ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, მოთამაშეები მინდორზე შავი სამკლაურებით გავლენ. ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, ისლანდიელებთან თამაშის წინ, მასპინძლებთან შეთანხმების საფუძველზე გულშემატკივრები წუთიერი დუმილით მიაგებენ პატივს დაიანას ხსოვნასო. მან თქვა, მართალია, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის იურისდიქცია ჩვენს ქვეყანაზე არ ვრცელდება, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლით, ტრაგიკულად დაღუპული დაიანას პატივსაცემად ასე მოვიქცეთო.

## წავიდა ჰეე!..

ოთხშაბათს არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ მეორეჯერაც შეამოწმა დიეგო მარადონა. ანალიზების შედეგები ზუსტად ისეთივე აღმოჩნდა, როგორც პირველი შემოწმებისას. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მარადონა აკრძალულ პრეპარატებს იღებს. ხუთშაბათს სადისციპლინო კომიტეტი დიეგოს განაჩენს — სავარაუდოდ, ხუთწლიან დისკვალიფიკაციას — გამოუტანს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის კარიერა დასრულდება. თავად დიეგო კომენტარისგან თავს იკავებს, მისი მენეჯერი გილერმო კოპოლა კი არ ჩერდება — გინდა თუ არა, დიეგოს ნარკოტიკები ჩუმად შეაპარესო. მანვე განაცხადა, ბოლო დღეებია, მარადონას მავანი გარეწრები ურეკავენ, თან აქილიკებენ — ნახე რა დაგმართეთო. კოპოლამ ამ ზარების შესახებ ფედერალური სასამართლოს მოსამართლეს აცნობა, მაგრამ ამან ცივი უარი განაცხადა — თუ დამამტკიცებელი საბუთები არ გექნებათ, მაგ საკითხს არ განვიხილავთო.

დიეგომ კი გუშინ განაცხადა, რაც უნდათ, ის მომისაჯონ, აღარც ძალა შემწევს და აღარც ფეხბურთში დაბრუნების სურვილი მაქვსო.

## ქართველების იმედად

მაშინ, როცა თბილისში ქართველები იტალიელებს შეერკინებით, ლონდონში ჩვენი ორჯერ 2:0 მძლეველი ინგლისელები მოლდოვას უმასპინძლებენ. იტალიელთა დარად, ინგლისშიც მოისაკლისეს ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი — ტედი შერინგემი. იგი მორიგ ვარჯიშზე მუცლის ტკივილმა შეაწუხა, ნაკრების ექიმებმა კი საგულდაგულო შემოწმების მერე დაასკვნეს, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნობის კანდიდატს ორი ნეკნი გაბზარვოდა. ტრავმა რომ არ გაუარესებულიყო, შერინგემი სამკურნალოდ გაუშვეს. როგორც ფორვარდმა თქვა, ტკივილები 23 აგვისტოს „ლესტერთან" მატჩის შემდეგ დაეწყო, მაგრამ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია.

ჰოდლი შერინგემის დაკარგვამ ძლიერ დაალონა — გარდა იმისა, რომ ძლიერი თავდამსხმელია, ტედის კაპიტნად დაყენებას ვაპირებდით, ახლა კი ვინ იქნება გუნდის თავი, ჯერ არ მომიფიქრებიაო. ალან შირერი, ბოლო ხანებში რომ კაპიტნობდა ნაკრებს, კარგა ხნითაა ფეხბურთს ჩამოშორებული, ევრო 96-ზე გუნდის კაპიტანი ტონი ადამსი დაშავებულია, ამ საქმეში კიდევ ერთი გამოცდილი პოლ ინსი კი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს. კიდევ ერთი კაპიტანი სტიუარტ პირსი ტრავმირებულია, ხოლო დევიდ პლატი, თავის დროზე რომ გაუკეთებია კაპიტნის სამკლაური, გუნდში აღარ არის. მათი არყოფნა კი იმას ნიშნავს, რომ „უემბლიზე" ინგლისს ახალი კაპიტანი, სავარაუდოდ, დევიდ სიმენი ანაც გარეთ საუთგეიტი გაიყვანს. ფიქრობენ სქოულზეც, მაგრამ ჯერჯერობით ესეც კანდიდატთა შორისაა.

ჰოდლმა შერინგემის გარეშე მოლდოვას კი გაუმკლავდება როგორმე, მაგრამ თუ ტედი იტალიასთან თამაშამდე ვერ მომჯობინდა, მაშინ სიტუაცია დამაფიქრებელი იქნება. ტედის ვარჯიშის განახლებას სამ კვირაში უწინასწარმეტყველებენ, თუმცა ნეკნის ტრავმა ისეთი რამაა, შესაძლოა, მკურნალობამ მეტი დრო მოითხოვოს. განა სიმენი არ იყო, ერთი ნეკნის ტრავმამ ორ თვეზე მეტი რომ გააცდენინა, ადამსმაც ხომ იგივე მიზეზით ვერ ითამაშა ერთი თვით. მოკლედ, შებრძოლება თუ არა ტედი იტალიელებს, ოქტომბერში გაირკვევა, მანამდე კი ინგლისელები მოლდოველთა ძლევის და ქართველთა სიმარჯვის იმედად არიან.

ამასობაში შემადგენლობა ინგლისელთა მეტოქემაც დაასახელა. მოლდოველთა მწვრთნელმა იონ კარასმა საუემბლოდ შემდეგი მოთამაშეები გამოიძახა:

მეკარეები — სერგეი დინოვი (კონსტრუქტორული), ევგენი ივანოვი (ტილიგული), დენის რომანენკო (ზიმბრუ); მცველები — სერგეი ბელოუსი, სერგიუ სეკუ (ტილიგული), ვატალი კულიბაბა, ოლეგ ფისტიკანი, რადუ რებეჯა, სერგეი სტროიენკო, იონ ტესტიმიცანუ, ვასილ ტოლოკონიკოვი (ზიმბრუ); ნახევარმცველები — ბორის ჩებოტარიოვი, მარიან სპინი, სერგეი ეპურიანუ (ზიმბრუ), ალექსანდრ კურდეუ (ვიძევი), იგორ ფილიპი (კონსტრუქტორული), ალექსანდრ პოპოვიჩი (ტილიგული); თავდამსხმელები — იური მიტერევი, ალექსანდრ სუხარევი (ზიმბრუ), სერგეი როგაჩევი (ბელცი).

### პოლონეთი

მე-6 ტური. ვიძევი — გურნიკი 5:0; ვისლა — ზაგლებიე 2:1; ოდრა — ლეხი 1:0; რაკოვი — ოსტროვიეცი 0:0; რუხი — ლკს 0:2; პოლონია — ლეგია 1:1; გროცლინი — გკს 0:0; პოგონი — ამიცა 2:2; სტომილი — პეტროხემია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:2 | 15 |
| ლკს | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| ლეხი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| სტომილი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ვისლა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:9 | 10 |
| გკს | 6 | 2 | 3 | 1 | 11:6 | 9 |
| ოდრა | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | 9 |
| ამიცა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| გროცლინი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| პოგონი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| ლეგია | 6 | 1 | 4 | 1 | 11:8 | 7 |
| პოლონია | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| გურნიკი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:16 | 7 |
| რუხი | 6 | 1 | 3 | 2 | 10:11 | 6 |
| ზაგლებიე | 6 | 2 | 0 | 4 | 7:8 | 6 |
| ოსტროვიეცი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |
| რაკოვი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| პეტროხემია | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |

### ინგლისი

#### პირველი დივიზიონი
#### V ტურის მატჩები
#### ნოტინგემი 1:3 სიტი

სიტი: მარგეტსონი, ბრაითველი, ვან ბლერკი, ვიკენსი, საიმონსი, ეჯილი, ბრედბერი, სამერბი, ბრენენი, ჰორლოკი, ქინქლაძე (დიკოვი 75)

გოლი: 0:1, 0:2 ბრენენი (20,71), 1:2 კემპბელი (81), 1:3 დიკოვი (88)

რაც „ნოტინგემიდან" გააგდეს, მანჩესტერელთა ახლანდელი თავკაცი ფრენკ კლარკი პირველად ეწვია ნოტინგემს და მასპინძლებს ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ პირველად წააგებინა. „სიტიმ" შესანიშნავად ითამაშა. გამარჯვებაში გიომაც თავისი, არცთუ პატარა წილი დაიდო. უპირატესობა „ნოტინგემს" ეპყრა ხელთ, მაგრამ მანჩესტერელების გააზრებულმა კონტრშეტევებმა შედეგი გამოიღო. თავდასხმაში გამწესებულმა ქინქლაძემ და ბრენენმა მასპინძელთა შვეიცარიელი მეკარე მარკო პასკოლო გააწამეს, დაცვა ხომ საშინელ დღეში ჩააგდეს. ნაკრებში გამოძახებული ჰუიდონკის გარეშე დარჩენილი „ნოტინგემი" პირველი წუთებიდანვე ეკვეთა სტუმრებს, მაგრამ ვერას გახდა. ეგ კი არა, ბრენენისგან გოლიც გაუშვა. მცველის როლში აღმოჩენამ მასპინძლები გააცოფა, თუმცა ამით თავიანთ თავს უფრო მიაყენეს ზიანი, ვიდრე მეტოქეს. ბრენენის გოლიდან თხუთმეტ წუთში გიომ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთმა მხოლოდ და მხოლოდ ხარიხა შეაზანზარა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა უფრო შეუტიეს, თუმცა მეტიც გაუშვეს. ჯერ ბრენენმა 35 მეტრიდან მეორედ იხეირა, კარგა ხნის შესვენების შემდეგ „სიტიში" პირველად მოთამაშე ეჯილის პასით. მართალია, კუთხურის შემდეგ კემპბელმა ერთი გაქვითა, მაგრამ გიოს ნაცვლად შესულმა პოლ დიკოვმა მასპინძელთა იმედები ქარს გაატანა.

სტოკ სიტი — ვესტ ბრომვიჩი 0:0; ვულვერჰემპტონი — პორტ ვეილი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრედფორდი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 |
| ნოტინგემი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| ბირმინგემი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| სვინდონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| პორტსმუთი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| ვულვზი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 |
| შეფილდი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| ჩარლტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| მიდლსბრო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ქუინზ პარკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| სანდერლენდი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| ბერი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| სიტი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| იფსვიჩი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| სტოკ სიტი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| პორტ ვეილი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ტრანმერი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| ნორვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| ოქსფორდი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:9 | 3 |
| კრიუ | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| სტოკპორტი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 |
| ჰადერსფილდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| რედინგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

### საფრანგეთი

#### VI ტური
#### ლე ავრი 1:1 ტულუზა

1:0 პაისმენი (43), 1:1 მახარზი (58)

#### მარსელი 1:0 ლიონი

1:0 გრაველენი (57)

მარსელელებმა კვლავ იმარჯვეს და ბოლო წლების მანძილზე პირველად აინაცვლეს მეოთხე ადგილზე. მასპინძლებს დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ გუნდის ბომბარდირმა მცველმა ლორან ბლანმა მეორე ნახევარში პენალტი გააფუჭა. ეს ბოლო სამ თამაშში მის მიერ გაცუდებული მეორე თერთმეტმეტრიანია. აქამდე ანგარიში უკვე მარსელელთა სასარგებლოდ იყო — სავიერ გრაველენმა კარიდან დაახლოებით 25 მეტრში მყოფმა გაიტანა. სამ წუთში თანაგუნდელის ჩაწოდება ბლანმა გააგრძელა, ლიონელთა მეკარე გრეგორ კუპემ ბურთი ვერ დაიჭირა და გრაველენი, რომელიც უმალ გაჩნდა ბურთთან, მოცელა. პენალტი აშკარა იყო, კუპეც გააძევეს. დარტყმა ლორანმა ითავა და ახალშესულ მეკარეს, ჟან კლოდ ნედონს გაუტანა კიდეც, მაგრამ მსაჯმა პენალტის გამეორება მოითხოვა, რადგან მასპინძელთა ფორვარდმა აბუბაქარ კამარამ დარტყმამდე საჯარიმოში შეაბიჯა. განმეორებითი დარტყმისას ლორანი ალელდა, კუთხეც შეცვალა და მეკარემაც აუღო. ისე „ლიონს" პირველ ნახევარში შექმნილი მომენტები რომ გამოეყენებინა, მოგებას თუ არა, ფრეს მაინც გამოჰკრავდა ხელს, მაგრამ გრაველენის გოლმა სტუმრად ზედიზედ მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ მარცხი აგემა.

### ფეხბურთის რუკასთან



ლიბერიის ფეხბურთის ფედერაციამ აფრიკის თასის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ნაკრების უსახური თამაშის გამო გუნდის ძირფესვიანად გადახალისება გადაწყვიტა. მათი ფედერაციის წარმომადგენლის, ფრანსუა მესეკის განცხადებით, ეს ცვლილებები არ შეეხება მხოლოდ ჯორჯ ვეას, ვინც ნაკრების სასიკეთოდ ძალებს არ იშურებს.

უკრაინის ჩემპიონატის ორშაბათს გამართულ შეხვედრაში კიევის „დინამომ" დონეცკის „შახტიორს" სძლია 3:0.

უნგრეთის ჩემპიონატის მეშვიდე ტური: ბვსც — ზელეგერშეგი 5:3, დებრეცენი — ბეკეშჩაბა 8:3, ვაცი — ფერენცვაროში 3:2, შტადლერი — ტიშაკეშკე 1:1, გასცერი — უპეშტი 1:2, ჰალადაში — კიშპეშტი 1:0, შიოფოკი — დიორი 1:3, ვაშაში — ვიდეოტონი 1:1, მტკ — დიოშდიორი 0:1 ქულათა მაქსიმუმით ჩემპიონატს „დიორი" ლიდერობს.

სლოვაკეთის მე-5 ტური: სპარტაკი (ტრნავა) — კოშიცე 2:2, ჟილინა — არტმედია 2:0, რუჟომბეროკი — სლოვანი (ბრატისლავა) 3:2, ხუმენე — პეტრიმექსი 2:1, ინტერი — ტრენჩინი 2:1, ლოკომოტივა — დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) 1:1, ტატრანი — ტაურისი 0:1, ბარდეიოვი — დუნაისკა სტრედა 0:0. 13 ქულით ლიდერობენ სპარტაკი და ჟილინა. 11 ქულით მესამეა კოშიცე.

იტალიის თასის მეორე ეტაპის პირველი მატჩები. ლეჩე — ემპოლი 2:1, პესკარა — ვიჩენცა 0:1, დი სანგრო — ფიორენტინა 0:2, რომა — ვერონა 5:3, რეჯინა — უდინეზე 1:2, პერუჯა — ნაპოლი 3:2, ფიდელის ანდრია — ლაციო 0:3, ფოჯა — ინტერი 0:1, კალიარი — პიაჩენცა 3:2, ტორინო — სამპდორია 2:1, ჯენოა — ატალანტა 3:0, რავენა — ბოლონია 0:5, ბარი — ბრეშია 1:0, ვენეცია — პარმა 3:2. ბოლო მატჩი სერია C-ს „ბრეშელოს" და „იუვენტუსს" შორის გაიმართა. ტურინელებს მონტეროს გაძევებისთანავე ქვედალიგელებმა გაუტანეს, თუმცა კონტემ, რომელმაც სუპერთასსაც და ჩემპიონატშიც მოასწრო გოლის გატანა, 56-ე წუთზე გაათანაბრა, რითაც ზედიზედ მესამე მატჩში მესამე გოლი მიითვალა.

ეგვიპტის დედაქალაქში გამართულ ფიფას მორიგ კონგრესზე ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სხვა საკითხებთან ერთად „ბარსელონასა" და „ინტერს" შორის რონალდოს თაობაზე წარმოშობილი დავა გაარკვიეს და გადაწყვეტილებაც მიიღეს, თუმცა იქვე განაცხადეს, ორშაბათამდე დისკუსიაში მონაწილეთა გარდა ფიფას გადაწყვეტილების შესახებ ვერავინ ვერაფერს გაიგებსო.

საფრანგეთის ნაკრებისა და პსჟ-ს თავდამსხმელი პატრის ლოკო საავადმყოფოში მოათავსეს. ფეხბურთელი დეპრესიულ მდგომარეობაშია, რადგან პარიზულ კლუბში სიმონეს და მორისის ძლიერი თამაშის გამო ძირითადში ადგილი დაკარგა. საფრანგეთის ნაკრებში 26-ჯერ ითამაშა [illegible] რიოზული იყო — მას შვილი დაეღუპა.

ბულგარეთის ჩემპიონატის მეხუთე ტური: ლევსკი (სოფია) — დობრუჯა 3:1, ლიტექსი — სპარტაკი (პლევენი) 4:0, ლოკომოტივი (პლოვდივი) — სლავია 1:1, მეტალურგი — ეტარი 1:1, ლევსკი (კიუსტენდილი) — ბოტევი 4:0, ლოკომოტივი (სოფია) — ოლიმპია 3:0, სპარტაკი (ვარნა) — ცსკა 2:1, ნეფტოხიმიკი — მინიორი 2:0. ჩემპიონატს 12-12 ქულით ცსკა, სოფიის „ლევსკი" და ვარნის „სპარტაკი" ლიდერობენ.

ეგვიპტეში მიმდინარე 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩში მასპინძლებმა 3:2 დაამარცხეს ტაილანდის გუნდი.

ფრანგი ტიერი ანრი, „მონაკოს" რომ ეკუთვნის, და მადრიდის „რეალი" ფიფამ ყალბი კონტრაქტის გაფორმებისთვის დააჯარიმა. ანრის 50 ათასი, ხოლო მადრიდელებს 100 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევთ. „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა, რომ ფიფაში აპელაციას შეიტანს. მისი თქმით, კლუბი ამ საქმეში უდანაშაულოა და ჯარიმის გადახდას არ აპირებს. აპელაცია ფიფამ სავარაუდოდ სამშაბათს შევა. ფიფას სანქციები „ოსერსაც" შეეხო. კლუბი 100 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა იმის გამო, რომ ამ ორგანიზაციას დროულად არ წარუდგინა ტარიბო ვესტის „ბეტისში" გადასვლის საკონტრაქტო პირობები.

იტალიელი მასიმო პაგანინი, რომელიც „ინტერის" ღირსებას იცავს, შესაძლოა მალე „ლივერპულში" გადავიდეს. 27 წლის მცველისთვის „წითლებს" „ნიუკასლიც" ეპაექრებოდა, მაგრამ ქე[illegible]ბაას გუნდმა ამ დავაში ვერ ივარგა. პაგანინის ინგლისში შესაძლო გადასვლა 5 მილიონ 500 ათას დოლარად აფასებენ.

საფრანგეთის დედაქალაქის ახალაგებულ სტადიონ „სტად დე ფრანსზე" ამ კვირაში საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ მინდორს დააგებენ. ბალახი პარიზთან ახლო მდებარე ფონტენბლოს დაბაში იზრდებოდა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ახლა კი 9000 ნაწილად დაჭრილს გათვალისწინებულ ვადაზე ერთი თვით ადრე გადაიტანენ „სტად დე ფრანსზე". ამ სტადიონის აგება 1995 წლის მაისში დაიწყო და ნოემბერში დამთავრდება, საერთო ჯამში კი მისი ფასი 425 მილიონი დოლარი იქნება.

ალბანეთის კლუბ „ტეუტას" ფეხბურთელი არტან კოკა სამმა ბოროტმოქმედმა ვარჯიშის მერე დაცხრილა. მიზეზად შურისძიებას ასახელებენ.

შოტლანდიის „სელტიკის" თავკაცობა იმედოვნებს, რომ დარენ ჯექსონი, რომელსაც ერთი კვირის წინ თავში სისხლი ჩაექცა, მალე გამოჯანმრთელდება. გლაზგოელთა წარმომადგენელმა განაცხადა, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

### სამხრეთ ამერიკის სუპერთასი. II ტური

#### I ჯგუფი

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1:0 კრუზეირო (ბრაზილია)**

1:0 ხორხე ბერმუდესი (29)

#### II ჯგუფი

**სან პაულუ (ბრაზილია) 5:1 ველეზ სარსფილდი (არგენტინა)**

0:1 ბატალია (6), 1:1 სერჟიპანო (25), 2:1 კომპანუჩი (30), 3:1, 4:1 დოდო (37, 77), 5:1 ფრანკა (85).

#### III ჯგუფი

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:2 სანტოსი (ბრაზილია)**

0:1 ბერიზო (12ს.კ.), 0:2 მიულერი (22), 1:2 ესკუდერო (46), 2:2 რამბერტი (68), 3:2 სალასი (74).

#### IV ჯგუფი

**ესტუდიანტესი (არგენტინა) 0:0 გრემიო (ბრაზილია)**

### კონმებოლის თასი

პირველი წრის პირველი მატჩი

**პორტუგეზა (ბრაზილია) 1:4 ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია)**

0:1 ჟორჟინიო (13), 0:2, 0:3, 0:4 ვალდირი (24, 53, 64), 1:4 ემერსონი (88)

პირველი წრის საპასუხო მატჩები

**ტექნიკო უნი. (ეკვადორი) 0:0 უნი. დე დეპორტესი (პერუ)**

ორი მატჩის ჯამში პერუელებმა 3:0 იმარჯვეს.

**სპორტივო ლუკენო (პარაგვაი) 1:4 ვიტორია (ბრაზილია)**

0:1 ტულიო (38პ.), 0:2 ელიომარი (43), 1:2 ესტიმარიბა (45), 1:3 პრეტო (52), 1:4 საულუ (59). ორი მატჩის ჯამში „ვიტორიამ" 6:1 მოიგო.

**კოლონი (არგენტინა) 2:1 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)**

* პენალტებით „კოლონმა" 3:2 იმარჯვა

# გულის შეტევა... მეგონა, ვკვდებოდი

## როგორ იხსნა ქეცბაიამ სერ ჯონ ჰოლი

*ეს წერილი „სანდი მიროროდანაა“ ნათარგმნი. იგი ბრაიან მაკნელის კალამს ეკუთვნის და ეძღვნება ზაგრებში გამართულ შეხვედრას, რომლის დამატებითი დროის ბოლო წუთზე „ნიუკასლ იუნაიტედის“ ქართველმა ლეგიონერმა თემურ ქეცბაიამ საბედისწერო გოლი გაიტანა. როგორც წერილიდან ირკვევა, „ნიუკასლის“ თავმჯდომარე სწორედ ამის მერე პენსიაში გასვლაზე ფიქრობს.*



SUNDAY MIRROR

სერ ჯონ ჰოლი გადარჩა

ბედმა თემური ირჩია — „ნიუკასლი“ ჩემპიონთა ლიგაში მოახვედრა, ხორვატთა ვაჟკაცური გუნდი „კროაცია“ კი უეფას თასზე გადატყორცნა. ინგლისელთა კლუბის თავმჯდომარეს, სერ ჯონ ჰოლს ეგონა, გულისცემა შეუჩერდებოდა...

64 წლის სერ ჯონს ზაგრების „მაქსიმირ სტადიონის“ ტრიბუნიდან მოედნისთვის თვალის არიდება მოუხდა. ფიცხელმა ბრძოლამ და დატრიალებულმა მოვლენებმა მას კინაღამ სული შეუხუთა. როდესაც თემურ ქეცბაიას მიერ დარტყმული ბურთი 10 მილიონი გირვანქის ტოლფას გოლად შედიოდა კარში, სერ ჯონი ინფარქტის თავიდან აცილებაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაზე. „ნიუკასლის“ ისტორიაში უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ხორვატთა ანკესზე რომ წამოეგო, მარად ხალისიანმა სერ ჯონმა, ევროპის უდიდეს შენობაში მოთავსებული 100 მილიონიანი სავაჭრო ცენტრის მფლობელმა, ჰაერის უკმარისობა და თავბრუსხვევა იგრძნო. „კროაციას“ გოლმა, თამაშის ძირითადი დროის სულ ბოლოს რომ გავიდა, დიდებული გამარჯვება და დიდძალი ფულის მოხვეჭა სათუო გახადა. 34 ათასმა ფანატიკოსმა ხორვატმა



FOOTBALL EUROPE

ჩვენებური კი, ვითომც არაფერიო, ჩვეულებრივად ვარჯიშობს

გულშემატკივარმა თავიან ათ კაცამდე შემცირებულ გუნდს ლამის შეუძლებელი შეაძლებინა.

„მეგონა, გულის შეტევა მომივიდოდა — აღიარებს სერ ჯონი — ნეტავ აღარასოდეს დამეუფლოს ეს გრძნობა. სტადიონზე დაუჯერებელი რამ ხდებოდა და მე აუტანელ რაღაცას ვყავდი შეპყრობილი. გამოჭერილი გახლდით. ადგილობრივი დიქტორი ხორვატ ქომაგებს სულ აგიჟებდა. მათი უმრავლესობა ღრიალებდა და ნაციონალისტურად იყო განწყობილი. ვხედავდი მოედნისკენ ნასროლ ბოთლს. საშინელი ხმაური ფიქრს მიწეწავდა. ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, დამთავრდა, ამას ველარ გავუძლებ-მეთქი. ვიბრძოდი რათა მესუნთქა, მკერდში კი რაღაც დაუნდობლად მიჭერდა. ნერვების გროვად ვიქეცი და მოედნისკენ ველარ ვიყურებოდი. დამატებით დროში ჩემგან ნაფლეთებიღა იყო დარჩენილი. იმის წარმოდგენაც კი მეშინოდა, რას დავემსგავსებოდი, საქმე პენალტებამდე თუ მივიდოდა. მათ ხომ ნამდვილად ველარ შევხედავდი.

მადლობა ღმერთს, თემურ ქეცბაიამ ჯოჯოხეთისგან მიხსნა. ენით ვერ აღიწერება ის სიამოვნება, ბურთის ბადეში შევარდნისას რომ განვიცადე. ამის შემდეგ ყოველგვარი ხუთვა და აღელვება მომეხსნა, მაგრამ ჩემი ასაკის კაცისთვის ასეთი წუთების გადატანა ნამდვილად ცუდია. ამიტომ გადავაბარე საქმეების დიდი ნაწილი ჩემს ვაჟს დაგლასს და სხვა დირექტორებს.

ფეხბურთი ახალგაზრდების თამაშია. მართალია, მასში ჩემი წვლილი კიდევ მაქვს შესატანი, მაგრამ ამიერიდან მთავარი მოქმედი პირნი დაგლასი და სხვები იქნებიან“.

თვალებჩაცვენილი სერ ჯონი ნიუკასლის აეროპორტში ნაქეიფარ თანაკლუბელებთან ერთად ხუთშაბათს სისხამ დილით დაბრუნდა და მიუხედავად ზაგრებში განცდილისა, ისევ საქმეთა მორევში გადაეშვა. მისი ხნის ხალხი, როგორც წესი, ამის ნახევარსაც არ მუშაობს, სერ ჯონმა კი ინგლისის მიწაზე ფეხის დადგმიდან შვიდი საათის შემდეგ, ვინიარდ ჰოლიდან ანუ შინიდან 40 მილით დაშორებულ „სენტ ჯეიმსიზ პარკს“ და კლუბის თავმჯდომარის სავარძელს მიაშურა.

გადაცდა თუ არა შუადღეს, მეხუთე სართულზე მოთავსებულ ოფისში მიმიღო. მისი ფანჯრიდან ქალაქის ცენტრი ხელისგულივით ჩანს. მან შორს, ქუჩაში, გაზეთის გამყიდველი დამანახა და მითხრა: საგანგებო ნომერს ჰყიდის.

„იქ ქალაქში, უამრავი ადამიანი გავაბედნიერეთ — სერ ჯონის ჩრდილოურ სახეს ღიმილმა გადაურბინა — ცხრა წლის წინ, საქმეს ხელი რომ მოვკიდეთ, ვინ იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ნიუკასლი“, „ბარსელონასთან“, „ეინდჰოვენთან“ და კიევის „დინამოსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებდა. კენჭისყრამ „ბარსელონასთან“ რომ დაგვაწყვილა, ბედის ირონიად მივიღე, რადგან მე დღევანდელი „ნიუკასლი“ „ბარსელონას“ პრინციპებზე ავაწყვე.

კატალონიელთა ფართო სპორტული მოღვაწეობა პირველად რომ ვიხილე, მივხვდი — ეს გახლდათ სწორედ ის, რადაც „ნიუკასლის“ ქცევა მსურდა. იმ წუთიდან მოყოლებული დავიჯინე და ფინანსური კრიზისისა თუ იმდროინდელ მესამე დივიზიონში გავარდნის დღეებშიც ვიმეორებდი, რომ ჩემი მიზანი ევროპის უდიდეს შეჯიბრებაში მონაწილეობა იყო. ამით სულაც არ ვამბობ, რომ მიზანს მივაღწიე და დავკმაყოფილდი. ახლა მინდა დავამტკიცო, რომ ჩვენ პლანეტის ბარსელონების ღირსეული მეტოქეობა შეგვიძლია. დღეს მე ამაყი კაცი ვარ. ვამაყობ ფეხბურთელებით, ვამაყობ კენი დალგლიშით.

დალგლიშმა რამდენიმე ბრწყინვალე ფეხბურთელი შეიძინა და თანაც ჩინებული ტაქტიკოსია. მან გუნდს ხასიათი გამოუკვეთა და ინტელექტუალურად გააძლიერა. ვგონებ, სწორედ ეს გვაკლდა აქამდე. ძველად, ზაგრებში გადახდენილის მაგვარი რამ რომ გადაგვხდენოდა, ალბათ კარგა ხანს გონს ველარ მოვეგებოდით, ახლა კი ჩვენი დამარცხება უძნელესი საქმე გახდა. „ნიუკასლს“ კევინ კიგანის ხელმძღვანელობის დროსაც ჰქონდა ბრწყინვალე დღეები, მაგრამ ახლანდელი გუნდი ტიტულების მოსაპოვებლად მეტადაა მზად.“

პრინცესა დაიანას ტრაგიკულმა სიკვდილმა კვირას „ლივერპულ“ — „ნიუკასლის“ დიდი ბრძოლა გადასდო, ბრძოლა, რომელშიც ნიუკასლელებს შეეძლოთ წაუგებელ მატჩთა რაოდენობა თოთხმეტამდე გაეზარდათ. ბოლოს მათ გაზაფხულზე, უეფას თასის მეოთხედფინალში წააგეს „მონაკოსთან“.

„მე პროგნოზებს ვერიდები — მპასუხობს სერ ჯონი, როდესაც ვახსენებ, რომ ალან შირერში 15 მილიონი გირვანქა აქვს გადახდილი და დროა, ინგლისის ჩემპიონი გახდეს. — მაგრამ საკუთარი თავის რწმენა ფეხბურთში უმნიშვნელოვანესი საკითხია, ჩვენ კი ჩემპიონთა ლიგაშიც შევედით და პრემიერლიგის პირველი ორი თამაშიც მოვიგეთ.

და ხალხს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჩვენ ეს შირერის გარეშე შევძელით.“

„ნიუკასლმა“ ხორვატების ძლევით თავის სააქციო ფასს დაახლოებით 7 მილიონი გირვანქა დაამატა, რითაც მთელი ღირებულება 188 მილიონ გირვანქამდე გაზარდა.

„ჩემი წილი თითქმის მთლიანად დაგლასს გადავეცი — ამბობს სერ ჯონი — ჩემთვის 10 ათასი დავიტოვე, იმდენი, რამდენიც გულშემატკივრებს აქვთ. ცხადია, სააქციო ფასის მომატება დიდებული რამ არის, მაგრამ მე „ბარსელონასა“ და „ეინდჰოვენთან“ ჭიდილი უფრო მაინტერესებს.“

მაგრამ სერ ჯონის ვაჟი დაგლასი მეტწილად უცხოეთშია, ამიტომ ნიუკასლში ვარაუდობენ, რომ ჰოლების ოჯახი გაისად, წილის გაყიდვაზე შეზღუდვა რომ მოიხსნება, თავის 57 პროცენტს გაასხვისებს.

„დავსხდებით და მომავალზე ვილაპარაკებთ — ამბობს ოჯახის თავი — ჩვენ გვარიანად დავზარალდით, რათა „ნიუკასლ იუნაიტედი“ ავიყვანეთ იქ, სადაც დღესაა. ეს თამაში იყო და ამ თამაშმა გაგვიმართლა. გაისად 65 წლის ვხდები და ოჯახის წინაშე ჩემი ვალია ასაკის შესაფერის ცხოვრებას დავუბრუნდე. თანდათანობით უკან გადავუხვევ. მინდა მეუღლესთან, ლედი მესთან მეტი დრო გავატარო შვილიშვილებსაც დრო სჭირდებათ. ადრე დიდი განათლების მიღება ვერ მოვასწარი, ახლა კი მინდა ჩემს საყვარელ საგანს, ისტორიას ჩავუჯდე და ბევრი ვიმოგზაურო.

და ბოლოს: „ხორვატული გამოცდილება ისეთი რამ იყო, ვგონებ, ამიერიდან ყველაფერს გადავიტან“ — ამბობს სერ ჯონი.

**თარგმნა**
**ბაბუნა ძიძიამ**



SUNDAY MIRROR

ეს წუთია, ქეცბაიამ „ნიუკასლი“ ჩემპიონთა ლიგაში შეაგდო. კენი დალგლიშის და ტერი მაკდერმოტის სიხარული უსაზღვროა

# ცოტაც გავერთოთ

აი, ხედავთ, რა იცის სულ ფეხბურთზე ფიქრმა და განცდებმა? პატივცემული სერ ჯონ ჰოლი ზაგრების „მაქსიმირის“ სტადიონიდან კინაღამ ზეციურ ინგლისში გამგზავრებულა. ჰოდა, ჩვენც რომ მსგავსი არაფერი მოგვივიდეს, გადავწყვიტეთ, ხანდახან თავი განებოთ ღელვასა თუ სერიოზულ მუშაობას და, მართალია პენსიამდე ბევრი გვიკლია, შიგადაშიგ გავერთოთ კიდეც. მაგრამ დახეთ — დავსხედით, გართობა დავაპირეთ და ისე ავმჩატდით, გასული თვის მსოფლიოს საფეხბურთო ნაკრების შექმნა განვიზრახეთ. მერე ბევრი ვიფიქრეთ, სად წაგველო ეს ჩვენი ნაკრები და ბოლოს მაინც ჩვენივე და თქვენივე გაზეთში გამოქვეყნება ვარჩიეთ. თან, სიტყვაც მივეცით ერთმანეთს, ყოველი თვის მერე გვქნათ ანალოგიური საქმე და შაბათის ნომერში დავბეჭდოთ-თქო. ასე რომ, დღეს აგვისტოს სიმბოლურ ნაკრებს გთავაზობთ, ოღონდ მკითხველს ვთხოვთ, ნამეტანი სერიოზულად ნუ განსჯის ჩვენს ნაფიქრალს, თორემ... ხომ ნახეთ, რა მოჰყვება სულ ფეხბურთზე ფიქრს და განცდებს.

### მეკარე

*ჯონ ფილანი* („ბლექბერნი“ და ავსტრალია)

„ბლექბერნის“ ახალმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა გამოიცნო და ინგლისის ჩემპიონატის პირველი ტურიდან კარში სწორედ ის ჩააყენა. ავსტრალიელიც სანაქებოდ გაისარჯა, მაგრამ „შეფილდ უენსდეისთან“ ხელი მოტეხეს და აწი კარგა ხანს ველარ შევა ჩვენს ნაკრებში.

### მცველები

*პონტუს კამარკი* („ლესტერი“ და შვედეთი)

„ლესტერის“ წარმატებული სტარტი კამარკის დიდი დამსახურებაცაა. მწვრთნელი შვედს მეტოქეთა ყველაზე სახიფათო ფორვარდების წინაამდეგ ათამაშებდა და ამანაც კოლიმორს, რიდლეს და შერინგემს, რომ იტყვიან, ფეხი არ გაანძრევინა.



ლეონარდო და რაი გოლს ზეიმობენ

*ლორან ბლანი* („მარსელი“ და საფრანგეთი)

თუ ასე გააგრძელა, საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორობასაც გამოჰკრავს ხელს — ხუმრობა ხომ არაა, მცველმა პირველ ოთხ ტურში ოთხი გოლი შეაგდო და თან დაცვასაც უხელმძღვანელო.

*ჯონ ბერესფორდი* („ნიუკასლი“ და ინგლისი)

31 წლის მარცხენა მცველი ამ სეზონში ისე ათამაშდა, ახალგაზრდობაშიც კი რომ არ სჩვეოდა. შინ „კროაციას“ ორი ბურთი მიართვა, „ასტონ ვილასთან“ კი, შესაძლოა, ჩემპიონატის საუკეთესო გოლი გაიტანა.

### ნახევარმცველები

*რაი* („პარი სენ ჟერმენი“ და ბრაზილია)

*ლეონარდო* („პარი სენ ჟერმენი“ და ბრაზილია)

ერთადერთი მატჩის გამო მოხვდა ეს ორი ჩვენს ნაკრებში. მიხვდებოდით, რუმინულ „სტიაუასთან“ კაბინეტებში ჩათვლილი 0:3-ის ვაჟკაცურ ამოქაჩვაზე გვაქვს საუბარი.

*დენის ბერგკამპი* („არსენალი“ და ჰოლანდია)

ალბათ, თანამემამულე ოვერმარსის პარტნიორობამ შეასხა ფრთები და ისე ათამაშდა, თავის ზეობის წლებში რომ იცოდა. თან ერთიმეორეზე ეფექტური გოლებიც გაიტანა.

*თემურ ქეცბაია* („ნიუკასლი“ და საქართველო)

კაცმა მინიმუმ 16 მილიონი დოლარი მოუტანა თავის კლუბს, თან ერთი დარტყმით. ახლა არ თქვათ, არაობიექტურობაო, მიკერძოებაო, ცრუპატრიოტიზმიო, თორემ ჩვენც ვიტყვით — შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო და კიდევ რაღაცეებს.

*თომას ჰესლერი* („კარლსრუე“ და გერმანია)

### თავდამსხმელები

*ოლივერ ბირჰოფი* („უდინეზე“ და გერმანია)

თუ ბრაზილიური წყვილი ერთი მატჩი მიხედვით დავაფასეთ, აქ მხოლოდ შვიდ წუთზეა საუბარი. გერმანული დუეტი ბელფასტის „ვინძორ პარკის“ მოედანზე ფოგთსმა მაშინ გაიყვანა, გერმანია 0:1-ს რომ აგებდა. შედეგი იცით — ჰესლერმა სამი პასი ჩააწოდა და ბირჰოფმა სამივეჯერ შეაგდო.

*გაბრიელ ბატისტუტა* („ფიორენტინა“ და არგენტინა)

ამან ისე დაიწყო იტალიის ჩემპიონატი, ვგონებთ, კიდევ არაერთხელ მოგვიწევს ჩვენს ნაკრებში მისთვის ადგილის გამონახვა.

# „ოუფენზე“ მეგობრებს არ ინდობენ





წყვილებში დობა, ცალკე კი მეტოქეობა: ჰინგისი — სანჩესი, ნოვოტნა — დევენპორტი

## ოთხშაბათი

US OPEN

ამ დღეს მთავარ მოქმედ პირად მოთამაშეებთან ერთად ქარიც იქცა. ზაფხულის ხვატის შემდეგ ნიუ იორკში საშინლად აცივდა, ტემპერატურა ათი გრადუსით დაეცა და საკმაოდ დაუბერა. ერთეულთა თანრიგში გამართული ოთხი მატჩიდან ორის ბედი არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე უჩვეულო სიძლიერით მქროლმა ქარმა გადაწყვიტა.

ქალთა შორის პირველ მეოთხედფინალში ერთმანეთს წყვილებში პარტნიორები — ჩეხი იანა ნოვოტნა (3) და ამერიკელი ლინდსი დევენპორტი (6) შეხვდნენ. მეტრი და 90 სანტიმეტრის სიმაღლისა და სოლიდური წონის პატრონი დევენპორტის თამაში ინტელექტზე მეტად მის ასევე სოლიდურ ჯანზეა დამოკიდებული. ამ ფერ-ხორციან „ლამაზმანს“ ბარე ერთი და ორი კაცი ჩოგბურთელი ვერ გაუტოლდება სიგრძე-სიგანესა და ძალაში. ლინდსიმ მატჩი შესანიშნავად დაიწყო, პირველ ხელში 2:2-ზე აიწყვიტა და ზედიზედ ოთხი გეიმიც მოიგო, მერე კი მეორე ხელშიც 4:1 დაწინაურდა და სულ ცოტა უკლდა გამარჯვებამდე, მაგრამ, ხარი ხართან რომ დააბაო, თქმულა. იანა ნოვოტნა საჩოგბურთო სამყაროში იმითაა ცნობილი, რომ მნიშვნელოვან მატჩებში ბოლო, გადამწყვეტი ქულების მოპოვებას ველარაფრით ახერხებს: უიმბლდონის ფინალის გადამწყვეტ სეტში გრაფს 4:1-ს უგებდა და წააგო, ჩანდა რუბინთან 5:0-ის და 40:0-ის მერე დამარცხდა. ჰოდა, მეწყვილესთან ასპარეზობას დევენპორტისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია: თითქმის მოგებული მეორე ხელი მან ასევე იოლად დათმო. ახლა უკვე ნოვოტნამ იმარჯვა ზედიზედ რამდენიმე გეიმში და საქმე მესამე, გადამწყვეტ სეტამდე მივიდა. დევენპორტი თავიდან კვლავ 4:1-ს იგებდა. მაგრამ მერე, რაღა თქმა უნდა, უპირატესობა ხელიდან გაუშვა. ამ წუთებში ნოვოტნას თავისთვის ჩვეული და საყვარელი თამაში გამოსდიოდა. კარგი მოსამზადებელი დარტყმის შემდეგ სწრაფად გადიოდა ბადესთან, სადაც ქალთა შორის ბადალი არ ჰყავს და იოლად იგებდა ქულას ქულაზე. ჩეხის აგრესიულობით დაბნეულ დევენპორტს კი შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა. ასე გაგრძელდა 5:4-მდე, ახლა უკვე ნოვოტნას სასარგებლოდ, მაგრამ ბოლო, დამამთავრებელი ქულის მოპოვება იანამ, ცხადია, ველარ მოახერხა, თუმცა იქამდე ურთი ნაბიჯი, უფრო სწორად 2-3 სანტიმეტრილა უკლდა.



რუზეცკი — ინგლისის ფავორიტი

საქმე ისაა, რომ მატჩ-პოინტი ჩეხმა შესანიშნავად გაითამაშა, მეტოქე კორტიდან გააგდო და მოჭრილი დარტყმით უკანასკნელი ქულაც უნდა მიეთვალა, მაგრამ, სწორედ იმ მომენტში გავეშებულმა ქარმა ბურთი აუტისკენ წაიღო და გვერდითი ხაზიდან ერთი თითის დადებაზე დაუშვა. ამ უიღბლობამ ნოვოტნა საბოლოოდ გატეხა, ჯერ თავისი გეიმი წააგო და საქმე ტაი-ბრეიკამდეც კი რის ვაი-ვაგლახით მიიყვანა. იქ კი მეტოქეები უხეში და გაუგებარი შეცდომების დაშვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — ამაში გამარჯვება ნოვოტნას დარჩა, ნახევარფინალის საგზური კი დევენპორტმა მოიპოვა 6:2, 4:6, 7:6 (7:5).

აი, მარტინა ჰინგისს კი არანაირი კომპლექსები, პირველი და უკანასკნელი ქულები და არც ქარი აწუხეს, არც მეწყვილის გამწარება აღარდებს დიდად. შვეიცარიელი „პატარა საოცრება“ ერთ დროს მსოფლიოს პირველ ჩოგანს, აწ კი დაჩაჩანაკებულ არანჩა სანჩეს-ვიკარიოს ხვდებოდა. მარტინა, როგორც სჩვევია, აშკარად დომინირებდა კორტზე და არცთუ მთლად ძლიერი, მაგრამ ძალზე ზუსტი დარტყმებით სულის ამოხდამდე არბენინებდა მეტოქეს. მარტინამ ესპანელი მაშინღა დაინდო, მეორე სეტში 4:0 რომ დაწინაურდა, მაგრამ სანჩესმა ზედიზედ ორი გეიმი რომ მოიგო, მეგობრობა მეგობრობად დარჩეს, ზედმეტად არ გამითამამდესო და, სწრაფადვე მოუღო ბოლო 6:3, 6:2. კიდევ უფრო საინტერესო კი ის არის, რომ მომდევნო დღეს სანჩეს-ჰინგისის წყვილი ნახევარფინალში ნოვოტნა-დევენპორტს ხვდებოდა. ამაზე კი ცოტა ქვემოთ.

მეორე მატჩი, ქარმა კალაპოტი რომ უცვალა, ჩეხ პეტერ კორდასა (15) და შვედ იონას ბიორკმანის მეოთხედფინალი აღმოჩნდა. კორდამ ორი დღით ადრე, მერვედფინალში ტურნირის საჩემპიონოდ გამზადებულ სამპრასს კარგა ხნით წაუხდინა ხასიათი, მაგრამ წარმატების განმეორება უფრო სუსტ მეტოქესთან ველარ შეძლო. საქმე ისაა, რომ წინა დღეს ჩეხს გრიპი შეყრია და სათამაშოდ წინანდელივით კუნტრუშის ხასიათზე ველარ გამოვიდა — თავი სტკიოდა. პირველ სეტში კორდა მაინც რიგიანად ირჯებოდა. მეტოქეებმა ერთმანეთს რამდენჯერმე წაართვეს მოწოდება, თუმცა ყველაფერი მაინც ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. აყლაყუდა ჩეხმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა, შვედი წინ გაუშვა და დაწევა ველარც მოახერხა. მეორე ხელში კი კორდას უკვე სახეზეც დაეტყო, რაღაც რომ აწუხებდა და თამაშზეც — ბურთებს გაჭირვებითღა იგერიებდა, მოძრაობა უჭირდა, ქარმა და სიცივემ კი მთლად მოუღო ბოლო. მესამე სეტის დასაწყისში ჩეხმა მატჩის გაგრძელებაზე უარი თქვა და იონას ბიორკმანს, პირველად მის კარიერაში, დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალის საგზური გადაულოცა 7:6 (7:3), 6:2, 1:0.

მეორე მეოთხედფინალი კი მოწოდებათა დუელი გამოდგა. საქმე ისაა, რომ ინგლისელმა გრეგ რუზეცკიმ წელს „ოუფენის“ რეკორდი დაამყარა — 142 მილ-საათი, რიჩარდ კრაიჩეკის მაჩვენებელი კი მესამეა — 139 მილ-სთ. ორივე თავის თამაშს ამ მძლავრ იარაღზე აგებს და მაყურებელს საზრუნავიც გაუჩინეს — როგორმე თვალის შესწრება მაინც მოეხერხებინათ გათამაშებებისთვის. შარშანდელი უიმბლდონის გამარჯვებულმა კრაიჩეკმა პირველივე გეიმში, გამარჯობის დასრულებამდე გაახერხა ბრეიკი, მაგრამ გრეგმა მალევე დაუბრუნა ვალი და ერთხელაც სეტის ბოლოს წაართვა მოწოდება. ეს იყო და ეს, ამის მერე არც ერთს ბრეიკ-პოინტიც კი აღარ ღირსებია, დარჩენილი სეტების ბედი ტაი-ბრეიკებზე გადაწყდა და ორივე მათგანში გამარჯვებული რუზეცკი დარჩა. საბოლოოდ 7:5, 7:6 (7:5), 7:6 (8:6). რუზეცკი, ვისაც ამერიკის ღია პირველობაზე აქამდე მატჩი არ ჰქონდა მოგებული და „უტვინო კუნთების მასად“ იყო ცნობილი, თამაშიდან თამაშამდე ამტკიცებს, დიდი მიზნების მიღწევა რომ ძალუძს. იგი მაიკ სანგსტერის შემდეგ პირველი ინგლისელი შეიქნა, ვინც „ოუფენზე“ ნახევარფინალში გააღწია, ეს კი უკანასკნელად 1961 წელს მოხდა. ფინალში გასვლით კი რუზეცკი კლასიფიკაციის შემოღებიდან ყველა დროის ყველაზე წარმატებული ბრიტანელი შეიქნება — მე-11 ადგილზე გადაინაცვლებს.

**ნახევარფინალი. კაცთა წყვილები: ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) და დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) — მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:2).**

## ხუთშაბათი

ცენტრალურ კორტზე კაცთა დარჩენილი ორი მეოთხედფინალი გაიმართა. პირველ მათგანში ორი ზორბა — ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი (13) და შვედი მაგნუს ლარსონი შეიბნენ. ესენი პროფესიონალთა შორის შესაბამისად 1991 და 1989 წლიდან გამოდიან, მაგრამ აქამდე ერთმანეთს ერთადერთხელ შეხვედრიდნენ — ისიც გასულ თვეს. მაშინ ავსტრალიელმა გაიმარჯვა, მაგრამ ამ მეოთხედფინალს ლარსონი შესანიშნავ ფორმაში შეხვდა — აქამდე არც ერთი სეტი არ წაეგო. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველი ხელის ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. ორივეს კარგად ესმოდა მისი დიდი მნიშვნელობა და ცოტა არ იყოს, ზედმეტადაც კი ნერვიულობდნენ. საკმარისია ითქვას, რომ ტაი-ბრეიკზე გათამაშებული 10 ქულიდან 9-ში უნებლიე შეცდომა აღინიშნა. უფრო გაწონასწორებული რაფტერი აღმოჩნდა და გამარჯვებაც მას დარჩა 7:4. მთელი მატჩის განმავლობაში ავსტრალიელი მარტივი, მაგრამ ეფექტური ტაქტიკით სარგებლობდა: საკუთარ მოწოდებაზე მაშინვე ბადესთან გარბოდა, მეტოქისაზე ჯერ მოჭრილი დარტყმით პასუხობდა და მერე კვლავ ბადეს მიაშურებდა. ორმეტრიან ლარსონს დაბლა და კიდისკენ გაშვებული ბურთების ხეირიანად მიღება უჭირდა, ისევე როგორც უკანა ხაზზე სწრაფი გადაადგილება და რაფტერმაც მორიგი იოლი გამარჯვება იზეიმა — 7:6 (7:4), 6:4, 6:2. მეტოქის მძლავრმა თამაშმა ლარსონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და იგი სტეფან ედბერგს შეადარა: „პატრიკი წლიდან წლამდე აუმჯობესებს უკანა ხაზზე თამაშს, მოსამზადებელ დარტყმებს, ბადესთან კი მისი შემოტარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია“. როცა ჰკითხეს, რა განსხვავებაა რაფტერს და ედბერგს შორისო, შვედმა უპასუხა — 6 მოგებული სლემის ტურნირიო, მერე კი დაამატა, შესაძლოა, მალე ეს განსხვავება 5 გახდესო. ლარსონის ძლევის შედეგად, პირველად კარიერაში, 24 წლის ავსტრალიელი საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში მოხვდა.

თუ პირველ მეოთხედფინალში ერთმანეთს ორი ორმეტრიანი ხვდებოდა, მეორეში ჩოგბურთის ორი ჯუჯის — ამერიკელი მაიკლ ჩანგისა (2) და ჩილელი მარსელო რიოსის (10) დუელი შედგა. ამათ ყველაზე დიდი დაბრკოლება თვით ბუნებამ შეუქმნა — ჩანგი 1,75 მეტრია, ჩილელი კი 1,72. ამიტომაც ძლიერი მოწოდების უპირატესობას ვერც ერთი ვერ ფლობს, რაც ჩოგბურთელისთვის დიდი ნაკლია. აქამდე ესენი ოთხჯერ შეხვედრიდნენ ერთმანეთს და ჩილელს ერთი სეტის მოგებაც კი ვერ მოეხერხებინა. როდესაც ჩანგმა პირველ ორ ხელში იოლად გაიმარჯვა, რიოსს, წესით და რიგით, ყურები უნდა ჩამოეყარა, მაგრამ დიდი ნიჭით დაჯილდოებულმა კიკინანმა ამერიკელს ორივე მომდევნო სეტში თითო ბრეიკი გამოსტყუა და ანგარიში გაათანაბრა. ჩანგი მთელი მატჩის განმავლობაში ცეცხლმოკიდებულივით დარბოდა ისევე როგორც წინა წრის ხუთსეტიან თამაშში სედრიკ პიოლინთან, მაგრამ მეხუთე სეტისთვის მეტი ძალა მაინც მას შემორჩა. ამ დაძაბული, სამსაათიანი დუელის ბედი მერვე გეიმში გადაწყდა. პირველი ქულის გათამაშებაზე რიოსს ბადესთან ნახტომის გაკეთება მოესურვა, ბურთს ვერ მიწვდა, ხელ-ფეხი კი გვარიანად დაიზიანა. მერე, მესამედ მთელ მატჩში, ორმაგი შეცდომაც დაუშვა და მეტოქეს ველარც დაეწია. მთელი მატჩის განმავლობაში შეუჩერებლად მოღრიალე ჩილელ გულშემატკივრებს დროშების ქნევისა და წივილ-კივილის რო ერთხელ კიდევ დაუდგათ, მაგრამ ძათმა კერპმა შემდეგ გეიმში ორმაგი ბრეიკ-პოინტით ვერ იხეირა და გეიმი, სეტი და მთელი მატჩიც, რომელიც 2 საათსა და 58 წუთს გრძელდებოდა, ამერიკელს გადაულოცა — 5:7, 2:6, 6:4, 6:4, 3:6. თამაშის შემდეგ ჩანგს ერთი საათი პატრონობდნენ მედიკოსები — სითხეებით გაჭყეპილი მსოფლიოს მეორე ჩოგანი პრესკონფერენციაზე ფეხზე იდგა, ცოტა ხნით მოვედი, ახლა რომ დავჯდე, კრუნჩხვები დამეწყება და აქედან 2 საათი ველარსად გამიტანთო.

ხუთშაბათსვე გაიმართა ქალთა წყვილების ყველასთვის საინტერესო ნახევარფინალი: წინა დღის თავგადაკლული მეტოქეების — ჰინგის-სანჩესისა და დევენპორტ-ნოვოტნას წყვილები ერთურთს შეებნენ. შვეიცარიელმა თავისი პარტნიორი მეოთხედფინალში რომ დაჩაგრა, ეტყობა, გვარიანადაც აწყენინა, რაკი ამათში ურთიერთგაგება ნაკლებად შეიმჩნეოდა, ნოვოტნა-დევენპორტი კი, წინადღის ორ საათნახევრიანი მატჩის მიუხედავად, უკეთ გამოიყურებოდნენ და მოგებაც მათ დარჩათ — 6:3, 6:4.



რაფტერი მარაქაში გაერია

სანამ სხვები ნახევარფინალის საგზურებს ეჯაჯგურებოდნენ, შერეულმა წყვილებმა ჩემპიონების გამოვლენაც კი მოასწრეს. ჰოლანდიელმა მანონ ბოლეგრაფმა და ამერიკელმა რიკ ლიჩმა, რომლებიც მეხუთედ იყვნენ განთესილი, წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ტიტულს ამერიკისაც წაუმატეს. ფინალში მათ არგენტინელები — მერსედეს პასი და პაბლო ალბანო დაამარცხეს 3:6, 7:5, 7:6 (7:3).

**ნახევარფინალი. კაცთა წყვილები: იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი (11 შვედეთი) — ვეინ ბლექი (ზიმბაბვე) და ჯიმ გრები (აშშ) 7:5, 7:6 (7:4)**

**ავთანდილ სვანიძე**

## ჩოგბურთის ახალი ამბები

ბორის ბეკერმა, რომლისთვისაც წლევანდელი უიმბლდონი, ალბათ, დიდი სლემის უკანასკნელი ტურნირი იყო, გერმანულ ჟურნალ „შტერნისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სულაც არ წუხს დიდი სპორტიდან წასვლის გამო: „მე გავთავისუფლდი საზოგადოების ბორკილებისგან, უიმბლდონის შემდეგ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რაც მთავარია, აღარ მაწუხებს ნერვული თრთოლა, რასაც მილიონობით მაყურებლის თვალწინ განვიცდიდი“. გერმანელმა, ყოფილმა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასთან წაგებული მეოთხედფინალის შემდეგ განაცხადა, რომ უიმბლდონზე მეტად აღარ იასპარეზებდა, მაგრამ ამერიკის ღია პირველობაზე გამოსვლას მაინც აპირებდა. თუმცა, „ოუფენზეც“ ველარ ითამაშა, რაკილა ნიუ იორკის ტურნირის დაწყებამდე მრჩეველი და ახლო მეგობარი — აქსელ მეიერ-ვოლდენი გარდაეცვალა.

„უდიდეს დაძაბულობას ვგრძნობდი მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც წლიდან წლამდე კორტზე გამოვდიოდი და თითქოს ვალდებული ვიყავი, ყოველთვის მომეგო“. ბეკერი მომავალში მხოლოდ ერთკვირიან ტურნირებზე აპირებს გამოსვლას, თან გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასზეც იასპარეზებს.

ბეკერმა ინტერვიუში ისიც განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ჩოგბურთში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მოხდეს: „ჩვენ პატარა რევოლუციის მოხდენა მოგვიწევს. საჭიროა მეტი გულახდილობა, სანახაობრიობა და ტელევიზიასთან თანამშრომლობა, მატჩების წინ ჟურნალისტებს გასახდელებში შესვლის უფლება უნდა ჰქონდეთ“.

* * *

ჩოგბურთის დიდების დარბაზის კომიტეტმა 1998 წლის ნომინანტთა სია გამოაცხადა. წელს პატივი ერგოთ: ჯიმი კონორსს, ფრანგ ფრანსუაზა დიურს, ავსტრალიელ კენ მაკგრეგორსა და ამერიკელ ნენსი რიჩს.

ჯიმი კონორსს, რომელიც ილინოისის შტატში დაიბადა, ზედიზედ 160 კვირის განმავლობაში ეჭირა პირველი ადგილი კაცთა საჩოგბურთო კლასიფიკაციაში, 16 წლის განმავლობაში კი საუკეთესოთა ათეულში იმყოფებოდა. 1973 წელს მან ოთხიდან სამი დიდი სლემის ტურნირი მოიგო. 1974-78 წლებში გადიოდა ამერიკის ღია პირველობის ფინალში. იგი ერთადერთია, ვინაც „ოუფენის“ მოგება სამ სხვადასხვა საფარზე — თიხნარზე (1976), ბალახზე (1974) და ჰარდზე (1978, 82, 83) მოახერხა.

ალჟირში დაბადებული დიური უკანასკნელი ფრანგი ქალია, ვინც როლან გაროსის მოგება მოახერხა (1967). მასვე გაუმარჯვია დიდი სლემის 11 ტურნირში წყვილთა შორის.

კენ მაკგრეგორი 1950 წლის ავსტრალიის იმ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა, რომელმაც დევისის თასზე ამერიკელთა ოთხწლიან ბატონობას ბოლო მოუღო. ისტორიაში ერთადერთხელ, 1951 წელს თანამემამულე ფრენკ სენგმენთან ერთად მან წყვილთა თანრიგში დიდი სლემის მოპოვება შეძლო. 1952-ში კი მაკგრეგორმა ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო — ფინალში სენგმენი დაამარცხა.

ტეხასელი ნენსი რიჩი ამერიკის ღია პირველობის (თიხნარზე) სარეკორდო, ზედიზედ ექვსგზის გამარჯვებულია. იგი ასევე როლან გაროსის 1968 და ავსტრალიის 1967 წლის ღია პირველობის ჩემპიონია, წყვილთა თანრიგში კი უიმბლდონიც მოიგო.

სპორტის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანისთვის დიდების დარბაზმა ნომინირებულთა სიაში მოახვედრა ჰერმან დეივიდი, რომელიც ინგლისის დევისის თასის გუნდში ასპარეზობდა 1932 წელს, მერე კი უიმბლდონის „ოლ-ინგლენდ ქლაბის“ თავმჯდომარე იყო 15 წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრება წამები და წამებაა



ასე მხოლოდ მიხეილ ქორქია უტევდა

25 წელი გასულა...

25 კი არა, საუკუნეც რომ მივითვალოთ, ისაც 3 წამში ჩაეტევა, 3 წამში, რომელიც ლეგენდად იქცა და რომლის ლეგენდად ქცევაც სხვებთან ერთად ორი ქართველის დამსახურებაა — ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიასი. ამ ორ დიდ კალათბურთელს დაეტვირთა ქართველ კალათბურთელთათვის მანამდე მიუღწეველის მიღწევა — ოლიმპიური ჩემპიონობა. საკანდელიძე და ქორქია! დღემდე განუყრელნი, უღალატონი და ძმებად შერჩენილნი, მაგრამ დროებით მათი გაყრა მომიწევს და ბატონ მიხეილ ქორქიაზე მეტს ვისაუბრებ. მით უმეტეს, რომ მიხეილ ქორქიამ კარგა ხნის წინ საკმაო სიმწარე იგემა და მავანთა გულღრძობისა და სხვათა დაუდევრობის გამო შერისხულიც იყო და მოკვეთილიც.



ჩემი ბედნიერება ჩემი ოჯახია, ამბობს მიშა ქორქია

მიხეილ ქორქიას სპორტული კარიერა ქართული სპორტისთვის თავდაუზოგავი მსახურებაა. ალალი კაცია, უგულოდ საქმის კეთება არ შეუძლია და ამ საქმეშიც იშვიათად ჰყავდა ტოლი — წამი რაა, ისიც კი არ უთამაშია გულსგარეთ. სულსა და გულს სდებდა თამაშში, მუდამ ბოლომდე იხარჯებოდა და ქომაგთა კერპადაც იქცა. მაგრამ კაცს მუდამ ვარდებით მოფენილ გზა-შარაზე სიარულს ვინ აცლის? მიხეილ ქორქიასაც არაერთხელ გაუჭირდა ცხოვრებაში, არაერთმა სინდისით თავშეუწუხებელმა კაცმა გაუჭირვა ცხოვრება. როგორც ხდება ხოლმე, ქომაგნი შემოეძარცვნენ და დარჩა მარტოკაცი მუხთალი წუთისოფლის პირისპირ. როგორც ვაჟკაცთა წესია, აქაც იმარჯვა მიხეილ ქორქიამ — ყველა ტკივილსა და გასაჭირს გაუძლო, ყველას თავისი მისაგებელი მიაგო და დღეს ასე დაიარება ამ ქვეყნად.

## 3 წამი, რომელიც საუკუნეს იტევს

შეიძლება, ისაუბრო ნიუტონზე და ვაშლი და მიზიდულობის კანონი არ ახსენო? არა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ასევე, არ შეიძლება კალათბურთელ მიხეილ ქორქიაზე ისაუბრო და 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშები არ გაიხსენო. მეც ამით დავიწყებ.

ორი ქართველი ასპარეზობდა საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ოლიმპიურ გუნდში — მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე. სპორტის არაერთ სახეობაში და საკმაოდ ხშირადაც, მარცხის შემთხვევაში საბჭოური ნაკრების თავკაცები არარუს სპორტსმენებს განტევების ვაცად იყენებდნენ ხოლმე. თუმცა, სიმართლე ვთქვათ, გულისგულში ქორქიასი და საკანდელიძის დიდი იმედიც ჰქონდა საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელს კონდრაშინს და ამიტომაც იყო, რომ მიუნხენის ოლიმპიადის ფინალში ამერიკელებთან სასტარტო ხუთეულში ორივე ქართველი დააყენა — მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე. კალათბურთის ძველ ქომაგებს ეხსომებათ — ამერიკელები მთელი თამაში კუდში მისდევდნენ საბჭოელებს, ბევრს არც ის ექნება დავიწყებული, რომ დასაწყისში საბჭოთა გუნდის მიერ მოპოვებული 12 ქულიდან 10 ქართველების მონაგარი იყო — 6 საკანდელიძისა და 4 ქორქიასი. თამაშის მიწურულს ამერიკელები ძალიან გააქტიურდნენ და დაწინაურდნენ. 3 წამი რჩებოდა მატჩის დამთავრებამდე და ჩვენები — მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე 1 ქულას აგებდნენ, საკანდელიძესთან უხეშად მოთამაშე ამერიკელი დაჯარიმდა, საბჭოელებმა ჯარიმა გაითამაშეს, სროლა ვერ მოასწრეს და შეხვედრაც დასრულდა. ამერიკელი კალათბურთელები ოლიმპიურ ჩემპიონობას ზეიმობდნენ, როცა მოედანზე ფიბას პრეზიდენტი, ინგლისელი ჯენტლმენი სერ ჯონსი გამოჩნდა — ჯონსმა მსაჯებს შეცდომაზე მიუთითა და მართალიც იყო: მსაჯებმა წესი დაარღვიეს. დროის ათვლა იწყება არა პასის მიწოდებიდან, არამედ ბურთის მიღებიდან, ამიტომაც ჯონსმა ჯარიმის ხელახალი გათამაშება მოითხოვა — ეს სამწამიანი ეპიზოდი გაიმეორეს. ახლა კი არ გაუმართლათ ამერიკელ კალათბურთელებს — ედეშკომ გრძელი პასით საშა ბელოვი მოძებნა, ბელოვმა კი ამერიკელთა კალათი და ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

სად იყო ამ დროს მიხეილ ქორქია? ივი, სამწუხაროდ, სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა შეხვედრას თვალს. თუმცა, რატომ სამწუხაროდ! ქორქიამ პირველი ტაიმი შეუცვლელად ითამაშა, მეორე ტაიმშიც ხუთეულთან ერთად გამოვიდა მოედანზე, მე-9 წუთზე კი მოედნიდან გააძევეს და ამერიკელთა მრისხანე თავდამსხმელი ჯონსონიც ზედ მიაყოლეს. ჯონსონი თავისი გუნდისთვის იმხანად უფრო მეტი იყო, ვიდრე ქორქია თავისიანებისთვის, ამიტომაც, ქორქია-ჯონსონის გაძევებით საბჭოელებმა უფრო იხეირეს, ვიდრე ამერიკელებმა. ფიცხი კაცია მიხეილ ქორქია, მით უმეტეს, ახალგაზრდობისას, თანაც ოლიმპიადის ფინალში და ნერვებს რას მოთოკავდა. ჯონსონს, მსაჯმა ვერ შენიშნა და, ცოტა უხეშად წაართვა ბურთი, ამერიკელსაც ეწყინა და ქორქიას გაექაჩა, თანაც იანკური ლანძღვაც მიაყოლა, მიხეილ ქორქიამაც ქუთაისში მაგვარ საქციელს ასე პასუხობენო და კაი ლაზათიანი უთავაზა. მსაჯსაც რაღა დარჩენოდა, მოშუღარნი მოედნიდან მიაბრძანა.

ჯონსონმა იღარდოს, თორემ მოედნიდან გასულ მიხეილ ქორქიას მწვრთნელები და თანაგუნდელები ხვევნა-კოცნით შეხვდნენ — ეგ რა ჭირი მოგვაშორეო!

## ...ლირი, ყველასგან მიტოვებული

წისქვილის ქვას არ უტრიალია ჩემს თავზე, თორემ დანარჩენი ყველაფერი გადამიტანიაო — თუ ვინმეს ეთქმის, უპირველესად მიხეილ ქორქიას. უებრო სპორტსმენს სპორტშიც ბევრი ჰქონია სადავიდარაბო და ქინიანსა და პრინციპულს მუდამ თავისი გაუტანია. სპორტს ჩამოსცილდა და, როგორც ადრე იტყოდნენ, სამეურნეო საქმიანობას მიჰყო ხელი. მაგრამ მტერსა და მოშურნეს რა დაულევს კაცს, მით უმეტეს, სახელიანს — ძალაუფლებით „აღკაზმულნი“ დაუპირისპირდნენ და მის ახალ საქმეშიც დაიწყეს ქექვა.

საბოლოოდ, სახელმწიფო ქონების დატაცება დაბრალდა და 96-ე პრიმა მუხლით გასამართლდა ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი, ხალხის საყვარელი კალათბურთელი, პატიოსან კაცად ცნობილი მიხეილ ქორქია. კი, ბატონო, კანონი კანონია, დიდი სპორტსმენებიც შეცდარან, ამისთვის მკაცრადაც მოჰკითხვიათ და ამნაირი მაგალითი არაერთია, მაგრამ...

— თუ დამნაშავე ვიყავი, უნდა დავესჯილიყავი, რა მქონდა საპრეტენზიო, მაგრამ მე სხვა რამ მეწყინა, — გულნატკენი იგონებს ბატონი მიხეილი — ციხისა და გადასახლებისა კი არ მეშინოდა, უბრალოდ, არაადამიანურად მომექცნენ, როცა გამასამართლეს და 5 წელი მომისაჯეს, ვიღაცამ ქუთაისის საკალათბურთო დარბაზში გაკრული ჩემი სურათიც ჩამოხსნა — ამას აქ რა უნდაო...

დიახ, იმ მართლაც რომ ვიღაცამ მიხეილ ქორქიას სურათი კი არ ჩამოხსნა, ჩამოხია — ქუთაისის საკალათბურთო დარბაზში კალათბურთში ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონის სურათი ჩამოხია. აი, ასეთი ხალხის განსაცდელი გახდა მიხეილ ქორქია.

გაჭირვებისას ყველამ მიატოვა მიხეილ ქორქია. კალათბურთის სამყარომ, ვითომ მისთვის არაფერი ვალოს, მყისიერად უგანა და მიივიწყა. მხოლოდ მისი სათაყვანებელი ბიძა ოთარ ქორქია და ბიძაშვილი ნოდარი დაუდგნენ გვერდით. და, რა თქმა უნდა, ნაღდი მეგობარი, დღემდე მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე ზურაბ საკანდელიძე — ბატონ მიხეილისთვის დღემდე „საკო“ — კაცი, რომელმაც ოთარ ქორქიასთან ერთად ჩინოსანთა კაბინეტები არ დატოვა უნახავი, შეუწუხებელი არ დარჩა არავინ, რათა მეგობრისთვის ეშველა.

მაინც არ დაინდეს მიხეილ ქორქია — 5 წელი მიუსაჯეს. 2 წელიწადში დაალწია თავი საპყრობილეს, იქაც, ციხეშიც კაცად დარჩა და ღირსეულად მოიხადა სასჯელი. თანამოსაკნენი და ციხის თანამშრომლებიც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ მიხეილ ქორქიას, რამეთუ მავანთაგან განსხვავებით კარგად უწყოდნენ დიდი სპორტსმენის ფასი.

სასჯელმოხდილსაც, ვით კეთროვანს, ისე შეხვდა არაერთი მეგობარი, კოლეგა და ახლობელი. ზოგი გამარჯობასაც ამადლიდა. პატარა კაცების სენია — დღევანდელი დღით ცხოვრობენ და არც წინ, არც უკან არ იცქირებიან. იმ ქვეყანას რა ვუთხარი, მიხეილ ქორქია რომ ბავშვთა მწვრთნელის ადგილს ვერ იშოვნის. „ნორჩ დინამოელშიც“ არ აღმოჩნდა მწვრთნელის ნახევარი შტატი, რომ მიხეილ ქორქიას საყვარელი საქმისთვის მოეკიდა ხელი. ბოლოს გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი, რომელიც არ შეუშინდა ზემდგომთა რისხვას და მოკვეთილი მიხეილ ქორქია შეიფარა — თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელმა პრორექტორმა ვახტანგ გოგუაძემ უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელად მიიწვია.

## რა დრო იყო!

ინტერვიუების მიცემა არ უყვარს მიხეილ ქორქიას. მაპატიებს ბატონი მიხეილი და ნურც ჩემი კოლეგები განაწყენდებიან, თუ ვიტყვი — დასანანადაც კი ეზარება ჟურნალისტები. არც გაემტყუნება — მაშინ, როცა ცხოვრებაში გაუჭირდა, მანამდე კი ქართული კალათბურთის სასიკეთოდ მხარდაჭერა სჭირდებოდა, პრესა და ტელევიზია მოშურნედ ექცნენ. წყენის პატიება შეძლო ბატონმა მიხეილმა, მაგრამ დავიწყება ვერა. ამიტომაც იყო, ინტერვიუზე ტელეფონით რომ შევთანხმდით და ბახტრიონის 7-ში ოჯახში ვეწვიე. გამარჯობის შემდეგ ეს მითხრა — თავადაც მიკვირს, როგორ და რატომ დავთანხმდი ინტერვიუზეო. რაკი ასეთი შანსი მომეცა, აბა, ხელიდან როგორ გავუშვებდი...

**— ბატონო მიხეილ, 25 წელი გავიდა, რაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდით. ქართველ კალათბურთელებს საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები დიდად არ სწყალობდნენ ხოლმე. იმ ლეგენდარულ მატჩში თქვენ და ზურაბ საკანდელიძემ მაინც ითამაშეთ და უდიდესი წვლილიც შეიტანეთ გამარჯვებაში. როგორ მოხდა, რომ ჯერ ოლიმპიადაზე წაგიყვანეს, მერე კი ორივემ ფინალშიც იასპარეზეთ?**

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში როგორ მოვხვდი, ეს გრძელი ისტორიაა და არ ღირს მოყოლად. ეგ კია, „საკო“ ნაკრებში დამხვდა და მისი დიდი ღვაწლიც არის, რომ მე ამ გუნდში მომიწია თამაშმა. ოლიმპიადაზეც წამიყვანეს, მაგრამ ფინალში რომ გავედით, აქ ჩვენი მონაწილეობა სათუო იყო. ერთმა შემთხვევამ გადაწყვიტა ყველაფერი. მიუნხენის ოლიმპიურ სოფელში „საბჭოთა ბანაკში“ მაშინ ტრადიციული „წითელი ოთახი“ გვქონდა მოწყობილი. ერთხელაც „საკო“ „წითელ ოთახშია“ და სურათებს ათვალიერებს. ბედად, საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი სპორტკომიტეტის თავმჯდომარე პავლოვიც იქ იყო. პავლოვი საკანდელიძის ქომაგი იყო, იცოდა, რომ ფინალში კონდრაშინი არ უპირებდა დაყენებას და ჰკითხა — რატომ არ თამაშობ ფინალშიო. „საკო“ დაიბნა, მაგრამ მოულოდნელად ნაკრების მეორე მწვრთნელი ბაშკინი დალანდა და პავლოვს მასზე მიუთითა — აი, ამას კითხეთ, რატომ არ მათამაშებსო. პავლოვმა ბაშკინს მრისხანედ გადახედა, ისიც ლამის მიწაში ჩაძვრა თურმე, შეშინებული გაქცეულა კონდრაშინთან და მოუყოლია ეს ამბავი. ამათაც სხვა რა გზა ჰქონდათ — „საკო“ დააყენეს. ბოლოს ისიც იფიქრეს, ამერიკელების მომგები არა ვართ, ქორქიაც ვათამაშოთ და თუ წავაგეთ, ქართველებს დაბრალდებათო. ეს ნაღდი ამბავია — ამას შემდეგ დაუფარავად აცხადებდნენ მავანნი — ასე იყოო. როცა მოვიგეთ, შემდეგ ამას „კონდრაშინის ტაქტიკური მიგნება“ დაარქვეს.

**— დღეს ბევრი ამბობს, ქორქიას დავალებული ჰქონდა ფინალში ჯონსონთან ჩხუბი, რათა ჯონსონი გაეძევებინათ მოედნიდანო...**

— არა, სისულელეა. ეს რომ მდომოდა, პირველ ტაიმშივე ავუხირდებოდი, მაშინაც არაერთი ორთაბრძოლისას შევეჯახეთ ერთმანეთს. უბრალოდ, ბუნებრივად მოხდა ყველაფერი.

**— ყველა დროის უდიდეს კალათბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

— რა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანი. ჯერ ასეთი კალათბურთელი არ დაბადებულა.

**— ვისაც თქვენს გვერდით უთამაშია?**

— მე დიდებულ კალათბურთელებთან მომიწია თამაში, ზოგი მეტოქე იყო, ზოგიც თანაგუნდელი, მარტო მიუნხენის ოლიმპიადის გუნდი რად ღირს — დიდებული თაობა იყო, დიდებული კალათბურთელები, ძნელია ვინმეს გამორჩევა, მაგრამ მაინც საკანდელიძეს განუმეორებელ ტალანტს საშა ბელოვსა და მიშკინს გამოვყოფდი. ამერიკელებთანაც მითამაშია, შემდგომში ნბა-ს ვარსკვლავებთან — ლარი ბერდი და „დოქტორ ჯეი“ — ჯულიუს ირვინგიც ყოფილან ჩემი მეტოქენი.

**— მოდით, ლეგენდარულ 3 წამს დავუბრუნდეთ. რას ნიშნავს თქვენთვის ის 3 წამი?**

— მაშინ მოედანზე არ ვიყავი, სკამზე ვიჯექი, მაგრამ ჩემი წვლილიც ხომ იყო გამარჯვებაში. ის 3 წამი მთელი ცხოვრებაა ჩემთვის. მახსოვს, მატჩი რომ დამთავრდა, 7 საათი გასახდელში ვისხედით, ვიდრე გადაწყვეტდნენ, ჩაეთვლათ თუ არა ბელოვის ტყორცნა. ოლიმპიური ოქროს მედლებიც მეორე დღეს, საღამოს გადმოგვცეს. არა, ნაღდად ღირდა იმ 3 წამისთვის ცხოვრება.

**— ბევრს ოთარ ქორქიას ვაჟი ეგონეთ თავდაპირველად...**

— ის კი არ იცოდნენ, რომ ნოდარია მისი ვაჟი, არა? რა ვიცი, ეტყობა იმიტომ, რომ მე და ბიძაჩემი ვგავართ ერთმანეთს. ბევრს მე და ნოდარი ძმები ვგონივართ. აი, ამაში კი არ ცდებიან, თუმცა ერთი დედმამის შვილები არა ვართ.

**— ამჟამად თუ გაქვთ რაიმე საერთო კალათბურთთან?**

— ჯერჯერობით არაფერი, გარდა იმისა, რომ კალათბურთი ჩემი ცხოვრებაა. ახლა ბიზნესით ვარ დაკავებული, სამომავლოდ არ გამოვრიცხავ, რომ კალათბურთში ვეძიო საჩემო საქმე და ვიპოვნი კიდეც, კერძოდ რა, ახლა არც ვიცი.

## მეხუთე სექტორი

წლების მანძილზე თბილისის „დინამოს“ უცვლელი კაპიტანი იყო მიხეილ ქორქია. იმ დღესაც — 1973 წლის 11 მარტს კაპიტნის სამკლაურით გაუძღვა თანაგუნდელებს სპორტის სასახლეში მინსკის რტი-სთან საპაექროდ. არ იყო წასაგები თამაში, მაგრამ რას იზამ, დამარცხდა „დინამო“ მინსკელებთან. ანგარიში დაფიქსირდა, ოქმიც შეავსეს მსაჯებმა და გუნდის კაპიტნები მიიხმეს ხელის მოსაწერად. მიხეილ ქორქია გაჯიუტდა და არ აწერდა ხელს, არადა, მსაჯები მოედანს ვერ ტოვებდნენ და არც ხალხი მიდიოდა შინ — ჩვენების წაგებით აღშფოთებული ქომაგებით სავსე იყო ტრიბუნები. ამ დროს მეხუთე სექტორში მჯდომმა ერთმა ქომაგმა უშვერი სიტყვებით, ძალიან მწარედ გინება დაუწყო მიხეილ ქორქიას, თანაც, მისამართი რომ არ შეშლოდა, რამდენჯერმე გაიმეორა მისი გვარი. კიდევ ეს უნდოდა ნერვებდაწყვეტილ ქორქიას? აუვარდა მეხუთე სექტორში იმ ენაბილწ გულშემატკივარს და, რომ იტყვიან, გვარიანად გაასილაქა. მაგრამ ამით არ დასრულებულა ეს ამბავი. მაშინდელი სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა კაპიტნის უდისციპლინო საქციელი. კოლეგიაზე ერთმა ისიც კი თქვა: აბა, რა უნდა მოსთხოვო კაცს, რომელმაც ოლიმპიადის ფინალში მუშტი-კრივი გამართაო. ის არავის გახსენებია, რომ მისმა ჩხუბმა მისი თანაგუნდელები დიდად ახეირა. ბოლოს, რომ იტყვიან, ნაბანს ბავშვი გადააყოლეს და მიხეილ ქორქიას ბიძა ოთარ ქორქია „დინამოს“ მწვრთნელობიდან მოხსნეს.

## მიშა ქორქია

დიახ, ოფიციალურად მიხეილი, შინაურთათვის უბრალოდ მიშა, მიშიკოც შეიძლება, ოღონდ ძალიან, ძალიან შინაურთათვის.

ვინც მიშა ქორქიას იცნობს, არ ვაჭარბებ და, რაღაცით მაინც თავს ბედნიერ კაცად თვლის. უანგარო, ალალი მეგობრობა იცის და ამასვე მოითხოვს სხვისგან, გულსგარეთ საქმის კეთება არ შეუძლია და ყველას გულიანი ცხოვრებისკენ მოუწოდებს. ოთხჯერ მძიმე ავადმყოფი რეანიმაციაში იწვა. რა აწუხებდა? რა თქმა უნდა, გული, აბა, მთასავით კაცს სხვა რა ასტკივდებოდა. გული კი იმიტომ, რომ ჩვეულებრივი მოკვდავის გული აქვს, ჩვეულებრივი სიდიდისა, ის კი უამრავ ტკივილსა და სიხარულს იტევს. არ შეუძლია პატარა გულს ამდენის დატევა და რა ქნას, მიშა ქორქიას კი სხვაგვარად არ შეუძლია, ყველას სიხარულსა და ტკივილს იზიარებს და სად წაიღოს ამდენი დარდი და სიხარული, როცა მეორე გული არა აქვს — ცალგულა კაცია მიშა ქორქია და ყველას მოსიყვარულე და მომფერებელი. ცხოვრებამ ბევრი ავი დაანახვა, ბევრი მტერი გაუჩინა, მაგრამ დიდსულოვნად ყველას შეუნდო. მისი სიყვარული კი ოჯახიდან იწყება. ოჯახიც თავისი კაცობის სადარი აქვს. მოდით, მის ოჯახსაც გავეცნოთ — მეუღლე მანანა სურგულაძე, ქალიშვილები სოფიკო და თამუნა, სიძე დიმა რამიშვილი და, რა თქმა უნდა, ნუცა — 3 წლის ცქრიალა გოგონა, ბაბუის დაკოდილ გულს მართლაც მალამოდ რომ ედება. მიუხედავად უამრავი უსამართლობისა, რაც გადახდენია, მიხეილ ქორქია მაინც ამაყად აცხადებს: მე ბედნიერი კაცი ვარ და ჩემი ბედნიერება საკუთარი ხელებით გამოვჭედეო.

კვლავაც ბევრი სიკეთის გაკეთება შეუძლია მიშა ქორქიას გულს? გული გაუძლებსო, დამაიმედა და ასეც იქნება.

P.S. როცა მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, ქართული სპორტის მადლიერმა თავკაცებმა მათ სპორტის სასახლის ტრიბუნაზე ორი დასაჯდომი ადგილი გამოუყვეს, რათა ორივე კალათბურთელს მთელი ცხოვრება შეძლებოდა კალათბურთის ცქერა სპორტის სასახლეში. სკამებზე გვარ-სახელიც კი ეწერა — „ზურაბ საკანდელიძე“ და „მიხეილ ქორქია“. როცა ბატონი მიხეილი ციხეში იყო, ვიღაც ნაძირალამ, კომკავშირის ცხვირმოუხოცავმა მუშაკმა ვერ იგუა დიდი სპორტსმენის ეს პატივი და მიხეილ ქორქიას სკამზე მისი გვარ-სახელი გადააშლევინა, ახე ვთქვათ, სკამი ჩამოართვა, საკანდელიძისა კი დარჩა. ალბათ, დროა, სპორტის სასახლის ახლანდელმა პატრონებმა აღადგინონ სამართალი და მიხეილ ქორქიას დაუბრუნონ კუთვნილი და „ზურაბ საკანდელიძის“ გვერდით კვლავ გაჩნდეს წარწერა — „მიხეილ ქორქია“.

**ლევან ჯაგახიშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელმოცარული ოქროსმაძიებელნი

**რაც საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად იწოდება, სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონი არ ჰყოლია. როცა ქვეყანაში არეულობა და ქაოსი იყო, სპორტისთვის, აბა, ვის ეცალა. ქუჩაში გამოსული ხალხი შინ უსაფრთხო დაბრუნებასა და ლუკმაპურს ნატრობდა. არც სახელმწიფოს ეცალა სპორტისთვის. ქართველი ქომაგნიც, მეტი რა გზა ჰქონდათ, გაგებით ეკიდებოდნენ ქვეყნის ნაკრები გუნდებისა თუ ცალკეულ სპორტსმენთა წარუმატებლობას საერთაშორისო სარბიელზე. ახლა, ასე თუ ისე, ქვეყანა დალაგდა, ბევრი პრობლემა გადაიჭრა, ზოგი კი დროებით მიიჩქმალა. რაც მთავარია, ხალხმა ცოტა ამოისუნთქა და სპორტისთვისაც მოიცალა. ბოლო ორიოდ წელია, ქომაგნი ითხოვენ მონატრებულ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალს. დამოუკიდებლობას თავიც რომ დავანებოთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედალი ქართველებმა 1991 წელს მოიპოვეს.**

მაინც ვისი იმედი აქვთ ჩვენებურ სპორტის ქომაგებს? რა თქმა უნდა, უპირველესად თავისუფალი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეების და ძიუდოისტებისა, იმ ხალხის, რომელთაც განებივრებული ჰყავდათ გულშემატკივრები დიდი გამარჯვებებით. შარშან მათგან ვერავინ შეძლო თაყვანისმცემელთა გახარება და ისინიც, რაღა დარჩენოდათ, წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატებს დაელოდნენ, იქნებ ერთი წლის მერე მაინც აგვისრულდეს ოცნებაო. და, აი, ეს შესაძლებლობა პირველად თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს მიეცათ, რომლებიც ახლახან დაბრუნდნენ კრასნოიარსკის მსოფლიოს ჩემპიონატიდან, დაბრუნდნენ, სამწუხაროდ, ხელმოცარულნი — მხოლოდ ეული ბრინჯაოს მედლით. სხვისთვის ერთი ბრინჯაოს მედალი იქნებ წარმატებაა, მაგრამ ქართველთათვის არამც და არამც, მით უმეტეს, რომ ეს მედალი რუსეთში ოქროს საძიებლად წასულ ელდარ კურტანიძეს ნუგეშად არ გამოადგება. არც დათო პოლოსიანს გაუმართლა. მეორე ოქროსმაძიებელს საერთოდ არ უჭიდავია კრასნოიარსკში — დათოს სერიოზულმა ტრავმამ არ მისცა ასპარეზობის საშუალება.

მაინც რა მოხდა? რატომ დარჩნენ ერთი ბრინჯაოს მედლის ამარა ჩვენი ფალავნები? შეიძლებოდა თუ არა მეტის მიღწევა, თუ მხოლოდ ქომაგთა და ზოგიერთი სპეციალისტის უსაფუძვლო ოცნება იყო ელვარე ოქროს მედლები? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მოდით, ჯერ ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **ზაზა თურმანიძეს** მოვუსმინოთ.

— უიღბლობა გვდევდა. ჯერ იყო და, დათო პოლოსიანს ძველი, მიყუჩებული ტრავმა გაუმიზეზდა — საზარდულის მყესები დაეჭიმა. თავდაპირველად გვეგონა, ტკივილგამაყუჩებლების მიღების შემდეგ შეძლებდა ჭიდაობას, მაგრამ შეჯიბრების დღეს იმდენად ძლიერი შეტევა ჰქონდა, ვერაფერი ვუშველეთ.

**— ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ დათოს ეჭიდავა?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი. გუნდის ექიმმა ჯუმბერ ბრეგვაძემ თავი არ დაზოგა, მთელი თავისი ცოდნა და უნარი გამოიყენა, დათოს რომ ეჭიდავა, მაგრამ ამაოდ. დასახმარებლად კანადის, საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრებების ექიმებს მივმართეთ, მათაც ხელი გამოიღეს, თუმცა, დათოს მაინც ვერ უწამლეს.

**— სად გაუმიზეზდა ტრავმა — გორში თუ კრასნოიარსკში?**

— კრასნოიარსკში. ერთ-ერთი ვარჯიშისას დაეჭიმა საზარდულის კუნთები.

**— როცა ბორჯომში ჩვენი მოჭიდავეები მოიწამლნენ, მახსოვს, დათო ყველაზე მძიმედ იყო. ენერგია ბევრი დაკარგა და, რა თქმა უნდა, ორგანიზმი დაუსუსტდებოდა. ამის შემდეგ რამდენად მიზანშეწონილი იყო მისთვის ჩემპიონატამდე ორი დღით ადრე სრული დატვირთვით ვარჯიში?**

— დათომ ბორჯომში ენერგია კი დაკარგა, მაგრამ შემდეგ მოღონიერდა, ძალები აღიდგინა და წონაშიც მოიმატა. ზედმეტი წონა ჰქონდა დასაკლები და აუცილებელი იყო მისი დაუზოგავი ვარჯიში. ისიც ისე ვარჯიშობდა, როგორც ნაკრების სხვა წევრები. ბორჯომის ეპიდემიას და ამ ტრავმას ერთმანეთთან საერთო არა აქვთ.

**— ელდარ კურტანიძეს რაღა დაემართა?**

— ელდარმა შესანიშნავად დაიწყო. ევროპის ჩემპიონატისგან განსხვავებით, ახლა უკეთეს ფორმაში იყო და ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ თუ პოლონეთში მაგომედოვთან და საბიევთან თითქმის თანაბარ ორთაბრძოლებში გაიმარჯვა, კრასნოიარსკში ეს ტიტულოვანი ფალავნები უპუგეშოდ დაამარცხა. ელდარი ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტი იყო. ამას არცერთი ნაკრების მწვრთნელი და სპეციალისტი არ მალავდა, ქომაგებიც მრავლად გაიჩინა კრასნოიარსკის სპორტის სასახლეში, მაგრამ ოსტატობასა და ფიზიკურ მზადყოფნას იღბალიც თუ არ დაერთო, ისე არაფერი გამოვა. ბედმა კი ნამდვილად უმტყუნა ელდარს და საშუალო ნიჭისა და არაფრით გამორჩეულ მოჭიდავესთან, უკრაინელ პრიადუნთან დამარცხდა მესამე შეხვედრაში.

**— მანამდე თუ უჭიდავია ელდარს პრიადუნთან?**

— არა, არასდროს. პრიადუნი, ხომ გითხარით, მეტად უბრალო მოჭიდავეა, ელდარისა და მისი შედარებაც არ შეიძლება. ათჯერ რომ დააჭიდო ერთმანეთს, ათჯერვე ელდარი მოუგებს ისე, რომ ქულას არ დაუთმობს. ეს უკრაინელი დღემდე მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებზე ხუთეულშიც კი არ ყოფილა, მეორემესამე კატეგორიის ტურნირებზე თუ ისახელებს-ხოლმე თავს.

**— მაინც, რით ახსნით კურტანიძის მარცხს?**

— შემთხვევითობით. ელდარი პრიადუნს 2 ქულას უგებდა, ამ დროს უკრაინელი გააფრთხილეს და ჩოქბჯენში დააყენეს. ელდარმა ჩოქბჯენიდან ნაკატად წოდებული ფანდით წამოილო პრიადუნი, დატრიალება დაუპირა, მაგრამ ამ დროს, სრულიად შემთხვევით თავად აღმოჩნდა ხალიჩაზე ბეჭებით გაკრული. ამ წუთებში სპორტის სასახლეში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ინფორმატორმა ისიც გამოაცხადა — ეს შეხვედრა ჩემპიონატის მთავარი სენსაციააო. შენ წარმოიდგინე, მსაჯები კარგა ხანს გაოგნებულნი იდგნენ და ვერ გადაეწყვიტათ, დაესრულებინათ შეხვედრა თუ არა. არადა, ყველაფერი ნათელი იყო, უბრალოდ, მსაჯებს აშკარად ეტყობოდათ, რომ ეძნელებოდათ, პრიადუნის მარჯვენა აღემართათ მისი გამარჯვების ნიშნად.

**— ბოლო, ბორჯომის შეკრებაზე ბიჭების მოწამვლამ თავისი დაღი თუ დააჩნია მათ გამოსვლას?**

— ბორჯომის ამბავმა, ვფიქრობ, ბევრი არაფერი შეცვალა. კურტანიძეზე და პოლოსიანზე გითხარით, დანარჩენებსაც გამოუცდელობამ უფრო შეუშალა ხელი, ვიდრე გადატანილმა ავადმყოფობამ.

**— რვავე წონაში უძლიერესი მოჭიდავეები წაიყვანეთ? ახლა, როცა ჩემპიონატი დამთავრდა, გუნდი ხელახლა რომ იყოს დასაკომპლექტებელი, ვის შეცვლიდით?**

— 6 წონაში ოპტიმალური ვარიანტი შევარჩიეთ და საკამათო არაფერი იყო. მხოლოდ ლირსეულები წავიყვანეთ კრასნოიარსკში. აი, 69-ში მოასპარეზე ემზარ ბედინეიშვილს ტრავმა ჰქონდა და მას ზაზა გაგიშვილი ვარჩიეთ. 54-ში კი ამ ეტაპზე ყულოშვილს მივეცით შანსი. პირველობაზე პრეტენზიას კირკიტაძე და თუშიშვილიც აცხადებენ. სამომავლოდ ამ წონაში მეტად დიდი პერსპექტივაა, რადგან სამეულის კონკურენცია შედეგს გამოიღებს — ბიჭები დაოსტატდებიან. ისე, სექტემბრის მიწურულს შესაძლოა, მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავროთ და თუ გუნდს გადავახალისებთ, მაშინ ნახავთ, რას და როგორ შევცვლით.

**— თქვენ და გია გალდავას თუ გქონდათ შეცდომები გუნდის მზადებისას?**

— ჩვენს შეცდომებზე, თუკი ისინი გვქონდა, სჯობს, სხვამ ისაუბროს.

ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა მინსკში, მედვედის სახელობის ტურნირზე წარმატებითაც რომ იასპარეზოს, ამით ბევრი არაფერი შეიცვლება. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წლევანდელი სეზონი, პრაქტიკულად, დასრულდა. რა მოინაგრეს ჩვენმა ფალავნებმა, რა მედლები დაკარგეს და რატომ — ამ საკითხებზე გავესაუბრე ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს.

**— ბატონო ომზარ, როგორ შეაფასებდით თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წლევანდელ ნაღვაწს?**



უიღბლონი — დათო პოლოსიანი და ელდარ კურტანიძე

— ვფიქრობ, მეტის მიღწევა შეიძლებოდა, უფრო სწორად, მეტის საშუალება იყო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბედმა გვიმტყუნა. ის ფაქტი, რომ კრასნოიარსკში 2 ოქროს მედლის მოპოვების შანსი გვქონდა და ერთ ბრინჯაოს დავჯერდით, უკმარისობის გრძნობას ბადებს. მე ვთვლი, რომ ამ წარუმატებლობის მიზეზი ნაკრების დასკვნითი, ბორჯომის შეკრება იყო. აბა, წარმოიდგინეთ, გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება და ერთი კვირით ადრე ყველა მოჭიდავე მოიწამლა. თანაც ბორჯომიდან საჩქაროდ აიყარნენ და თბილისში გადმობარგდნენ. არანორმალურ პირობებში მოუწია ნაკრებს ბოლო შეკრების გავლა და ამან, ბუნებრივია, თავისი კვალი დაატყო გუნდის საბოლოო შედეგს კრასნოიარსკში.

**— სპორტის დეპარტამენტმა ყველაფერი გააკეთა ნაკრების სრულყოფილად მოსამზადებლად?**

— აი, პირველ ნაკრებს, როგორც თავისუფალ, ასევე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, არაფერი მოკლებია, წელს მათ არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებზე კი ეს არ ითქმის, რადგან არ იყო იმდენი თანხა, რომ ჩვენს მომავალ მოჭიდავეებს საჭირო დონისა და რაოდენობის შეკრება გაევლოთ და ტურნირებში ხშირად ეასპარეზათ.

**— ნაკრების მწვრთნელებს ზაზა თურმანიძეს და გია გალდავას ხომ არაფერს უსაყვედურებდით?**

— აბა, რა სათქმელი უნდა მქონდეს მათთან, როცა თავი არ დაზოგეს, ყველაფერი გაუკეთეს გუნდს, რაც შეეძლოთ. მით უმეტეს, მათი თავკაცობით წელს ექვსი ოქროს მედალი მოიგეს ბიჭებმა — ორი ევროპის ჩემპიონატზე, ორ-ორი კი კიევის და კრასნოიარსკის საერთაშორისო ტურნირებზე.

ნაკრების მთავარი მწვრთნელისა და ფედერაციის გენერალური მდივნის საუბარმა, ალბათ, ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი, მარცხის მიზეზებიც ასე თუ ისე, უფრო გამოიკვეთა, მაგრამ მიზეზი და არგუმენტები, რაც უნდა დამაჯერებელი იყოს, ვერაფერი ნუგეშია გაწბილებულ ქომაგთათვის. ერთი კი ფაქტია, რომ „ბორჯომის საქმემ“ თავისი კვალი დატოვა და შედეგიც სახეზეა. პოლოსიანს მაინცდამაინც ჭიდაობის წინა დღეს გაუმიზეზდა ტრავმა და ელდარ კურტანიძემაც შემთხვევით, ისეთ კაცთან წააგო, რომლის მსგავსებს ზოგჯერ სპარინგ-პარტნიორებადაც ვერ ჰგუობს.

ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, თავად მოჭიდავეები დაზარალდნენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კრასნოიარსკში საკმაოდ სოლიდური პრემიები იყო დაწესებული — ჩემპიონისთვის 6000 დოლარი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელთათვის, შესაბამისად 3000 და 1000 დოლარი. გარდა ამისა, ჩემპიონი 50-გრამიან ბაჯაღლო ოქროს მედალს მიიღებდა.

ელდარ კურტანიძეს, როცა კრასნოიარსკიდან დაბრუნდა, რომ იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდა. არც საინტერვიუ და სასაუბრო ხასიათზე იყო, კაცმა ვერა დავერ მოიხელთა ოლიმპიური ან მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი, არადა ყოველთვის მოსაგებად მიდის, როგორც უპირველესი ფავორიტი, უკან კი უიღბლო შემთხვევების წყალობით ხელმოცარული ბრუნდება. მაინც დავტყუე ორი სიტყვა: ქომაგებს ბოდიშს მოვუხდი, რომ ვერც ამჯერად გავუმართლე, მაგრამ რავქნა, ყველაფერი ხდება. სამომავლოდ ექვს არავის შევპაროს, შეხვედრას არ წავაგებ. ჩემს გულშემატკივრებს საგაისოდ კვლავ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობას ვპირდები. მოვკვდები და ავუსრულებ“. ვის ვის და, ელდარ კურტანიძეს არ უყვარს უსაფუძვლო ქადილი, ეგ არის, ზოგჯერ იღბალი ღალატობს.

მოკლედ, ოქროსმაძიებელთა ერთმა ქართულმა დელეგაციამ ვერ აღმოაჩინა კრასნოიარსკში ოქროს საბადო, მეორენი — ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავენი დღეს გაემგზავრნენ პოლონეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე ამავე მისიით დავალებით, მესამენი კი — ძიუდოისტები პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

მოდით, დაველოდოთ პოლონეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებას — იქნებ „კლასიკოსებმა“ მაინც...

**ლევან ჯავახიშვილი**

# ვროცლავში კარტოზიას თასისთვის

— ამ თასს არავის დავანებებ! ჩაჩუა, გულში არ ჩაიდო, მაინც არაფერი გამოგივა! — ნახევრადხუმრობით მიაძახა გიორგი ჯინჭველაშვილმა თანაგუნდელ აკაკი ჩაჩუას.

— გივი კარტოზიას თასზე არც მე ვიტყოდი უარს! — ეშმაკურად ჩაიცინა კობა გულიაშვილმა.

შევატყვე, არც ემზარ მახარძე იყო უარზე, დიდი ფალავანის საჩუქარს რომ დაუფლებოდა.

რა კარტოზიას თასი აგიტყდა, — შემომიტევს მავანი, — ახლახან არ ჩატარდა თბილისში კარტოზიას ტურნირი, თუ შნო ჰქონდათ, მოეგოთ და იმ თასს გოჩა ციციშვილს ნუ გაატანდნენ ისრაელში!

არა, ბატონო, არაფერი მეშლება, სწორედ გივი კარტოზიას თასზე მოგახსენებთ და ახლავე აგიხსნით, რაშია საქმე:

ორიოდ დღეში პოლონეთის ქალაქ ვროცლავში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრები ბეგი დარჩიას თავკაცობით თბილისში გადიოდა ბოლო საწვრთნელ შეკრებას. გუნდი დღეს დილით გაემგზავრა ჩემპიონატზე. მანამდე კი, გუშინ ნაკრების წევრები, მათი მწვრთნელი, ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი, ყოფილი სპორტსმენი და დღემდე ქართველ ფალავანთა დიდი ქომაგი მერაბ ლუდუშაური და თქვენი მონა-მორჩილი „სარბიელის“ კორესპონდენტი გამოჩენილ ფალავანს გივი კარტოზიას ვეწვიეთ შინ. დამეთანხმებით, უკეთეს გზისდამლოცველს საჩემპიონატოდ ვერ ინატრებ კაცი. თავის მხრივ, დიდი ფალავანიც მეტად მადლიერი იყო და როგორ მწვრთნელს, ასევე ბიჭებს ორიოდ ჭკვიანური სიტყვა გააყოლა. სხვისი რა გითხრათ და, გივი კარტოზიას რჩევა ყველა მოჭიდავისთვის მუდამ სარგოა.

გივი კარტოზიამ თავისი დიდებული სპორტული კარიერის ეპიზოდები გაიხსენა და ესეც ერთობ საჭირო იყო დიდ ჩემპიონატზე მიმავალი ფალავნებისთვის. მასპინძელს მერაბ ლუდუშაური აჰყვა, რომელსაც მეტისმეტი სიზუსტით ახსოვდა ბატონ გივის სპორტული ცხოვრების უმთავრესი მომენტები, მრავალი დიდებული ქართველი ფალავანი გაიხსენა და მისაბაძ მაგალითად დაუსახა ისედაც საბრძოლოდ შემართულ ბიჭებს.

„ზუსტად თხუთმეტი წლის წინ, სექტემბერში, სწორედ პოლონეთში მე და თემურ აფხაზავა მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით. მას შემდეგ პოლონეთს არ უმასპინძლია მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ზუსტად თხუთმეტი წლის შემდეგ კი ისევ პოლონეთი, ისევ სექტემბერი, ისევ მსოფლიოს ჩემპიონატი, ისევ...“ აღარ დაამთავრა სათქმელი თემურ ყაზარაშვილმა. არც იყო საჭირო, რადგან მისი გულისნადები ყველა იქ მყოფთათვის საერთო იყო და გასაგები.

გივი კარტოზიამ დალოცა ფალავნები, ნიჭი და ოსტატობა არ გაკლიათ და, აჰა, ჩემი ყისმათი მისაგზლია თქვენთვისო, — დასძინა. ბოლოს კი ვეება ბროლის თასს შეელია საკუთარი მონაგრიდან და ბიჭებს დაუთქვა: პოლონეთიდან რომელიც უფრო ძვირფას ლითონს ჩამოიტანს, ეს თასი მისთვის მიჩუქნიაო. ამ თასის ისტორია კი ასეთია: იგი ბატონმა გივიმ 1951 წელს ბერლინის სპორტულ ფესტივალზე მოიგო კლასიკურ ჭიდაობაში. თურმე, ბერლინის ფესტივალი გივი კარტოზიასთვის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება ყოფილა, თასი — პირველი უცხოური ჯილდო. დამეთანხმებით, დიდებული და უჩვეულო საჩუქარია!

— რვავე რომ ჩემპიონები გავხდეთ, ვის დარჩება ეს თასი? — იკითხა კობა გულიაშვილმა. თქვენ მოიგეთ და გივი კარტოზიას თასებს რა დაულევსო, — ვილაცამ დაამშვიდა კობა.

გივი კარტოზია შინ დარჩა, ახალგაზრდა ფალავნებმა კი ფალავანთა კლუბს მიაშურეს სავარჯიშოდ. გუნდში მეტად იმედიანი განწყობაა, ბიჭები მართლაც საომრად მიდიან ვროცლავში, ბეგი დარჩიას თქმით, არც ერთი მოჭიდავე უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მოპოვება ძნელია, მაგრამ შესაძლებელიო, მითხრა. მით უმეტეს, როცა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ორი მედალი და გუნდური მესამე ადგილი მოიპოვა რუსეთისა და თურქეთის გუნდების შემდეგ, თუმცა, ეს ჩვენს ნაკრებს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის, რადგან ევროპის მესამე გუნდს უფრო მეტი სერიოზულობით მოეკიდებიან მეტოქენი.

პოლონეთში კობა გულიაშვილიც იასპარეზებს, ოღონდ მისთვის უჩვეულო წონაში — 58 კილოში. კობა ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს, მანამდე კი გივი კარტოზიას სახელობის ტურნირზე იმარჯვა და დაამტკიცა, რომ კვლავაც ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფალავანია. აი, კობაზე არანაკლებ უიღბლო და კობასავით მარტყოფელი ტარიელ მელელაშვილი კვლავ ნაკრებს მიღმა დარჩა. ნაკრების ხელმძღვანელებმა არ ჩათვალეს საჭიროდ ახლად ტრავმამოშუშებული ტარიელის ჩემპიონატზე ასპარეზობა და კვლავ ასვენებენ. გუნდში ერთი დებიუტანტია — ერიკ ხაჩატუროვი, დანარჩენებს კი მეტ-ნაკლებად აქვთ გამოცდილება.

დღეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები გერმანიას გაფრინდა, საიდანაც მატარებლით ვროცლავს მიაშურებს. პოლონეთში მსოფლიოს ჩემპიონატის მედლებისა და გივი კარტოზიას თასის მოსაპოვებლად გაემგზავრნენ: ერიკ ხაჩატუროვი (54 კგ), კობა გულიაშვილი (58), აკაკი ჩაჩუა (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ზვიჩა ბიჩინაშვილი (76), ემზარ მახარაძე (85), ბაკურ გოგიტიძე (97), მირიან გიორგაძე (მძიმე).

**ლევან ჯავახიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამარანჩის ეპოქა გრძელდება

— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ვადა მალე ამომეწურება, მაგრამ ახალ არჩევნებზეც ვაპირებ ჩემი კანდიდატურის წამოყენებას. თუ ამირჩიეს... — ხუან ანტონიო სამარანჩმა ათენში, მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე სამომავლო გეგმებთან დაკავშირებულ შეკითხვას გასცა პასუხი.

ხუთშაბათს, 4 სექტემბერს, ლოზანაში სამარანჩი კიდევ ერთხელ აირჩიეს IOC-ის პრეზიდენტად. მას კონკურენტი არ ჰყოლია.

77 წლის ბარსელონელი ამ თანამდებობაზე პირველად 1980 წელს, მოსკოვში აირჩიეს. უწინდელი წესის თანახმად, 75 წლის მოყრის შემდეგ კაბინეტი სხვისთვის უნდა დაეთმო, მაგრამ 1995 წელს ლათინელი მოკავშირეების ხელშეწყობითა და ხმებით, კანონი გადააკეთა და ასაკობრივი შეზღუდვა გაზარდა, ახლა სამარანჩს 2001 წლამდე შეუძლია მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელობა. იმ დროისთვის იგი 81 წლის იქნება და როგორც ლოზანის კონგრესის დელეგატებს განუცხადა, თავის კანდიდატურას აღარ წამოაყენებს. გარდა ამისა, პრეზიდენტმა კოლეგებს აღუთქვა, რომ თუ ასაკის გამო საქმეთა გაძღოლა გაუჭირდებოდა, 2001 წლამდეც უყოყმანოდ დასტოვებს სავარძელს.

სამარანჩი 2001 წელს ლამაზად გადადგომას გეგმავს. მისი სურვილია, კონგრესი, რომელზეც თანამდებობიდან წასვლას გამოაცხადებს, მოსკოვში გაიმართოს. ამთავითვე ცნობილია, რომ სურვილს შეუსრულებენ.

ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმძღვანელობით ოლიმპიური თამაშები დიდ კომერციულ შეჯიბრებად იქცა. ამის მაგალითია წლეულს, ამერიკულ ტელეკომპანია NBC-სთან დადებული 2 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტი, რომლის თანახმადაც NBC 2004 და 2008 წლების ზაფხულის და 2006 წლის ზამთრის თამაშებს გააშუქებს.

სოკ-ის პრეზიდენტი 1920 წლის 17 ივლისს ესპანეთში, ბარსელონაში დაიბადა. დამთავრებული აქვს ბარსელონის ბიზნესის უმაღლესი ინსტიტუტი. კარგად ფლობს ესპანურს, ფრანგულს და ინგლისურს, ხოლო რუსულს და გერმანულს ამტვრევს. იყო ეკონომიკის პროფესორი, მუშაობდა სხვადასხვა ბანკების გამგეობაში, გახლდათ ბარსელონის სპორტზე პასუხისმგებელი მუნიციპალური მრჩეველი. ახალგაზრდობაში თამაშობდა ბალახის ჰოკეის და ფეხბურთს, იყო მოკრივე. ერთხანს ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახლდათ. 1966 წლიდან სოკ-ის წევრია, 1970 წლიდან მის აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობს, 1974-78 წლებში ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, 1980 წლიდან დღემდე კი როგორც მოგახსენეთ, პრეზიდენტია.

**მიხეილ სურგულაძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ბერი — ტრანმერი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| სვინდონი — ნოტინგემი | 3,0 | 2,7 | 2,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — რედინგი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 9 სექტემბერი | | | |
| პორტ ვეილი — სტოკპორტი | 1,3 | 3,4 | 6,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ატლეტიკო — ვალიადოლიდი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ბეტისი — ბილბაო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| დეპორტივო — მალიორკა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ესპანიოლი — სელტა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სარაგოსა — ოვიედო | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სოსიედადი — რასინგი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სპორტინგი — ტენერიფე | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| სალამანკა — რეალი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| მერიდა — კომპოსტელა | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ვალენსია — ბარსელონა | 2,5 | 2,8 | 2,2 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| დი სანგრო — ანკონა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ფ. ანდრია — კიევო | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| ფოჯა — ვენეცია | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ჯენოა — ლუკეზე | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| პესკარა — კალიარი | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| რავენა — პერუჯა | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| რეჯინა — რეჯანა | 2,1 | 3,0 | 2,5 |
| ტორინო — პადოვა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ტრევიზო — სალერნიტანა | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| ვერონა — მონცა | 1,25 | 3,6 | 7,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| მაასტრიხტი — ბრედა | 2,7 | 3,0 | 2,0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 სექტემბერი | | | |
| ხორვატია — ბოსნია | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,6 | 5,6 |
| სლოვენია — საბერძნეთი | 4,7 | 3,1 | 1,5 |
| შვეიცარია — ფინეთი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| აზერბაიჯანი — ნორვეგია | 16,0 | 7,0 | 1,01 |
| ავსტრია — შვედეთი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| შოტლანდია — ბელარუსი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,2 | 5,0 |
| ლატვია — ესტონეთი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ფარერები — ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| 2:0 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ჰოლანდია — ბელგია | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ისლანდია — ირლანდია | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| ლიხტენშტაინი — რუმინეთი | 16,0 | 7,0 | 1,01 |
| 4:0 | 2,4 | 3,2 | 1,7 |
| ლიტვა — მაკედონია | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| გერმანია — პორტუგალია | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| სომხეთი — ალბანეთი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| 7 სექტემბერი | | | |
| ლუქსემბურგი — კვიპროსი | 2,7 | 3,0 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

### პოდიუმზე

აბა, ვის რა შეგიძლიათ, შესძახა გუშინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესმა და ხუთი შემმუშნული და ერთმანეთზე აღრენილი ქალაქი სილამაზის კონკურსის მონაწილე ქალივით მორიგეობით შედგა ლოზანის პოდიუმზე თავის მშვენიერებათა გამოსაჩენად.

პირველი გახლდათ სტოკჰოლმი. შვედეთის დედაქალაქმა, თამაში ტუზ-კოზირით დაიწყო: პოლიციამ დააპატიმრა კაცი, რომელსაც ჩანთაში ბომბი ედო. კაცი, 28 წლისა, ტრიალებდა სწორედ იმ ქანდაკებასთან, რომელიც 2004 წლის ოლიმპიადისთვის ბრძოლის სიმბოლოდ გახლდათ აღმართული. „ჩვენ არასდროს დავუშვებთ ძალადობის ხმამ სპორტისა რომ დაფაროს" — ამაყად განაცხადა სტოკჰოლმის კამპანიის ხელმძღვანელმა ოლოფ სტენჰამერმა. მაშ ასე, სტოკჰოლმი უსაფრთხო ქალაქია, იქ თუ ვინმე რაიმეს ააფეთქებს, მალე პატიმარი გახდება.

შვედთა ავტორიტეტული წარმომადგენელი გახლდათ პრემიერ მინისტრი გორან პერსონი, რომელმაც მახვილი კვლავ უსაფრთხოების საკითხს დაუსვა და შეეცადა კონგრესის დელეგატები დაერწმუნებინა, რომ მის ქალაქზე უსაფრთხო ადგილი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. „ჩვენთან მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა სტოკჰოლმის წმინდა სახელს ლაქა ვერ მოსცხო" — დაასკვნა მან. ცხადია, ჩრდილოელთა გამოსვლაში საგანგებო ყურადღება სუფთა ეკოლოგიურ გარემოს დაეთმო, ბოლოს კი ჩოგბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა სტეფანგ ედბერგმა 60 ელიტარული სპორტსმენის მიერ სტოკჰოლმის მხარდასაჭერად დაწერილი განცხადება წაიკითხა.

ჩრდილოეთი სამხრეთმა შეცვალა, სცენაზე ავიდა კეიპტაუნი. სამხრეთ აფრიკელთა ძალა მათი პრეზიდენტია. ნელსონ მანდელა აპარტეიდის რეჟიმს დიდხანს ჰყავდა ციხეში. იქედან შვიდი წლის წინ გამოვიდა და მას მერე ყველგან ოვაციით ხვდებიან. ასე იყო ლოზანაშიც. კონგრესის დელეგატებმა ფეხზე წამოდგომითა და მქუხარე ტაშით სცეს ნობელის პრემიის ლაურეატს პატივი, იგი კი მიკროფონთან მივიდა და ბრძანა: „მე თქვენს წინაშე წარვსდექ არა როგორც სამხრეთ აფრიკის, არამედ როგორც მთელი კონტინენტის მოქალაქე. 79 წლის კაცი გახლავართ. ჩემი ასაკი საკმაოდ სახიფათოა, მაგრამ აქ ყოფნამ გამაახალგაზრდავა. მე ვოცნებობ იმ დღეზე, მსოფლიოს ახალგაზრდობა ტებლის მთის ძირში რომ შეიკრიბება."

ათენი, ოლიმპიზმის ანტიკური სამშობლო ადვოკატმა ჯანა ანგელოპულოსმა წარადგინა. მთავარი ეფექტი: საბერძნეთის დედაქალაქი 2004 წელს უკლებლივ ყველა, 16 ათასივე სპორტსმენსა და ოფიციალურ პირს თავისი ხარჯით ისტუმრებს და გაისტუმრებს. დიახ, ათენს 1996 წლის ოლიმპიადაც სურდა. მეტიც, ვინაიდან მაშინ პირველი ოლიმპიადიდან ასი წელი სრულდებოდა, ეგონა, მისი ჩატარების უფლებას ისტორიული სამართლიანობის დასაცავად უეჭველად მისცემდნენ, მაგრამ შეცდა. ქალბატონმა ანგელოპულოსმა თავისი ემოციური გამოსვლა ვექილის ოსტატობით სწორედ ამის ირგვლივ ააგო: „მაშინ მივხვდით, რომ უნდა განგვევითარებინა ქალაქი, გვეზრუნა გარემოსა და ინფრასტრუქტურაზე. მერე ჩვენ განვავითარეთ და ვიზრუნეთ. დღეს ახალი ათენის სახელით გელაპარაკებით."

ბუენოს აირესსა და კეიპტაუნს ზოგი რამ საერთო ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ისინი დანარჩენი სამისგან განსხვავებით ევროპის ქალაქები არ არიან, ორივე თავისი ქვეყნის პრეზიდენტმა წარადგინა. მანდელაზე ზემოთ მოგახსენეთ, ახლა არგენტინის პრეზიდენტ კარლოს მენემზე გეტყვით. მან, აფრიკელი კოლეგის დარად, თავს მთელი კონტინენტის წარმომადგენელი უწოდა. ათ წუთიან გამოსვლაში მენემმა ხაზი გაუსვა, რომ არგენტინა მშვიდობის კუთხედაა ცნობილი და არგენტინელებს მსოფლიოს ყველა ხალხი უყვარო. კონკურენტებისგან განსხვავებით ბუენო აირესმა კომპიუტერულ ტექნიკაზე უარი თქვა და დელეგატებს სლაიდები წარუდგინა, რომელთა უმრავლესობა ქვეყნისა და ქალაქის პეიზაჟებს ასახავდა. ბოლოს კი ჩართეს სპორტული სარბიელების ამსახველი მოკლე ვიდეოჩანახატი. რაც მთავარია, ბუენოს აირესი, ათენის დარად სპორტსმენთა მგზავრობის ხარჯებს იხდის. მას საამისოდ 25 მილიონი დოლარი აქვს გამოყოფილი, აღრე 19 ჰქონდა.

სცენაზე ბოლოს ყოველთვის პრიმადონა გადის. რომი ლუჩანო პავაროტიმ გადაუშალა დამსწრე საზოგადოებას.

„ცოცხლად მახსოვს 1960 წლის ოლიმპიადა — გაიხსენა ტენორთა ტენორმა იტალიის დედაქალაქში 37 წლის წინ ჩატარებული თამაშები — მსოფლიოში ორი დიდი სიკეთეა, სპორტი და მუსიკა."

დიდ მომღერალს ზორბა სხეულის დასასვენებლად დიდი სკამი დასჭირდა. მან საკმაოდ მოკლედ ისაუბრა, ინგლისურად.

„რომი ყოველთვის მზადაა, 2004 წლისთვის კი სუპერ-მზად იქნება" — ბრძანა მან.

რომაელთა ვიდეოკლიპი შეიცავდა კადრებს 1960 წლის ოლიმპიადიდან, 1987 წლის მძლეოსნობისა და 1990 წლის ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატებიდან. ბოლოს რომაული კამპანიის თავკაცი, დოქტორი პრიმო ნებიოლოც ალაპარაკდა: „რომი მხოლოდ კარგ ორგანიზაციას როდი გთავაზობთ, ის გულის სითბოს გიმზადებთ, რათა ყველამ, სპორტსმენმა თუ მაყურებელმა იგრძნოს ცხოვრების მშვენიერება". და ისევ ეკრანი, ფრაგმენტები კლასიკური ფილმებიდან და, რა თქმა უნდა, „რომაული არდადეგები" ოდრი ჰეპბერნის მონაწილეობით. ნოსტალგია რომზე!

### კენჭისყრა

შემდეგ იყო კენჭისყრა და ნერვიული მოლოდინი. კონგრესის 107 დელეგატზე გახლდათ დამოკიდებული უამრავი მილიონი დოლარის ბედი. რომელია ბედნიერი ქალაქი?

პირველი რაუნდი. ათენი 32 ხმას აგროვებს, რომი 23-ს, სტოკჰოლმი 20-ს, ბუენოს აირესი და კეიპტაუნი 16-16-ს. აფრიკელთა და სამხრეთ ამერიკელთა საკითხი დამატებითმა კენჭისყრამ უნდა გადაწყვიტოს. 64:44 — ბუენოს აირესი ბრძოლას გამოეთიშა.

მეორე რაუნდი. 38 ხმით წინ ისევ ათენია, მეორე კვლავ რომი — 28, მესამე კეიპტაუნი — 22, 19 ხმით სტოკჰოლმი ვარდება.

მესამე რაუნდი. ათენთი — 66, რომი — 41

ჯანა ანგელოპულოსი სიხარულისგან თანამებრძოლთ ეხვევა და ჰკოცნის. საბერძნეთის დედაქალაქში ზეიმია. ტელედიქტორები კამერის წინ შამპანურს ხსნიან. ოლიმპიური კომიტეტის შენობის წინ მიტინგი იმართება. ოლიმპიადა შინ ბრუნდება, აცხადებენ ორატორები. იქ შეკრებილი ათასამდე ადამიანი მაშხალებს ისვრის და დროშებს აფრიალებს.

### დამარცხება

კეიპტაუნში ათეულობით ათასი თავი დაიხარა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. უშველებელი ტელეეკრანიდან ცუდი ამბავი აცნობეს ქალაქს, რომელსაც ნელსონ მანდელას იმედი ჰქონდა. „ვივა კეიპტაუნ" გაისმა შემდეგ.

სტოკჰოლმის სტადიონზე 12 ათასი ადამიანი ელოდა შვეიცარიულ განაჩენს. „ყველაფერი გამარჯვებულს მიაქვს" — გუგუნებდნენ სტადიონის დინამიკები მათი პოპ-ლეგენდის „აბბას" ოდინდელ სიმღერას. შვედებს ყველაფრის წაღების სურვილი კლავდათ. სარბიელს, რომელიც ერთი თვის წინ ტერორისტებმა შეურაცხყვეს, შვედური დროშისფრად შეღებილი ბუშტები ფარავდა.

...ათ წუთში და იქ კაციშვილი აღარ იყო.

არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა ლოზანიდანვე აღუთქვა ბუენოს აირესელებს — ჩვენ 2008 წლის ოლიმპიადისთვის ვიბრძოლებთ.

„ვიცოდით, რომ ფავორიტები ათენი და რომი იყვნენ, ჩვენი მხრივ კი ყველაფერი ვილონეთ და ეს გვამხნევებს" — განაცხადა ვიცე-მერმა ენრიკე ოლივერმა.

თავად ბუენოს აირესში კი ხალხი არგენტინის ჩემპიონატის მომავალი ტურისა და დიეგო მარადონას კოკაინ-სკანდალის ამბავს არჩევდა. ლოზანიდან ცნობას მხოლოდ თეატრში ელოდნენ. იქ შეიკრიბნენ ისინი, ვისთვისაც ოლიმპიადა მნიშვნელოვანი გამოდგა. მათ დარბაზიც ვერ შეავსეს. სამაგიეროდ იტირეს.

ხოლო მარადიულ ქალაქში, ნავონას მოედანზე–

„არ მჯერა, რომ ათენმა გაიმარჯვა. ბოლოს და ბოლოს კეიპტაუნისთვის დაეთმოთ, სიმბოლური მნიშვნელობა მაინც ექნებოდა — გაოცნდა 16 წლის მავანი სტუდენტი გოგო.

„ძალიან გაბრაზებული ვარ, მეტი რომ არ შეიძლება. საქმე ხომ პრესტიჟს ეხებოდა, ათენი კი ფავორიტიც არ იყო — აღშფოთდა მუშა.

„ჩემთვის სიმღერის ნება რომ დაერთოთ, უეჭველად მოვიგებდით" — განუცხადა ერთ-ერთ სააგენტოს ლუჩანო პავაროტიმ.

„ბედნიერი ვარ, წავაგეთ. რომ მოგება, ხალხს ჯიბეზე დააწვებოდა" — გაიხარა ვილაც კარისკაცმა.

ყველა გზას რომში როდი მივყავართ.

**ილია გაგუნაშვილი**

# ოლიმპიადა შინ ბრუნდება




ათენი 2004-ის კამპანიის საორგანიზაციო კომიტეტი




მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი „მზიური" აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში

მიიღებიან VI-XI კლასების მოსწავლეები

განცხადებები მიიღება 11 სექტემბრამდე

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ტერიტორია)

ტელ: 29-48-60, 29-48-61, 23-53-17

# ავტორბოლა

**ფორმულა 1**
**XIII ეტაპი**
**იტალიის დიდი პრიზი**

შუმახერის შემდეგ მეორეა, სხვაობა 12-დან 11 ქულამდე შეამცირა. მისი ერთი საფეხურით ანაცვლებამ მეექვსე ადგილი გაათავისუფლა და ამ ადგილისთვის განკუთვნილი საპრიზო 1 ქულაც „ბენეტონის" გერჰარდ ბერგერმა მოიპოვა.

## უილიამსის მუქთა ქულები

„მონცას" ავტოდრომი უსწრაფესთა შორის მოიხსენიება. მისი სწორი მონაკვეთები და სწრაფი მოსახვევები პილოტებს უმაღლესი სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს. აქ ძრავები და მუხრუჭები ერთობ იტვირთება, საწვავის ხარჯიც დიდია, თუმც შარშან გუნდების უმეტესობამ ერთ პიტ-სტოპიანი ტაქტიკა ირჩია.

შარშან „მონცაზე"პირველობისთვის „ფერარიმ", „ბენეტონმა" და „უილიამსმა" იპაექრეს. „უილიამსის" პილოტებმა საკუთარი შეცდომების გამო დაკარგეს პირველობა, ბედმა ვილნევსა და ჰილსაც უმუხთლა, მერე ალეზი ლიდერობდა და მანაც პიტ-სტოპისას დათმო პირველობა.

წლეულსაც ამ სამეულისა და „მაკლარენის" პილოტების პაექრობას უნდა ველოდოთ. ამ უკანასკნელთ ახალი, „მერსედესის" ძრავი უსწრაფესად რბოლის საშუალებას მისცემს, ეს კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ ტრასაზე ერთობ მნიშვნელოვანია. ამათ გარდა მოწინავეთა შორის „ჯორდანიც" იქნება, თუმცა უპირატესობა მაინც შუმისა და ვილნევის მხარეს უნდა იყოს, რომელთაც ჩემპიონატში შექმნილი ვითარება მხოლოდ გამარჯვებისკენ უბიძგებს. მათ შორის უკეთესს კი მხოლოდ რბოლა გამოავლენს.

მაყურებელთა უმრავლესობის მხარდაჭერა, ცხადია, „ფერარის" ექნება. თუმცა, ფორმულა I-ის ამ ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ლიდერმა, „მონცას" შარშანდელმა გამარჯვებულმა მიხაელ შუმახერმა განაცხადა, ამ რბოლის მოგება ძლიერ გამახარებს, მაგრამ იტალიის დიდი პრიზი უაღრეს პასუხისმგებლობას მოითხოვს, ასე რომ, უეჭველ მოგებას ვერ დაგპირდებითო. შუმიმ ისიც თქვა, სიმართლე გითხრათ, შარშან აქ რომ გავიმარჯვე ისეთი სიხარული ჯერ არ განმეცადა და ახლაც ძალიან მინდა მოგება, მაგრამ ეს ერთობ რთულიაო.

შუმახერისგან განსხვავებით, იმედიანადაა ჟაკ ვილნევი, რომელმაც წინა, ბელგიის დიდ პრიზზე მეექვსე ადგილი დაიკავა, თუმცა ფორმულა I-ის საერთაშორისო ასოციაციის გადაწყვეტილებით ერთი საფეხურით მაღლა აიწია. მიზეზი ესაა: ამ ორგანიზაციამ ბელგიაში მესამე ადგილზე გასულ ფინელ პილოტ მიკა ჰაკინენს შედეგი გაუუქმა, რადგან მისმა „მაკლარენ-მერსედესმა" ის საწვავი გამოიყენა, ფორმულა I-ში აკრძალული რომაა. ამის გამო გუნდი 50 ათასი დოლარით დააჯარიმეს, ხოლო ასეთი საქციელის გამეორებისთვის დისკვალიფიკაციითაც დაემუქრნენ. ჰაკინენის პრიზიორებიდან ამოვარდნას პილოტებს შორის გადაადგილება მოჰყვა „უილიამს რენოს" მეორე პილოტი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი ფინელის წყალობით სამეულში მოხვდა, მისმა თანაგუნდელმა ვილნევმა კი მეხუთეზე გადაინაცვლა, ამ ორი პილოტის აღზევებით კი ფრენკ უილიამსის გუნდმა კონსტრუქტორთა პირველობაში „ფერარისთან" ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირა. თავად ვილნევმაც რომელიც ჩემპიონატში

ბენ. მან ბელგიაში მეორე ადგილი დაიკავა. ახლა კი განაცხადა, თუ ვიმარჯვე ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევა, ცხოვრებაში კი მარად ტკბილად მოსაგონარი მოვლენა იქნებაო. ისე, თუ ფიზიკელამ მართლაც მოიგო რბოლა, იგი ბოლო 31 წლის მანძილზე „მონცას" პირველი იტალიელი გამარჯვებული იქნება.

შუმახერსა და ვილნევთან ერთად „მონცაზე" გამარჯვების ერთ-ერთ ფავორიტად იტალიელ ფიზიკელასაც ასახელებენ.

იტალიაში კვლავ მიუჯდება საჭეს ფრანგი პილოტი ოლივიე პანი, რომელმაც ივნისში კანადის დიდ პრიზზე რბოლისას საშინელ ავარიაში ორივე ფეხი მოიტეხა. პროსტის გუნდის პილოტმა განაცხადა, ფორმაში არ ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო. ამ დღეებში პანიმ, იარნო ტრული რომ სცვლიდა, „ლე კასტელეს" ტრასაზე ფორმულა 3-ის ბოლიდით ივარჯიშა, თუმცა აშკარად ეტყობა, რისკს ერიდება. მან ახლახან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „პროსტთან". ამ გუნდის მეპატრონე ალენ პროსტი კი უარზე არ არის, რომ მის გვერდით დეიმონ ჰილი იხილოს. დაძაბული სიტუაციაა „უილიამსში", ფრენკი არცთუ ისე კმაყოფილია ფრენცენის შედეგებით, თუმც კი აცხადებს, რომ გერმანელს შეუძლია დარჩეს მის გუნდში. ერთი სიტყვით, ბევრს ბჭობენ გუნდების მომავალ შემადგენლობათა თაობაზე.

„ტირელმა" კი „ფორდთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი და „მოხუცი კენის" გუნდი გაისადაც ამ ფირმის ძრავებით აღიჭურვება. როგორც ამბობენ, „ცისფერი ოვალი" („ფორდის" ემბლემა) უარს ამბობს 8-ცილინდრიან ძრავებზე და მთელ უნარს 10-ცილინდრიანთა მომზადებას მოახმარს, ამან კი ცხენის ძალათა და შესაბამისად სიჩქარის მომატება უნდა გამოიწვიოს.

**ალეკო ჩაგუნავა**

| 10 სექტემბერი, მონცა |
| --- |
| ტრასის სიგრძე 5,800 კმ |
| რბოლის დისტანცია: 53 წრე, 307,400 კმ |
| **შარშანდელი შედეგები:** |
| გამარჯვებული: მ. შუმახერი (ფერარი) 1:17.43,632 (236,064 კმ-სთ) |
| პოული: ჰილი (უილიამს-რენო) 1.24,204 (246,686 კმ-სთ) |
| **საუკეთესო წრე რბოლისას** |
| შუმახერი 1.26,110 (241,226 კმ-სთ) |




## ფრენცენი გაყოჩაღდა! შუმი დაითარსა?



ფრენცენს ბოლოხანს ბედი სწყალობს

პარასკევს „მონცაზე" პირველი საკვალიფიკაციო რბოლა გაიმართა. რბოლის წინ ხალხმა და პილოტებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს პრინცესა დაიანას ხსოვნას, ჯეკი სტიუარტმა კი რომელიც ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ახლო მეგობარია, განაცხადა, ჩემი გუნდის პილოტები კომბინეზონებზე შავ სამკლაურებს გაიკეთებენო.

ასეთი იყო სიტუაცია საკვალიფიკაციო რბოლამდე. პირველი კვალიფიკაცია კი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა მოიგო. მეორე მისი თანაგუნდელი ჟაკ ვილნევი იყო. „ფერარის" ლიდერი მიხაელ შუმახერი კი, უმრავლესობა „მონცაზე" გამარჯვებას რომ უწინასწარმეტყველებს, მხოლოდ მე-13 ადგილზე გავიდა.

# ჰოკეი

## ალბანელი პოლიციელის მილიონები

ერთი კვირაც და ნჰლ-ის კლუბები ე.წ. საწვრთნელ ბანაკებს ამოქმედებენ, მაგრამ თავისუფალი აგენტების ბაზარს ეს რატომღაც არ დასტყობია — ამ ბოლო ხანს არც ერთი სენსაციური გაცვლა არ მომხდარა. წინა სეზონის უსუსტესმა გუნდმა, ბოსტონმა ლოს ანჯელესში გაუშვა სლოვაკი იოზეფ შტუმპელი და რენდი მოგერი, მათ ნაცვლად კი უკრაინელი დმიტრი ხრისტიჩი და ვინსენ დამფო მიიღო. დამფო გოლკიპერი გახლავთ, დანარჩენი სამი კი ფორვარდია. ხრისტიჩი „მეფეთა" რიგებში წამყვან როლს თამაშობდა და 56 (19+37) ქულით კლუბის საუკეთესო ბომბარდირი იყო. მან, ასევე პირველად თავის კარიერაში, „ოლ სტარის" თამაშშიც მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება შტუმპელს, ბოსტონიდან ადამ ოუთსის წასვლის შემდეგ მან გუნდის მთავარი გამთამაშებლის ფუნქცია იტვირთა და საკმაოდ კარგადაც გაართვა თავი ამ მოვალეობას. ამაზე მის მიერ დაგროვილი 76 (21+55) ქულა და კლუბის ბომბარდირობაც მეტყველებს. ამავე დროს შტუმპელმა მსოფლიო თასზე და ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც მოასწრო გამოსვლა. ასე რომ, ეს გაცვლა კლუბებისთვის ტოლფასოვანი იყო.

მეტად მოულოდნელი ამბავი მოვიდა ტორონტოდან. კლუბის მთავარმა „პოლიციელმა", წარმოშობით ალბანელმა ტაი დომიმ ამ ამპლუის მოთამაშეთათვის მეტად ძვირი კონტრაქტი გააფორმა — სამი წლის განმავლობაში იგი 7,2 მილიონ დოლარს მიიღებს. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ გარდა თავისი „საპოლიციო ფუნქციებისა", დომი სხვა არაფრით გამოირჩევა. შედარებისთვის იგივე ადამ ოუთსის კონტრაქტი გავიხსენოთ. სახელოვან ფლეიმეიკერს წელიწადში 3 მილიონი დოლარი ექნება, შარშან კი ერთ მილიონზე ნაკლებს იღებდა.

დიდ ჰოკეის დაუბრუნდა ვეტერანი ბრენტ ფედიკი, რომელმაც ბოლო ორი სეზონი იჰლ-ში (ნჰლ-ს ერთ-ერთი ქველიგა) გაატარა. იგი თავის დროზე ფილადელფიის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო და მაშინ ჯერ კიდევ ამომავალ ვარსკვლავთან, ამჟამად კი ლიგის მშვენება ერიკ ლინდროსთან შედიოდა სამეულში. მისი ახალი კლუბი კაროლინაა. თვით ლინდროსი კი თავისი უკვე მოქმედი კონტრაქტის განახლებისთვის იღვწის და ამასთან ერთად სასამართლოში აქვს საქმე აღძრული ერთ-ერთი რადიოკომპანიის წინააღმდეგ, რომელმაც „ფლაიერზის" კაპიტანი ფლეი ოფის ბოლო გათამაშებაში არაპატრიოტიზმსა და კლუბის მიმართ გულგრილობაში დაადანაშაულა. როგორც ჩანს, ლინდროსი ორივე საქმეს თავის სასარგებლოდ დაამთავრებს. ყოველ შემთხვევაში, როგორც მისმა მამამ და აგენტმა, კარლმა განაცხადა, საკონტრაქტო პრობლემები მოგვარდაო.

კალგარიმ რუსების მიმართ გამოამჟღავნა ინტერესი. გუშინწინ კლუბმა ანაჰაიმის ყოფილ ფორვარდ ვალერი კარპოვთან მოაწერა ხელი კონტრაქტს, ამჟამად კი ნიუიორკელ ვლადიმერ ვორობიოვთან აქვს მოლაპარაკებები.

და ბოლოს, ერთი სასიამოვნო ამბავიც: 1996 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა, მცველმა კრის ფილიპსმა რო ორც იქნა შეთანხმებას მიაღწია მასზე უფლებების მქონე კლუბ ოტავასთან და წელს პირველად ითამაშებს ლიგაში.

**სამველ ლარიბიანი**

# ველორბოლა

## ვუელტამაც გაისეირნა

დღეს წლის სამი დიდი ტურიდან უკანასკნელი იწყება — ესპანეთის. „ვუელტად" წოდებული შეჯიბრი პირველად 1935 წელს ჩატარდა, სულ კი — 51-ჯერ. წლევანდელი, 52-ე ტური სიგრძით 3784 კილომეტრია და 22 ეტაპისგან შედგება. მისმა ორგანიზატორებმა, პირველად შეჯიბრის ისტორიაში, ესპანეთის საზღვრების გადაკვეთა გადაწყვიტეს — მარათონი პორტუგალიაში იწყება. 3 დიდი ტურიდან ვუელტა ასევე უკანასკნელია, რომელიც ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა: ჯირო დ'იტალია საბერძნეთსა და ბელგიას სწვევია ადრე, ტურ დე ფრანსს კი ლამის მთელი კონტინენტი აქვს მოვლილი. პირველი ეტაპის სიგრძე 99 მილია და მისი ფინიში ფორმულა I-ის ემტორილის ავტოდრომზეა დაგეგმილი. მეორე ეტაპი კვლავ ორ პორტუგალიურ ქალაქს — ევორასა და ალგავრეს შორისაა. მესამე დღეს კი პელოტონი მშობლიურ სანახებს დაუბრუნდება. ეტაპს სამხრეთ ესპანეთის სასაზღვრო ქალაქ უელვაში დაასრულებს.



აბრაჰამ ოლანო ესპანელთა იმედია

ესპანეთის ხმელთაშუაზღვისპირა ეტაპების შემდეგ კორდობაში პირველი სიჩაუქის გამოცდა შედგება, მერე მრბოლებს დასვენების დღე ექნებათ, 18 სექტემბერს კი მთიან ტრასებს შეუტევენ. კასტილიური გზების შემდეგ პელოტონი მადრიდთან გადმოინაცვლებს, ალკობენდასში მეორე სიჩაუქის გამოცდას გამართავს (48 კილომეტრი), მეორე დღეს კი ესპანეთის დედაქალაქის მთავარ ბულვარზე — პასო დე ლა კასტელანაზე მოუღებს ბოლოს თავის ტანჯვას.

წლევანდელ ვუელტაზე 198 მრბოლი და 22 გუნდი იასპარეზებს. ამათში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ფრანგი ლორან ჟალაბერი ითვლება. იგი 1995 წელს ჩემპიონი გახდა, ქულების ჩათვლაში შარშან ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა, ბოლო ოთხ წელს კი აქ 16 ეტაპი აქვს მოგებული. ჟალაბერს ზურგს ასევე ნაჩემპიონარი თანაგუნდელები — ესპანელი მელხორ მაური (1991) და შვეიცარელი ალექს ცულე (1996) გაუმაგრებენ. ეს უკანასკნელი წელს გამარჯვების პრეტენდენტი ვეღარაა, რაკილა შვეიცარიის ტურში ლავიწი გაიტეხა, საფრანგეთში ასპარეზობით ტრავმა გაიმიზეზა, თანაც წონაშიც ძალზე მოუმატია და ფორმაში ვეღარაა. იგივე ითქმის კიდევ ერთ შვეიცარელზე — ტონი რომინგერზე, რომელიც 1994 წელს პირველი მრბოლი შეიქნა, რომელმაც ვუელტას მოგება სამჯერ მოახერხა. ტურ დე ფრანსზე მანაც ლავიწის ძვალი გაიტეხა, მას შემდეგ აღარსად უასპარეზია და დიდი შედეგების მიღწევას, ალბათ, ვერც ახლა შეძლებს. აღსანიშნავია ის, რომ ვუელტას შემდეგ შვეიცარელი პენსიაზე გასვლას აპირებს. გამარჯვების პრეტენდენტებად ითვლებიან აგრეთვე ფრანგი ლორან დიუფო და იტალიელი „სპრინტის მეფე" მარიო ჩიპოლინი.

მასპინძელთა მთავარი იმედები კი აბრაჰამ ოლანოზეა დამყარებული. 1995-ში ესპანელი მეორე ადგილზე გავიდა, წლევანდელი ტურ დე ფრანსი მეოთხემ დაასრულა, თუმცა, არც ერთ დიდ ტურში ჯერაც არ გაუმარჯვია. სამშობლოში მას ლეგენდარული მიგელ ინდურაინის მემკვიდრედ თვლიან და მისგან დიდ წარმატებებს მოელიან, ასე რომ, 27 წლის მრბოლისთვის წლევანდელ „ვუელტას" დიდი მნიშვნელობა აქვს. მას სურს, თავის კერპზე მეტი შეძლოს, ინდურაინმა ხომ კარიერა ისე დაასრულა, მშობლიური ტურის მოგება ერთხელაც ვერ მოახერხა.

გუნდებს შორის მთავარ პრეტენდენტად ოლანოს „ბანესტო" ითვლება, თუმცა, ფრანგულ „ფესტინა-ლოტუსს", იტალიურ „მაპეისა" და ჰოლანდიურ „რაბობანკს" ასევე დიდი ამბიციები ამოძრავებთ.

**გაიოზ გერიძე**

# კრივი

## ჰოლიფილდი და ტაისონი: სიყვარულის ისტორია

ევანდერ ჰოლიფილდის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ ტაისონმა ყური მოაჭამა, „პლანეტის ყველაზე ცუდი ადამიანი" მას მაინც დიდ პატივს სცემს და უყვარს კიდეც. რა თქმა უნდა, ამის პასუხად მორწმუნე ჰოლიფილდი სულაც არ აპირებს, ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონს სანაცვლო სიყვარულის დასამტკიცებლად მეორე ყურიც მიუშვიროს.

ჰოლიფილდი მოელის, რომ ერთხელაც ტაისონი პირადად მოუხდის ბოდიშს მომხდარი ინციდენტისთვის, რადგან დარწმუნებულია, მას გაცილებით მეტად მოვწონვარ, ვიდრე თავად ამბობსო. რაც შეეხება ამ ორს შორის შესაძლო მატჩს, WBA-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ამის საჭიროებას ვერ ხედავს: — „არა მგონია, როდესმე კიდევ ვიბრძოლოთ. თუ ეს მოხდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტაისონს რაიმე ისეთი ტიტული ექნება, რომელიც ჩემთვის იქნება სასურველი". როდესაც წაკვნეტილ ყურზე ჰკითხეს, იმ ნაწილს რას უპირებთ, რომ გაკლიათო, ევანდერმა ფოტოობიექტივისკენ შემოაბრუნა თავი და თქვა: სულაც არ მაწუხებს. არ ვაპირებ პლასტიკური ოპერაციით გალამაზებას. თანაც არც ის ვიცი, მისაბმელი ნაწილი სად ვიშოვოო.

ჰოლიფილდი ოთხშაბათს თავისი ახალი მატჩის სარეკლამოდ ნიუ იორკში ჩავიდა. მისი მორიგი მეტოქე IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაციის) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი მაიკლ მურერი იქნება, რომელთანაც ადრე დამარცხებულა კიდეც. ჰოლიფილდი 20 მილიონ დოლარს მიიღებს, მურერი კი, ვისაც კარიერაში 39 გამარჯვება და ერთადერთი მარცხი აქვს, 8 მილიონით დაკმაყოფილდება. მომავალი შეხვედრის ზუსტი თარიღი და ჩატარების ადგილი საბოლოოდ ჯერაც არ დადგენილა.

**ირაკლი გუგუშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29